

K 194.091
3



ქართული
ლიბრელო

თ. კვიციანი

კულთბილისური დასახლება



ქართული
ბიბლიოთეკა

თ. კვიციანი

კვლევითი
დასახელება

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1985

134.089-91
3



წიგნში განხილულია თბილისის მშენებლობის ფრაგმენტები ისტორიულ სახელწოდებათა მოშველებით. ანბანის წესით არის დალაგებული როგორც დამკვიდრებული, ასევე ზმარებიდან გამო-
სული ძველთბილისური დასახელებები. იქვეა განმარტებული სახელწოდებების წარმოშობის წყაროები და მოცემულია მოკლე ცნობები ქალაქის სათანადო მოვლენების, ქუჩებისა თუ შენობებ-
ის შესახებ.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ი:

საქართველოს სსრ ზელოვნების დასახურებული მოღვაწე,
დოცენტი ნ. კინეზურაშვილი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

K 194.091
3

K 1902030000 — 285
M 601 (08) — 85

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1985.

მეოცე საუკუნემ, ტექნიკურ რევოლუციასთან ერთად, ქალაქების არნახული ზრდა და გარდაქმნა მოიტანა. დაუოკებელი ურბანიზმი, სამწუხაროდ ზოგჯერ იმსხვერპლებს ხოლმე წარსულის ნაკვალევს — ისტორიულ ან არქიტექტურულ ძეგლებს, ცალკეულ ნაგებობას თუ მთლიანად ვრცელი უბნის შუა საუკუნეობრივ განაშენიანებას. კაცობრიობამ შეიგრძნო ეს საშიშროება და დღეს ისტორიული ძეგლების შემონახვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანია ქალაქების რეკონსტრუქციის გეგმებში. ჩვენმა საუკუნემ, ვარემოს კარდინალურ გარდაქმნასთან ერთად, დიდად გააცხოველა ინტერესი წარსულისადმი. კაცობრიობამ შთამავგონებელი ისტორიის მრავალი კვალი დატოვა დედამიწაზე და მათ შორის არქიტექტურულ თუ არქეოლოგიურ ძეგლებზე, რომლებიც ასახავენ თავიანთი დროის სოციალურ შეხედულებებს, მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებსა და მორალურ-ესთეტიკურ მისწრაფებებს. ამასთან, ხალხის ისტორიის ძვირფას ნაკვალევს ვპოულობთ ქალაქების, სოფლების, მთი უბნების, ქუჩების, მოედნების, ცალკეული ნაგებობების სახელწოდებებშიც.

სახეცვლასთან ერთად ძველი ქუჩები და უბნები ხშირად სახელწოდებასაც იცვლიან ხოლმე. სამწუხაროდ, ზოგიერთ შემთხვევაში, ეს მეტად ნაჩქარევად ხდება. ცხადია, ლაპარაკია არა ყოველგვარ დასახელებაზე — ყველას შემონახვა მხოლოდ იმ ნიშნით, რომ იგი ძველია, უაზრო იქნებოდა. იგულისხმება ისეთი სახელწოდებები, რომლებიც გარკვეულ ისტორიულ მოვლენას ან ტრადიციას ასახავენ. მაგალითად, თბილისში ვერცხლის, სამღებროს ქუჩების, ბაშბის რიგის სახელწოდებები შუა საუკუნეების ფრაგმენტია და ამქართა ქუჩებზე თუ უბნებზე განლაგების ტრადიციას გადმოგვცემს. ისევე როგორც კომკავშირის ზეივნის სახელწოდება მისი მშენებლების ვინაობაზე მიუთითებს.

ბუღაბეშტში შედგენილია სახელწოდებათა სია, რომელსაც ძეგლების მსგავსად როგორც ისტორიულ ფასეულობას სახელმწიფო იცავს. 1944 წელს ლეხიზბრადის საქალაქო საბჭომ საკვიროდ ჩათვალა ზოგიერთი ძველი დასახელებების აღდგენა თავის დროზე რომ ნაჩქარევად შეცვალეს (Невский проспект, Литейный проспект, Дворцовая площадь, Марсово поле და სხვ.).

სასურველია ჩვენც შევადგინოთ იმ ძველთბილისურ დასახელებათა სია, რომლებიც ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენენ და რომელთა შემონახვა სასურველია.

თბილისში ზოგიერთი ძველი ისტორიული დასახლება დამკვიდრდა (სტოლოლაკი, საბურთალო, დიდუბე), სხვანი თანდათან დავიწყებას ეძლევიან. აქასთან, მეტად ძნელია რაიმე კანონზომიერებას მიაკვლიო. რატომ შემორჩა, ერთი, „ვერა“ და მივიწყებულია „ვარდისუბანი“? ხშირად ქუჩას თუ ადგილს, რომელი სახელი აქვს, ერთი — ახლად შერქმეული, მეორე — ტრადიციული. თბილისში თაბაში გადაცემული.

გთავაზობთ ანბანის წესით დალაგებულ ზოგიერთ სახელწოდებებს, წაკითხული ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით.

აბანოების უბანი — აბანოების უბანი თბილისის უძველესი ნაწილია. ამ ადგილზე წარმოიშვა, როგორც ჩანს, პირველი დასახლება, აქ დაირწა თბილისის აკანია. ამ უბანს და მიმდებარე ტერიტორიას საკუთრივ ტფილისს უწოდებდნენ. იგი უშუალოდ ემიჯნებოდა ქალაქის ციხეს — კალას. აბანოების უბანში და მის მიმდებარე სეიდაბაღში (დასახლება გვიანდელია) შუა საუკუნეებში უმეტესად სპარსელები სახლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ „ტფილისის დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო ექვსნი... აქ დასხა შასფემ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბაღს“. და შემდეგ „არიან მსახობელნი ციხეს და სეიდაბაღს სპარსნი მაჰმადიანი“.

ვახუშტი ბაგრატიონი აბანოების უბანს სეიდაბაღის ერთ ნაწილად წარმოგვიდგენს. პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ 1800 წლის გეგმაზე კი მხოლოდ აბანოების უბანია ნაჩვენები, რადგან სეიდაბაღის დანარჩენი ტერიტორია ამ დროისათვის დასახლებული აღარა ჩანს და მთლიანად ბაღებითაა დაფარული.

თბილისის აბანოები იხსენიება ძველ საბუთებში და მოგზაურთა აღწერებშიაც. მე-10 საუკუნის არაბი გეოგრაფოსის აღწერით „აქ წყალი უცმცხლოდ დღეს“ ყაზანელი სოვდაგარი ვასილი გაგარა, რომელიც თბილისში გავლით იყო მე-17 საუკუნის 30-იან წლებში, გვატყობინებს: «...а божним созданием тех горячих колодезов есть за 60. И над колодезьями ученыя палаты вельмо красные, а в тех палатах и в тех горячих колодезях моютца за бани место христиане и бусурмане, и трутца кисеями, а не венниками, а веников не знают».

ვახუშტი ქალაქში ექვს აბანოს ითვლიდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეეწირა, რადგან 1800 წლის გეგმაზე მხოლოდ ოთხი აბანოა ამ უბანში აღნიშნული. მე-19 საუკუნის შუა ხანის თბილისის გეგმაზე კვლავ ექვსი აბანოა დატანილი. საინტერესო ცნობებს ვპოულობთ მეფე გიორგი მეთორმეტის ერთ-ერთ სიგელში, სადაც, სხვათა შორის, მეითარისა და ბებუთას აბანოების ერთგვარი ლოკალიზაციაა მოცემული. ბებუთას აბანო მეითარის აბანოს დასავლეთით, თაბორის მხარეს ყოფილა. როგორც მე-19 საუკუნის გეგმებიდან ირკვევა, ციხის კართან ყველაზე

ახლოს თბილისის (სიონის) აბანო იყო განლაგებული. მას გვიან ერეკლეს აბანოსაც უწოდებდნენ. მის დასავლეთით, ოდნავ მოშორებით კი მე-ლიქის აბანო მდებარეობდა. ძველ აბანოთაგან, ერეკლეს აბანოს გარდა, აღნიშნულია მეითარის (მე-17 საუკუნის პირველი ნახევარი), ენალას (მე-17 საუკუნე), გრილი აბანო (მე-17 საუკუნე), ბებუთასი (ასევე მე-17 საუკუნე). მეითარის აბანოს სუმბათოვისა ეწოდა. გრილ აბანოს, რომელიც მტკვრის სიახლოვეს მდებარეობდა, შიოვეის აბანოსაც უწოდებდნენ. აბანო იყო ციხის გალავნის შიგნითაც ე. წ. „ხოჯას აბანო“. ეს ის აბანოა, სადაც ალა-შაჰმადხანს განკურნება უცდია და გაცბუნებულს მისი დანგრევა უბრძანებია.

აბანოების სახელები ხშირად მისი მფლობელის სახელიდან ან თანამდებობიდან გამომდინარეობდა. ამიტომ იცვლიდა ხოლმე აბანო სახელწოდებას იმის მიხედვით, თუ ვის მფლობელობაში იყო იგი. აბანოს სახელწოდება მისი დამახასიათებელი თავისებურებიდანაც მოდიოდა (გრილი აბანო, პატრუქის აბანო). ენალა ქალაქის მელოქი იყო 1655—1672 წლებში. მას ხელახლა აღშენებია აბანო და წყალი დაუთხანის აბანოდან გამოუყვანია. ზოგიერთი მკვლევარი ენალას აბანოდ მე-19 საუკუნეში მირზოევის აბანოდ წოდებულ შენობას მიიჩნევს, რომელიც მირზოევამდე ზუბალაშვილს ეკუთვნოდა. ბებუთას აბანო კი დღევანდელი ე. წ. სავარნიზონო აბანო უნდა იყოს.

აბანოებს, ძირითადად, ირანული არქიტექტურის კვალი აჩნიათ (ეს მე-17 საუკუნის თბილისის არქიტექტურის ნიშანდობლივი თვისებათაგანია). მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლურ ყაიდაზე გადაკეთდა ე. წ. „პრელი აბანო“. სახელწოდება მან მიიღო სხვადასხვა ფერის ფილებისაგან, რომლებითაც მოპირკეთებულია შინარეთისმაგვარი კოშკებით დაგვირგვინებული მისი პორტალი.

ძველი თბილისის აბანოებს მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულება როდი ჰქონიათ. ისინი გარკვეულად საზოგადოებრივ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: „წინათ აბანო მსურველთათვის ღია იყო. ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ ჩამოსული გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა. საქონელს ბაჭში მირეკავდა, თვითონ კი, განზანაღ-განსუბუცებულს, ორშაურად მთელ დამეს აბანოში არხეინად ეძინა... აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ და სადილობდნენ კიდევ... მერე ჩაის სმა იწყებოდა... ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც. გარდა ამისა, ქალებს საშუალება ეძლეოდათ აბანოში გამოეფინათ თავიანთი ტუალეტები და ძვირფასი სამკაულები... ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა... რასაკვირველია, მაქანკალი ქალები არც აბანოში იფიწყებდნენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ღამაში ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოჩენია გატიტვებულ ქალს“.

აბანოებში დროსტარება ხშირად ფინალი იყო თბილისელი მოქეიფე ბოჰემისათვის. ბაღებში დაწყებული ქეიფი აბანოებში მთავრდებოდა ხოლმე.

აბანოს კარი — აღმოსავლეთიდან თბილისისაკენ მიმავალი განჯის გზა
დღევანდელი გრიშაშვილის ქუჩის ხაზს აპყვებოდა, შემდეგ ორად იყოფოდა.
ერთი ტოტი ლელეთახევის პირას განლაგებულ ბაღებს უქცევდა მხარს და
სამხრეთიდან მიადგებოდა განჯის კარს. გზის მეორე განშტოება ფაქობისა და
ბოდა გრიშაშვილის ქუჩის ხაზს და აბანოების უბანში წავისის ქუჩის
დებულებით, ქალაქის გალავნის აღმოსავლეთ კედელში გაჭ-
რილ აბანოს კართან მთავრდებოდა. მისი სახელწოდება სწორედ იმით აიხსნება,
რომ იგი აბანოების უბნისაკენ იყო მიმართული. აბანოს კარი დაახლოებით
ახლანდელი გრიშაშვილის ქუჩის ღერძზე მდებარეობდა. აბანოს კარიდან მგზავ-
რი დღევანდელ სამღებროს ქუჩის სწვრივად მიმავალი გზით ციხის, იგივე თათ-
რის (ამჟამინდელი გორგასლის) მოედანზე ხვდებოდა.

ჩვეულებრივ ქალაქის კარი საბაჟო პუნქტის დანიშნულებასაც ასრუ-
ლებდა. ასე, მაგალითად, მეფე როსტომის ბრძანებაში (მე-17 საუკუნის 40-იანი
წლები) კონკრეტულად იყო მითითებული ბაჟის რაოდენობა, რომელიც მეცი-
ხოვნეებს უნდა აედოთ ქალაქში შემსვლელ ვაჭართაგან, შემოსატანი საქონ-
ლის მიხედვით. ამიტომაც, რომ აღუქსანდრე პიშჩევიჩის მიერ 1785 წელს
შედგენილ თბილისის გეგმაზე აბანოს კარი, № 53-ით, მოხსენიებულია როგორც
საბაჟო.

აბას-აბაღის მოედანი — მე-19 საუკუნეში კავკასიის ადმინისტრაციულ
ცენტრს წარმოადგენდა. აქ იყო რუსეთის მეფისნაცვლისა და ჯარის სარდ-
ლობის ადგილსამყოფელი. თბილისის ზოგიერთ მოედანს ზოგჯერ რუსი ჯარის
მიერ დალაშქრულ ციხესიმაგრეთა სახელებს უწოდებდნენ ხოლმე. ასე გაჩნ-
და აბას-აბაღის (აწინდელი ალავერდოვის) მოედანი, რომელიც 1827 წელს
პასკევიჩის სარდლობით სპარსეთის ამავე სახელწოდების ციხესიმაგრის დაპ-
ყრობის აღსანიშნავად მისივე სახელი უწოდეს. აქ ერთ დროს რუსი ჯარის
პეუპტეხტი იყო, სადაც დამე გაუთევია მ. ლერმონტოვს.

აბარანი — თბილისის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სოფლების — წავისის,
შინდისის, ტაბახმელას და კოჯარის კრებითი სახელწოდება. „აგარა, სადგური
საზაფხულო“ (საბა). აგარანი ქართულ მეფეთა და დიდებულთა საზაფხულო
რეზიდენცია იყო.

აბურხანა — „თბილისის აგურხანები დიდძალ აგურს წვავენ“ (ი. გოგებაშვი-
ლი). თბილისში აგურხანები სხვადასხვა უბანში იყო განლაგებული: დღევან-
დელი ძნელაძის ქუჩის მიდამოებში, კომუნარების ბაღის შუა წელზე, ჩუღუ-
რეთში, ბელინსკის ქუჩის მიდამოებში და ა. შ. „ხანა“ სპარსულიდან მოდის და
ადგილს, სახლს ნიშნავს.

აპანანთხევი — თბილისის მრავალი ქუჩის ადგილზე უწინ ხევები იყო. ერთ-ერთი ასეთი ხევი — ავანანთხევი ჰკვეთდა დღევანდელ ლენინის მოედანს, მიუყვებოდა პუშკინის ქუჩის ხაზს, შემდგომ მკვეთრად უხვევდა და მტკვართან ჩადიოდა ბარათაშვილის ქუჩის სწვრივად. 1841 წელს გადაჭრეს ხევი ნაწილი, ხოლო 1857 წლისათვის ავანანთხევი უკვე მთლიანად გაქრა. ნაწილი ავურის კამარით, რომლის ნაწილი გამოჩნდა კოლმეურნეობის მოედანზე მიწისქვეშა გადასასვლელის მშენებლობისას. იგი გამოიყენეს გადასასვლელის არქიტექტურული გაფორმებისათვის — მის სიღრმეში მაღაზიაა მოწყობილი.

ამლაბარი — ამჟამად ავლაბარი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ვანლაგებული ვრცელი რაიონია. თავდაპირველად კი იგი ისნის (მეტეხის) ციხესიმაგრეს მიკედლებული (დაახლოებით 8 ჰექტარის ფართობის) უგალავნო ნაწილს წარმოადგენდა, დღევანდელი შაუშიანის ქუჩასა და მეტეხის კლდის გასწვრივ. ეს ის ტერიტორიაა, რომელიც მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, ვრცელ მეორის მეფობის ხანაში შემოიზღუდა გალავნით. დღეს ხშირად ისანს და ავლაბარს აიგივებენ ხოლმე, რაც სავსებით როდი შეესაბამება ამ ნაწილების ჩამოყალიბების ისტორიას. დღევანდელი ავლაბრის მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ნაწილი ატარებდა ჯერ ისნისა და შემდგომში ავლაბრის სახელწოდებას. ავლაბარი, გარეუბნის სახით ვრცელდებოდა აწინდელი შაუშიანის ქუჩის გადაღმაც (ქუჩის ხაზზე ძველად თბილი გადიოდა). ავლაბრის ეს გარეუბანი ნაჩვენებია ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე. შემდგომში ამ ტერიტორიას „გარეთავლაბარს“ ან „ავლაბრის უბანს“ უწოდებდნენ. მას საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ეკავა. 1783 წლის აღწერით, იმ დროს შიდაავლაბარში 219, ხოლო გარეთავლაბარში 136 კომლი სახლობდა. გარდა ამისა, მეტეხში 73 კომლი ყოფილა.

ვარაუდობენ, რომ სახელწოდება „ავლაბარი“ XIV საუკუნიდან უნდა იყოს გავრცელებული. პირველი წერილობითი საბუთი — შეწირულობის სიგელი. — სადაც „ავლაბარია“ მოხსენიებული 1392 წლით თარიღდება.

ბოლო დრომდე თვლიდნენ, რომ ავლაბარი „სასახლის მიდამოს“ ნიშნავს. „ჰავალი“ არაბულად მიდამოა, ხოლო „ბირ“ — სასახლე. ამგვარი ახსნა საკმაოდ სარწმუნოდ გამოიყურებოდა, რადგან ისნის (გვიან-მეტეხის) ციხესიმაგრეში მართლაც მდებარეობდა მეფის სასახლე. ასეთ განმარტებაში ერთი გაუგებრობა კია. ცნობილია, რომ XIII საუკუნიდან ძველი ისნის ციხეს მეტეხი ეწოდებოდა, ავლაბარი კი გალავნის გარეთ მდებარე უბნის დასახლება უნდა ყოფილიყო. ზემოთ მოყვანილი განმარტება კი ავლაბრის სახელწოდებას მეტეხზეც ავრცელებს, რადგან სწორედ აქ მდგარა სასახლე. „ავლაბრის“ ეტიმოლოგიის დამაჯერებელ ახსნას იძლევა თბილისის ისტორიის მკვლევარი თეიმურაზ ბერიძე. მისი განმარტებით, სიტყვა „ბარე“ ნიშნავს სანაგარს, ზღუდეს,

გალავანს. მაშასადამე, სახელწოდება „ავლაბარი“ გალავანის იქნება მიდამოს, გარეუბანს ნიშნავს¹. ეს განმარტება მით უფრო სარწმუნოა, რომ იგი ზუსტად ასახავს შუასაუკუნოვანი თბილისის მარცხენა ნაპირის ქალაქ-მშენებლურ სტრუქტურას.

როგორც ჩანს, XVII საუკუნეში ავლაბარი საკმაოდ გავრცელებული საკუთრებით კი ის ნაწილი, რომელიც ერეკლე მეორის მეფობიას ამოყვანილი გალავანის გარეთ აღმოჩნდა და გარეთავლაბრის სახელს ატარებდა. აქ ვახუშტი ბაგრატიონი ორ ეკლესიას მიუთითებს: „სომხის საყდარს“ და „ბერძნის საყდარს“. ეს უკანასკნელი შემდგომში წმინდა მარინეს სახელით არის მოხსენიებული და თბილისის 1800 წლის გეგმაზე მის გალავანს ქართული სასაფლაო აკრავს გარს. ვახუშტი ბატონიშვილს მახათის მთის ძირას, შუაღბისა და ლილოს გზებს შორის აღნიშნული აქვს „მელიქის საყდარი“ და „ზებუთას ბაღი“. საყდარიც და ბაღიც XVII საუკუნეში ზარაბთხუცესს ხოჯა ბეჭბუდას აუშენებია მეფე როსტომის დასტურით.

ავლაბარში სახლობდნენ მეფის, თავადაზნაურთა და საეკლესიო ყმა-გლეხები. ამ უბანში განვითარებული იყო ხელოსნობაც. ავლაბარში ქართველების გარდა სახლობდნენ სპარსელები, ბერძნები და სომხები.

XVIII საუკუნეში ლეკთა თარეშის გამო ავლაბარი დაცარიელდა. ეს იმიტომ აიხსნება, რომ ლეკების რაზმები თბილისს უმეტესად ავლაბრის მხრიდან ესპობდნენ თავს. ქალაქის მოსახლეობის შემცირება შავი ჭირის ეპიდემიებითაც იყო გამოწვეული, რომელიც განსაკუთრებით მძვინვარებდა 1770 და 1781 წლებში. ერეკლე მეორე და მისი გარდაცვალების შემდეგ გიორგი მეორემეტე თბილისის ამ უბანში ასახლებდნენ ერევნიდან და ლორიდან გადმოხვეწილ სომხებს.

პლატონ იოსელიანის ცნობით, XV საუკუნეში ავლაბარში სასახლეები ჰქონიათ სამეგრელოს და გურიის მთავრებს. თბილისის 1785 წლის გეგმაზე ავლაბარში აღნიშნულია გიორგი ბატონიშვილის სახლი. დედოფალი დარეჯანი XVIII საუკუნის 70-იან წლებში ავლაბრის გალავანის ერთ-ერთ ბურჯთან აშენებს სასახლეს, რომლის ნაწილია — „საჩინო“ დღემდე მოაღწია. აქვე აშენდა სასახლის კარის ეკლესია „მოწამეთა ირაკლის და დარეჯანის“ სახელზე, რომელიც 1824 წელს მაცხოვრის ფერისცვალების მონასტრად აკურთხეს.

თბილისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე არაერთხელ შემცირებულა და მას კვლავ გაუშლია მხრები. ხანგრძლივი შემოსევებისას მკვეთრად მცირდებოდა ქალაქის გარეუბნები. ამ ბედს იზიარებდა ავლაბარიც, მით უმეტეს, რომ იგი XVIII საუკუნემდე უგალავნოდ იყო. ერეკლე მეორემ ენერგიულ ზომებს მიმართა თბილისის საფორტიფიკაციო სისტემის განახლებისა და განმტკიცებისათვის. XVIII საუკუნის 70-იან წლებში გალავნით შემოიზღუ-

¹ იხ. თ. ბერიძე, ...და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1977, გვ: 115.

და შიდაავლაბარი. სწორედ ამ ვალაენის ბურჯზეა დაერდნობილი „სანიონი“ გარეთავლაბარი კი კვლავ ქალაქის გაუმავრებელ გარეუბნად დარჩა.

პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის 1800 წლის გეგმა ფაქტიურად გვიანფეოდალური ხანის თბილისის განაშენიანებას ასახავს. გეგმაში ფერით გამოყოფილია ის უბნები და ნაგებობები, რომლებიც უკვე აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევისას, ეს კი შემოსევამდე არსებული დაგეგმარების დაღვევის საშუალებას იძლევა. ჩუიკო თბილისს ყოფს თორშეშეტი ნაწილად. მტკვრის მარცხენა ნაპირზე ცალ-ცალკეა გამოყოფილი მეტეხი, ავლაბარი და ავლაბრის გარეუბანი. მათგან ავლაბარი (შიდაავლაბარი) და მეტეხი ვალაენითაა დაცული. ვალაენი 26 სხვადასხვა ზომის ნახევარწრიული კომპლექსით იყო გამავრებული. შიდაავლაბარში შესასვლელი კარიბჭე ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან, ვუბნის შესაყართან მღვებარეობდა (დღევანდელი შაუმიანის მოედნის მიდამოებში).

შიდაავლაბრის დაგეგმარება მკვეთრად განსხვავდებოდა თბილისის სხვა ნაწილების ქუჩების ქსელისაგან. იგი ერთგვარად რეგულარულ ხასიათს ატარებდა. ძირითადი ქუჩები მეტეხის კლდის სწვრივის პარალელურად გადიოდა, ხოლო შთავარი ქუჩა მათ ოდნავ ირიბად ჰკვეთდა. ეს ქუჩა იწყებოდა კარიბჭესთან და განივად ჰკვეთდა უბანს (აწინდელი მეტეხის ქუჩა). მის ღერძზე, კლდის ნაპირას წმ. გიორგის მცირე ეკლესია იდგა. გარეთავლაბარი კი ქუჩების ქაოტურ ხლართს წარმოადგენდა. გარეთავლაბარი დაინგრა სპარსელების 1795 წლის შემოსევისას.

ზემოთ მოხსენიებულ შთავარ ქუჩაზე განლაგებული იყო ავლაბრის ბაზრის (ძირითადად სანოვავე) რიგები. ამ ბაზარს მიუთითებს ა. პიშჩევიჩი 1785 წლის გეგმაზე. ამავე და გვერდით ქუჩებში დიდი რაოდენობის სახელოსნოები იყო, სადაც შრომობდნენ მკალავეები, მეჭურჭლეები, მეთუნეები, მეჭაგეები, მკუბრალები და ა. შ. აქ ქარვასლებიც იდგნენ.

მთავარმმართველის კნორინგის მიერ შედგენილ საპოლიციო წესდებაში ქალაქის მეოთხე ნაწილად აღნიშნულ ავლაბარში 300 სახლია მოხსენიებული.

1821 და 1831 წლების გეგმების მიხედვით ავლაბარი თანდათან იწყებს განახლებას. ამ დროისათვის ავლაბრის ვალაენი უკვე მოშლილია. ამასთან, შიდაავლაბარში შემორჩენილია გვიანფეოდალური ხანის ქუჩების ქსელი (მან ძირითადადში დღემდე მოაღწია). ამ დროს დაშუშავდა ავლაბრის რეგულარული განაშენიანების პროექტიც, სწორხაზოვანი ქუჩების ბადის სახით. ეს პროექტი არ განხორციელებულა და ავლაბარი ქაოტურად შენდებოდა. გასული საუკუნის 30-იან წლებში ავლაბარი უკვე მჭიდროდ არის დასახლებული.

1859 წლის თბილისის გეგმაზე ავლაბარს (ამჟერად იგი ქალაქის მესამე ნაწილად არის წარმოდგენილი) სამხრეთით მტკვარი საზღვრავდა, აღმოსავლეთიდან — მახათას მთის კალთები, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან წმ. ბარბაქაძის მიწიერი, ჩრდილოეთიდან — ჩუღურეთი. გასული საუკუნის 80-იანი წლებისათვის ავლაბრის განაშენიანება შავ სოფელს (მარზა-აბათს) აღწევს.

ავლაბრის ცენტრს ტრაპეციის ფორმის კახეთის მოედანი წარმოადგენს, რომელიც წარმოიშვა შიდაავლაბრის ყოფილი ვალავნის კარიბჭესთან ამ ქუჩის რადიალური ქსელი აღარ განვითარდა.

გვემარებინ ხასიათი, რომელიც გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო სახა, ზოგიერთი გამოჩენისით, დღემდე მიღწეული. ჩვენს დარბაზში მნიშვნელოვანმა ნაწილმაც. აქა-იქ შემონახულია ძველ-თბილისური საცხოვრებელი სახლების საინტერესო მაგალითები. განსაკუთრებით აღსანიშნავია „დარბაზის“ ტიპის სახლის ერთადერთი შემორჩენილი ნაშთი, ბანიანი სახლები ჩეხოვის ქუჩაზე და გასული საუკუნის თბილისისათვის დამახასიათებელი სახლები აყურული ხის აივნებით არმაზის, რუისის, ფიგნერის ქუჩებზე და მეტეხის კლდის სწვრივის განაშენიანება.

ავლაბრის კარი — XVIII საუკუნის მეორე ნახევარამდე მეტეხის პლატოს მცირე ტერიტორია ვალავნით იყო შემოვლებული. ციხესიმაგრე ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ზემო ნაწილი უშუალოდ პლატოზე მდებარეობდა, დღევანდელ მეტეხის აღმართსა და მეტეხის კლდის სწვრივს შორის. ამ ბირთვის დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთი კედელი ჰქონდა გარშემოვლებული, რომელიც ქვევით ეშვებოდა და ისინი (მეტეხის) ხილთან მთავრდებოდა. კარიბჭე ვაკრილი იყო იმ ადგილს, სადაც ეს გარშემოვლებული კედელი ძირითად ვალავანს უერთდებოდა და აწინდელ მეტეხის აღმართზე გადიოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ახალი ვალავანი შემოაგულეს შიდაავლაბრის ვრცელ ტერიტორიას ჯერ კიდევ არაბების დროს შექმნილი თბილისის ხაზზე (ამჟამინდელი შაუმიანის ქუჩის დასაწყისი და მუკუზნის შესახვევი). მთავარი კარი მოეწყო იმ ადგილზე, სადაც ახლა მეტეხის ქუჩა ერწყმის შაუმიანის მოედანს. აქედან იწყებოდა გზები ავჭალისაკენ, კახეთისაკენ (ყარაიაზე განშტოებით), მარტყოფისაკენ. ვახუშტი ბაგრატიონი ამ გზებს ასე ჩამოთვლის: ბაღების გზა ყარაისა, კახეთის გზა, შუატბის გზა, ლისის გზა, ავჭალის გზა.

ავლაბრის კარი ორ მძლავრ ბურჯს შორის იყო მოქცეული. აქ იწყებოდა შიდაავლაბრის მთავარი (აწინდელი მეტეხის) ქუჩა, რომელსაც სასურსათო დუქნების რიგები მიუყვებოდნენ.

ავლაბრის ხიდი — უძველესი დროიდან მეტეხის ვიწროებში ხიდი იყო გადებული, რომელიც ისანს აკავშირებდა კალასთან. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან კი ამ ადგილზე, ერთმანეთის უშუალო სიახლოვეს, ორი ხიდი იყო. 1870 წელს ხის ხიდები ლითონისამ შეცვალა. ერთ მთავანს, დინების აღმა, ავლაბრისა ერქვა, მეორეს მეტეხისა. ავლაბრის ხიდზე ტრანსპორტი ერთი მხრივ მოძრაობდა — მარჯვნიდან მარცხნივ. ავლაბრიდან მომავალი ურემები თუ სხვა სახის ტრანსპორტი მარჯვენა ნაპირზე ვორონცოვის ხიდით გადიოდა. ახლანდელი მეტეხის ხიდის აგების შემდეგ, 50-იან წლებში, ძველი ხიდები მოშალეს.

აშენიანი — აშენიანი აშენით დაფარულ ადგილს ეწოდება. აშენი მრავალ-
წლოვანი ბალახოვანი მცენარეა, გავრცელებული ტრამალებში, ნახევარ-
უდაბნოებში, მომალაშო ნიადაგებზე. აშენი ყუთიანი საკვებია ცხვრისათვის.

აშენიანი ეწოდება იბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთით თბილისის ქუჩის
მიმდებარე ტერიტორიას. ამჟამად აქ სახნავი მიწები და საკარმიდამო მიწები
თება.

თბილისის განვითარების გენერალური გეგმით ამ ტერიტორიაზე ორი
საცხოვრებელი რაიონის გაშენებაა გათვალისწინებული. აშენიანის განაშენი-
ანების პროექტის ავტორებია ნ. მიქაძე, ო. მანჯავიძე, ვ. ნუცუბიძე, დ. სვანი-
ძე. ხევამარის ხევით გაყოფილი ორი საცხოვრებელი რაიონი 415 ჰექტარს
დაიკავებს.

აშენიანი — გადმოცემით, მდინარის ახლოს განლაგებული, გაუვალი ქაობე-
ბით დაფარული ტერიტორია შიშს გვრიდა აღაშენებს. ხალხში გავრცელებუ-
ლი იყო რწმენა, რომ ამ მიდამოებში ავი სულელები ბინადრობდნენ. მგზავრები
ცდილობდნენ გაცლოდნენ ამ ადგილს, რომელსაც ძველთაგან „ავი ქალის“
სახელი ეწოდა.

აქალა თბილისის ოფიციალურად 1962 წელს შემოუერთდა. ამჟამად იგი
ლენინის სახ. რაიონის სამრეწველო ვარეუბანია. მანამდე კი იგი ვარდბანის
რაიონის ერთ-ერთი სოფელი იყო, თბილისის ჩრდილოეთით, მდინარე მტკვრის
მარცხენა ნაპირზე, საგურამოს ქედის შთისწინეთის ტერიტორიაზე.

აქალის დასახლება უძველესი დროიდან არის ცნობილი. დიდი თურქო-
ბის დროს XI — ს-ის 80-იან წლებში თურქები ზამთრობით აქალასა და
დილოში იღვნენ. „ზამთრისა მოწევასა ფალანგებითა მათითა ჩამოღვიან აქვა-
ლას (პაეკალას). დილომს (დილუამს)“ — მოგვითხრობს დავით აღმაშენებლის
ისტორიკოსი, როდესაც იგი დიდი თურქობის დროის ამბებს აღწერს. IX-XI
საუკუნეებში აქალა თბილისის საამიროში შედიოდა. XII-XIII საუკუნეებ-
ში კი კახეთის საერისთავოს ეკუთვნოდა.

აქალასთან მდინარეზე ხელსაყრელი ფონი იყო, რითაც მტრები და მათ
შორის ლევი მოთარეშებები სარგებლობდნენ. მათგან თავდასაცავად მე-18 საუ-
კუნის 30-იან წლებში აქ მტკვრის გაყოლებით ციხე-კოშკები აშენდა. სოფე-
ლი აქალა ამ დროისათვის თავად გურამიშვილების მამულში შედიოდა. გა-
სული საუკუნის, შუა ხანამდე მოაღწია მტკვრის პირას მდგომმა თავად გურამი-
შვილის სასახლემ, რომელიც გალაკით იყო გარშემორტყმული.

აქალისკენ მიმავალ გზას აჩვენებს ვახუშტი ბატონიშვილი მის მიერ შედ-
გნილ თბილისის პირველ გეგმაზე (1735 წ.). თბილისის ტერიტორიაზე იგი
გარეთ ავლაბარსა და ჩუღურეთს შორის ვადიოდა. იგივე გზა აღნიშნულია
მე-19 საუკუნის დასაწყისში ტიზონოვის მიერ შედგენილ თბილისის სიტუა-
ციურ გეგმარზეც, სოფელ კუკიასთან, კვირაცხოველის ხევის ვადალმა, სადაც
ორად იყოფოდა. მტკვართან უფრო ახლო გამავალ გზას გეგმაზე ეწოდება

„ქვედა გზა სოფელ დიდი ავჭალისკენ“, ხოლო მეორეს — „ზედა გზა“ — ამ უკანასკნელს უფრო ვრცელი განმარტებაც აქვს: «Верхняя дорога в хол. Большие Овчалы и от онаго выходит в местечко Цхет на большую в Россию идущую дорогу» ქვედა ავჭალის დასახლების დიდი ნაწილი წინააღმდეგობა შემდგომშიც, მე-19 საუკუნის შუა ხანებში შედგენილ თბილის-საქართველო რკინიგზის კიბეებზე.

ჩვენ დროში ავჭალა საყოველთაოდ ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აქ 1927 წელს დამთავრდა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. ელსადგურის არქიტექტურული ნაწილის ავტორია ა. კალგინი, მ. მაჭუაძე-ბაქრაძისა და კ. ლეონტიევის მონაწილეობით. ავტორებმა მოხერხებულად გამოიყენეს რელიეფი და ორგანულად ჩაწერეს ნაგებობები გარემოცვაში. ვარე არქიტექტურაში ტაქტიკაა გამოყენებული ეროვნული მოტივები. კომპლექსში ჩართულია ვ. ი. ლენინის 16-მეტრიანი მონუმენტური ძეგლი, რომელიც მთავარი სადგურიდან 2 კილომეტრითაა დაშორებული (მოქანდაკე ი. შადრი, არქიტექტორი ს. ჩერნოშოვი).

თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური პროექტით გათვალისწინებულია ავჭალის შემდგომი განაშენიანება. ავჭალის საცხოვრებელი რაიონის ფართობი დაგეგმილია 450 ჰექტარზე. იგი უშუალოდ ესაზღვრება თბილისის ზღვას. დასავლეთიდან ტერიტორიის საზღვრავს ავჭალის გზატკეცილი, ჩრდილოეთიდან — ხევი, „ხევამარა“, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ე. წ. „მშრალი ხევი“, ხოლო სამხრეთიდან — თბილისის ზღვის მწვეანე ზონა. ავჭალა სამ ზონად იყოფა. ავჭალა პირველი — 210 ჰექტარი, მეორე — 180 და გეგმარებითი რაიონის ცენტრი — 150. ეს საამშენებლო ბაქნები გამოიყოფა რელიეფის თავისებურებებით და გარშემოსავალი გზით. ავჭალა პირველის დიდი ნაწილი (სამი მიკრორაიონი ოთხიდან) განაშენიანებულია სხვადასხვა დროს შემუშავებული პროექტების საფუძველზე.

პროექტით, ავჭალა პირველის კომპოზიციურ ღერძს წარმოადგენს საპარკო ზონა, რომელსაც საზოგადოებრივი ცენტრის ფუნქცია დაეკისრება. მწვეანე ზოლის ორთავ მხარეს საცხოვრებელი მიკრორაიონებია ვანააგებული. პირველი მიკრორაიონი განაშენიანებულია 5-სართულიანი სახლებით, მეორე და მესამე მიკრორაიონი 8-სართულიანი მსხვილბლოკური სახლებით, ხოლო მეოთხე მიკრორაიონი მთლიანად განაშენიანდება ცხრასართულიანი მსხვილბლოკური და მსხვილბლოკური სახლებით. სივრცითი კომპოზიციის ორგანიზაციისათვის გამოყენებულა 16-სართულიანი კარკასულ-პანელური სახლები.

ავჭალა მეორის ტერიტორია დაყოფილია ოთხ მიკრორაიონად (არქიტექტორები თ. ბოკორიშვილი და გ. გელდიაშვილი). ყოველი მიკრორაიონის ცენტრალური ნაწილი დათმობილია ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი მწვეანე ზონისათვის. ხეივნების ორივე მხარეზე დაპროექტებულია საცხოვრებელი სახლების ორ-ორი ჯგუფი, რომლებიც გაერთიანებული არიან შიდა ეზოების სივრცეებით. საბავშვო დაწესებულებები გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების ჯგუფების შუალედში. ყოველი მიკრორაიონის შუა ნაწილში, შენი-

ბების პირველ სართულზე, განთავსდება მოსახლეობის პირველადი მომსახურების დაწესებულებები. მიკრორაიონებში დაპროექტებულია აგრეთვე რიონული დანიშნულების ობიექტები — კლუბები, კინოთეატრები.

დაგეგმარებული რაიონის ცენტრს 150 ჰექტარი უკავია. მის მთავარ ფუნქციას კულტურულ-საყოფაცხოვრებო და აღმინისტრაციული შენობით, განამარტობული ხეივანი ქმნის. ცენტრი, საზოგადოებრივი ბირთვი გახსნილია ხეივანებს ხევისავე. პროექტი ამ ადგილზე საპარკო ზონის და წყალსატევის შექმნას გულისხმობს. ცენტრის განაშენიანება გათვალისწინებულია ინდივიდუალური პროექტების საფუძველზე.

აეჭალის საცხოვრებელ რაიონში 60 ათასამდე თბილისელი დასახლდება.

ამბაღის გზა — აეჭალის გზა გალავნის ავლაბრის კართან იწყებოდა, რომელიც XVIII საუკუნემდე აწინდელ მეტეხის აღმართზე მდებარეობდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ავლაბრის თავდაცვითი სისტემის გაფართოებასთან დაკავშირებით ავლაბრის კარი დღევანდელი მეტეხის ქუჩის შაუშიანის მოედანთან შერწყმის ადგილზე მოეწყო. კარიბჭიდან გზა მტკვრისკენ ვშვებოდა, რიყეს ჰკვეთდა და მდინარის მარცხენა ნაპირს აღმა აუყვებოდა. სოფელ კუქის შემდეგ (კუქია იმ დროს მტკვრის ნაპირას იყო, დღევანდელი მარქისის მოედნის მიდამოებში) იგი ორად იყოფოდა. ერთ მათგანს „ქვემო აეჭალის გზა“ ერქვა, მეორეს — „ზემო აეჭალისა“.

ამომბა — ათეშქა ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავის სახელწოდებაა. იგი სპარსული „ათეშ-ქაღდე“-დან მოდის, რაც ცეცხლის ტაძარს ნიშნავს. სპარსეთში, იეზიდში დღემდე შემორჩენილ ათეშ-ქაღდეში ცეცხლი ანთია ნახევრად ჩაბნელებულ სალოცავში, საფეხურებზე შეყენებულ ბრინჯაოს ლანგარის ფორმის საცეცხლურზე. ცეცხლისთვის მხოლოდ ხეხილის შუშას იყენებენ, რის გამოც სათავსში სასიამოვნო, მოტკბო სურნელი ტრიალებს. „წმინდა ცეცხლთან“ შუღმივად იმყოფება ქურუმი, რომელიც იცავს „ავი თვალისგან“ და არ აძლევს ჩაქრობის საშუალებას.

კლდისუბანში, ღეთხაინის სამრეკლოს სიახლოვეს, შემალღებულ ადგილზე დგას აფურით ამოყვანილი ოთხკუთხა შენობა, ჩამონგრეული გადახურვით, რომლისგანაც კამარის მცირე ნაწილია შემორჩენილი. პლატონ იოსელიანის ცნობით, აქ უძველეს დროიდან ცეცხლთაყვანისმცემელთა საეკრპე — ათეშქა მდგარა. იგი, როგორც უძველესი ძეგლი, შემოუნახაეთ ქართულ მეფეებს. პლატონ იოსელიანისვე თქმით, XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსმალებს თბილისში ორი მეჩეთი აუგიათ, ერთი მათგანი — ძველი ათეშქას ადგილზე. თურქების განდევნის შემდეგ, ნადირ შაჰის ბრძანებით, ორთავე დაუნგრევიათ 1735 წელს. XIX საუკუნეში ერთ ხანს შენობა კერძო მფლობელობაში ყოფილა. უძველესმა სახელწოდებამ კი საუკუნეებს გაუძლო.

ალაფხანა — ალაფხანა მარცვლეულით და ფქვილით მოვაჭრეთა რიგებს ეწოდებოდა. ძველ თბილისში სანოვაცის ბაზარი თათრის მოედანზე ეწყობოდა. ალაფების ღუქნები მოედნის დასავლეთ მხარეზე იყო განლაგებული.

ეროვნული კულტურა

ალექსანდრე დროშინი — 1818 წელს სოფელ კუციას მიმდებარე ტერიტორიაზე ეოტენბერგიდან გამოსული გერმანელი კოლონისტები დასახლდნენ. ბაღებით და ბოსტნებით ვარშემორტყმული სახლები ორ მწკრივად გასდევდნენ მთავარ ქუჩას (დღევანდელი პლუხანოვის პროსპექტის ხაზზე), დასახლებას რუსეთის იმპერატორის პატივსაცემად ალექსანდრე დროშინი ეწოდა. თბილისის ბაზრებზე რძის ნაწარმისა და ბოსტნეულის დიდი ნაწილი გერმანელებს გამოჰქონდათ. შემდგომში ალექსანდრე დროშინი გერმანელთა ეკლესია — კირხე შენდება. აქედან მოდის მარჯანიშვილის მოედნის და ქუჩის პირვანდელი სახელწოდება — „კირონიაა“. კირხე აწინდელი მარჯანიშვილის მოედანზე მდებარე ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლის ადგილზე იდგა. 1824 წელს კუცია და ალექსანდრე დროშინი ოფიციალურად ქალაქს მიაწერეს. გასული საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან აქ არსებული გზა თანდათან ქუჩის სახეს ღებულობს, თუშკა დასახლება ჭერ დიდხანს ატარებდა სოფლის იერს. 1844 წლის გეგმაზე გერმანელთა დასახლება საგრძნობლად გაზრდილია მთავარი ქუჩის სწვრივად. 1853 წელს ამ მიდამოებზე ვრცელდება ქალაქური განაშენიანების წესები, ტერიტორია შედის მე-4 საპოლიციო უბანში. მშენებლობის ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში, მას შემდეგ რაც ვერის ხიდი გაშენდა (დღევანდელი ელბაქიძის ხიდის ადგილზე). ამ ხანებში ალექსანდრე დროშინის ტერიტორია ჭერ კიდევ ბაღებით იყო დაფარული. თბილისის 1905 წლის გეგმარზეც კი ბაღებს საკმაოდ ვრცელი ფართობი ეკავათ. იმ დროს მწვანე მასივისაგან ჩვენამდე მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მოაღწია (ფილარმონიის საზაფხულო ბაღი, პიონერების ბაღი და ზოგიერთი შიდა ეზოს გამწვანება).

ალექსანდრე ბაღი — ასე ეწოდებოდა დღევანდელ კომუნარების ბაღს. იგი დამრეცი რელიეფის ორ დონეზეა გადაშლილი.

ბაღის ქვედა ბაქანზე ძველად ყაბახი (ასპარეზი) იყო. ყაბახი ამ ადგილზე ტურნეფორისეულ თბილისის 1701 წლის ნახატზეა ნაჩვენები. ამასვე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონიც თბილისის 1735 წლის გეგმაზე. ამ ადგილზე კვლავ ყაბახია მე-19 საუკუნის დასაწყისშიც (თბილისის 1800 წლის გეგმა). აქ სხვადასხვა სახის ასპარეზობა იმართებოდა ხოლმე. ერთმანეთს ცვლიდნენ ცხენოსნები, მოჭიდავეები, ყოჩები, აქლემები, მამლები...

ძველი თბილისის მცოდნე და მოტრფიალე იოსებ გრიშაშვილი ასე აღწერდა ყოჩების ჭიდაობას: „ყველაზე ძლიერ გავრცელებული იყო ყოჩების ჭიდაობა. ჭიდაობის მოყვარულნი დაყოჩებულ ერკემალს სახლში ზრდიდნენ,

განსაკუთრებული მზრუნველობით ემცეოდნენ, პურზედ ინახავდნენ და ჯაქვთა ჰყავდათ დაბმული, რომ უბრალოდ არაეის დასტაეებოდა. ყოჩაობის დროს კი ჭერით ათარობდნენ, ყელზედ ფერადმძიეებიან საყელოს უქეთებდნენ, ჭიორის ენდროთი უღებავდნენ და უკანგადატანილ რქის წვერებს კოპწილ გადაუხერხავდნენ... ჭიდაობის გათაეების შემდეგ, ყველანი „ჩასხტყაქსტყმ“¹ მტყერის პირას ჩარხებთან და იმართებოდა მეგობრული ჭეიფი. ბიბ¹ნიქთქქ

დღევანდელი ბალის ზედა ბაქანზე ჭაშვეთის ეკლესიასა და ჭორჭიაშვილის ჭუჩას შორის გვიანშუასაუკუნეებში ქართული სასაფლაო იყო. დაახლოებით ამჟამინდელ ძნელაძის ჭუჩის სწვრივად მოფანტული იყო აგურის მცირე საწარმოები — აგურხანები. ისინი მოშალეს კავკასიის მხარის მთავარმმართველის ერმოლოვის განკარგულებით, რადგან „...ისეთი ორმოები გაჩნდა, რომ საფრთხეს უქმნიან არა მარტო ცენოსნებს, არამედ ფეხითმავალთაც“.

გასული საუკუნის შუა ხანებში ძველი ყაბახის ტერიტორიაზე მოაწყვეს სამხედრო პლაცი („ალექსანდრეს პლაცი“), 1859 წელს კი საფუძველი ჩაეყარა ფერდობებზე გაშლილ ბაღს. თბილისის პირველი საზოგადოებრივი ბაღი საზეიმოდ გაიხსნა 1865 წელს, მას ალექსანდრეს სახელი შეუნარჩუნეს.

ბაღი დაპროექტა არქიტექტორმა ოტო სიმონსონმა. იგი ეპიზოდური პიროვნება როდია მე-19 საუკუნის თბილისის არქიტექტურაში. ოტო იაკობ სიმონსონი (1832—1914), რუსეთში გადმოსახლებული შვედი ოჯახის შთამომავალი, 1858 წელს იღებს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსის წოდებას. იგი თბილისში მოღვაწეობდა 1858—1903 წლებში. დაპროექტებული და აშენებული აქვს შენობების დიდი რაოდენობა თბილისსა და საერთოდ კავკასიაში. თბილისში აგებულ შენობათა შორის აღსანიშნავია მეფისნაცვლის სასახლე (დღევანდელი პიონერთა სასახლე).

ალექსანდრეს ბაღი რეგულარული დაგეგმარებისა იყო და თბილისის იმდროინდელი პრესა მას პირველ „ევროპულ ყაიდის“ ბაღს უწოდებდა. სიმონსონმავე დააპროექტა ამ ბაღისათვის საგამოფენო პავილიონები, მებაღის სახლი, კაფე-რესტორანი, შადრევნები, ჭაშვეთის ეკლესიის ახალი გალავანი.

დღეს ბაღის ტერიტორიაზე რუსთაველის პროსპექტზე გამავალი ორი შენობა დგას — ჭაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია (იხ. ჭაშვეთი) და სურათების გალერეა.

სურათების გალერეა აშენებულია 1885 წელს. შენობა განკუთვნილი იყო სამხედრო-ისტორიული მუზეუმის, „დიდების ტაძრისათვის“. მის არქიტექტურაში გამოყენებულია ბაროკული მოტივები — ტეხილი ანტაბლემენტი, ექსედრა (ნახევარწრიული ნიში) ცენტრში, პროფილირებული დაფები და ა. შ.

1981 წელს ჩატარდა კომუნარების ბაღის ქვემო ნაწილის რეკონსტრუქცია. რეკონსტრუქციის ავტორებია: თ. თევზაძე, დ. სულთანისვილი, გ. ჯაფარიძე, მოქანდაკე — გ. შხვაცაბაია.

ბაღის ზედა ნაწილში 1904 წელს დადგეს მოქანდაკე ფ. ხოდოროვიჩის

¹ ი. გრიშაშვილი. ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი 1927, გვ. 30

მიერ შესრულებული ნ. გოგოლის ძეგლი. ეგნატე ნინოშვილის — ბიუსტი, რომელიც ვარდისფერ კვარცხლბეკზე დგას ჯორჯიაშვილის ქუჩისა და ბრას-პეტის გადაკვეთასთან, 1922 წელს აღმართეს. ბიუსტი იაკობ ნიკოლაის ნაშუ-შევარია. ბალის საწინააღმდეგო მხარეზე ჯორჯაძის ქუჩის მხრიდან 1939 წელს რუს პოსტამენტზე დადგეს თეთრ ქვაში გამოკვეთილი გამოჩენილი ქართველი მწიგნობრის ლადო კეცხოველის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურაძე). ბალის ეგნატე ტრასზე დადგმულია საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორის ბორის ძნელაძის ქანდაკება (მოქანდაკეები რ. თავაძე და კ. მერაბიშვილი, 1929). პოსტამენტის რეკონსტრუქცია განხორციელდა 1958 წელს არქიტექტორების გ. მეღვიასის და შ. ყავლაშვილის პროექტით.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ბაღს კომუნარების სახელი უწოდეს.

ამბარაძი — ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმარზე სოლოლაკის უბანში № 41-ით ნაჩვენებია კედლით შემოზღუდული ნაგებობათა კომპლექსი, რომელსაც იგი „ამართს“ უწოდებს. „ამართი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და სხვა სინონიმთა შორის „შენობას“ და „სასახლესაც“ ნიშნავს. იგივე კომპლექსს ნახევარი საუკუნის შემდეგ (1785 წელს) აღნიშნავს თბილისის გეგმაზე ა. პიშჩევიჩი. ამჯერად ნაგებობა მიტოვებული და გაპარტახებულია. ექსპლიკაციაში ნათქვამია: „ნანგრევები საქართველოს მეფის ძველი რეზიდენციისა“. ქალაქგარეთა ეს რეზიდენცია მდებარეობდა სოლოლაკის მთის ფერდობზე, დაახლოებით აწინდელი მახარაძის ქუჩის ღერძის მიმართულებით, ენგელსის ქუჩის გადაღმა, ძველ გეგმებზე ამართის დასავლეთით მხოლოდ თოფის წამლის ქარხანა და თბილისის ბაღია ნაჩვენები.

ანჩისხატი — ასე ეწოდება წმინდა მარიამის (ზარის) ეკლესიას, რომელიც აშენებულია ვახტანგ გორგასალის მეშვეობით — დაჩი უჯარმელის მეფობის დროს (VI ს.). მემბტინე აღნიშნავს, რომ ტფილისის კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმინდაი ეკლესიაი აღაშენეს“. ბაზილიკური შენობა აწინდელ შავთელის ქუჩაზე გამოდის. დღევანდელი სახელწოდება, რომელიც ეკლესიამ მე-17 საუკუნეში მიიღო, იმ ხატის პატივისცემაა, რომელიც აქ გადმოიტანეს ანჩის ტაძრიდან (ანჩი მდებარეობდა კლარჯეთში — იმდროინდელი საქართველოს სამხრეთ პროვინციაში). ხატი დაცულია თბილისის ხელოვნების მუზეუმში. განსაკუთრებით გამოირჩევა ხატის მოჩარჩოება, რომელიც ქართული ჰედური ხელოვნების ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევართაგანია. მისი ავტორია ვანთქმული ქართველი ოქრომჭედელი ბექა ობიზარი, რასაც მოწმობს მოჩარჩოების ქვედა ნაწილზე მოთავსებული წარწერა.

ანჩისხატის ეკლესია უძველესია თბილისში შემონახულ ძეგლთა შორის. იგი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს. დროთა განმავლობაში მისმა ნაწილებმა მნიშვნელოვნად იცვალა სახე და განსაკუთრებით მე-17 საუკუნეში ჩატარე-

ბული აღდგენითი სამუშაოებისას (ამ პერიოდს განეკუთვნებიან აგურის ბუ-
ძები და თაღებიც). უძველეს ფრაგმენტებს წარმოადგენენ თარაზულნაკორიანი,
კვადრებით ამოყვანილი ფასადების ცალკეული ნაწილები, სარკმლენი ალმო-
სავლეთის კედელზე, მთავარი თალის და საკურთხევის სარკმლის ნაწილები.
მოყვანილობა, აბსიდა... 1958 წელს ჩატარდა სარესტავრაციო სამუშაოები, რის
შედეგად გვიანდელი (მე-19 საუკუნის) ფერწერის ქვეშ გამოვლინდა მე-17 სა-
უკუნის კედლის მხატვრობის ნაწილები. გარდა ამისა, ყურადღებას იპყრობს
დასავლეთის შესასვლელის თავზე გამოვლენილი ნაღისებრი ფორმის ლუნეტი.
ლუნეტის მოხაზულობას და ამავე ფასადზე მოთავსებული ჯვრის გამოსახულე-
ბას მედალიონში პარალელები მოეპოვებათ ქართული ადრექრისტიანულ ძეგ-
ლებსა, და მათ შორის მე-5 საუკუნის შესანიშნავ ბაზილიკაზე — ბოლნისის
სიონზე.

ბაზილიკის დასავლეთით, შავთელის ქუჩის პირას დგას აგურის სამრეკლო.
იგი ცენტრში გაჭრილია შეისრული თალით და ქუჩას აკავშირებს დაბალ ბაქან-
ზე მდვარ ტაძართან. კარიბჭის თავზე მოქცეული წარწერა ვეაუწყებს, რომ
იგი აშენებულია ქართლის კათალიკოსის დომენტის მიერ 1675 წელს. სამრე-
კლოს არქიტექტურა (აგურის წყობის ხასიათი, შეისრული თაღები) დამახასია-
თებელია გვიანფეოდალური საქართველოსათვის, როდესაც ირანული გავლენა
ხუროთმოძღვრებაშიც იკვლევს გზას.

ანჩისხატის ძეგლი — აწინდელი შავთელის ქუჩის მონაკვეთის სახელი, ანჩის-
ხატის ტაძრიდან დღევანდელ ერეკლეს მოედანამდე.

არამიანცის საბავაღმყოფო — თბილისის პირველი საავადმყოფოს ადრინ-
დელი სახელწოდება დაკავშირებული იყო ვაჟარ არამიანცის სახელთან, რო-
მელმაც სახსრები გაიღო მის ასაშენებლად.

არსინალო — უბანი ჩუღურეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, რკინიგზის გადა-
ღმა. ამ ერთ დროს იარაღის დასამზადებელი საამქროები და საწყობი იყო.
აქედან ადგილის სახელწოდებაც.

არწრუნის ტბრვასლა — აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას დანგრეული ქარვას-
ლების ადგილზე მე-19 საუკუნეში ახალი ქარვასლები შენდება. ასეთივე ბედი
ეწია თბილისის ქარვასლასაც, რომელიც მეფე როსტომს აუგია 1650 წელს
სიონის გვერდებზე და შემდეგ თბილელისათვის უბოძებია. სწორედ ამ ქარ-
ვასლის ნანგრევებზე აშენდა მე-19 საუკუნეში არწრუნის ქარვასლა. იგი სიო-
ნის ქუჩასა და სანაპიროს შორის არის მოქცეული და ტყვესა სერიოზულად

K 194. 09d
3

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაზიანდა ხანძრისაგან და იგი 1855 წელს გადაკეთდა. სიონის ქუჩაზე გა-
შოსული ფასადი კი მოდერნის სტილში 1912 წელს შეიკვალა.



ასპარეზი — საასპარეზო მოედანი თბილისში გარეთუბანში, მტკვრის ნაპირის
მდებარეობდა, დღევანდელი კომუნარების ბაღის ქვედა ნაწილში. მდებარეობდა
ზე. იგი აღნიშნული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თბილისის 1735 წლის გეგ-
მაზე № 28-ით და ექსპლაცაციაში „მეიდანის ანუ ასპარეზი“ ჰქვია. „მეიდანის“
შუაგულში მას გამოსახული აქვს ყაბახი — მაღალი სვეტი. მასზე თასს ან სხვა
საგანს დგამდნენ, რომელიც მოასპარეზე მხედრებს ისრით უნდა ჩამოეგდოთ.
უფრო ადრე ეს ადგილი, ყაბახით ცენტრში, გამოსახული აქვს ტურნეფორს
თბილისის საერთო ხედის ჩანახატის წინა პლანზე (1701 წ.).

ვახუშტის გეგმით, „მეიდანის“ ზემოდან (სამხრეთ-დასავლეთიდან მეფის
საბაზიერო საზღვრავდა, ჩრდილო-დასავლეთიდან — კედლით გარშემოვლუ-
ბული „ყაბულას ბაღი“ (აწინდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის გადაღმა), მოპირ-
დაპირე მხარეს ასპარეზს ვანქის უბნის სომხური სასაფლაო ემიჯნებოდა (აწინ-
დელი კოლმეურნეობის მოედანი), ხოლო ქვევით, მტკვრის პირას გეგმის შემ-
დგენელს № 27-ით „მეიდანის სასახლე“ აქვს აღნიშნული. სასახლე დღევანდ-
ლი საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობის საზოგადოების შენობის ად-
გილზე იდგა. ეს ის სასახლე უნდა იყოს, რომელიც (1751 წელს) თეიმურაზ
მეორემ რევანს ორბელიანს უწყალობა. წყალობის წიგნში ნაბოძარი ადგილის
საზღვრები დადგენილია მტკვრის კალაპოტსა და „მეიდანის“ შორის. საასპა-
რეზო — მეიდანის გავლენით ეწოდა სახელები ქალაქის ზოგიერთ სხვა ნაწილ-
საც. მაგალითად, ამავე გეგმაზე აღნიშნულია „მეიდანის კარი ხილით“ (შემ-
დგომში „მუხრანის კარი“), „მეიდანის სასახლე“, „ახალი ბაღი მეიდანისა“. ეს
უკანასკნელი ასპარეზის პირდაპირ მდებარე კუნძულზე იყო გაშენებული. შემ-
დგომში, როდესაც ამ ადგილს ორბელიანები დაეუფლენ და „ორბელიანის
უბანი“ აღმოცენდა, კუნძულს ჯერ ორბელიანის სახელი ეწოდა, ხოლო მოგვი-
ანებით მალათოვისა, — ვისაც დაუთმეს ორბელიანებმა.

პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ თბილისის 1800 წლის გეგმაზე „მეიდანის“
„ყაბახის მოედანი“ ჰქვია. „ყაბახი“ „ასპარეზის“ პარალელურად უფრო აღრინ-
დელ საბუთებშიც გვხვდება. მე-18 საუკუნის ბოლოს და მე-19 საუკუნის პირ-
ველ ნახევარში ამ მოედანს მხოლოდ „ყაბახს“ უწოდებდნენ. 1800 წლის გეგ-
მაზეც ყაბახის საზღვრებზე ისევ ყაბულას ბაღი და ვანქის უბნის სასაფლაოა.
მტკვრის პირას ვრცელი ორბელიანების უბანია. აღარ არსებობს მეფის საბა-
ზიერო ზედა ნაწილში. აქ აგურხანაა აღნიშნული. იხ. ყ ა ბ ა ხ ი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიც აქ ყაბახსა და ჭიდაობასთან ერთად
სხვა სახის შეჯიბრებებიც ეწყობოდა — ყოჩების, მამლების, აქლეგებისაც კი.
ამავე დროს ყაბახის მოედანს სასიეროდაც იყენებდნენ.

გასული საუკუნის შუა ხანებში ყაბახის ადგილზე სამხედრო პლაცე მოა-
წყვეს. 1859 წელს ბარიატინსკის ინიციატივით, არქიტექტორ ოტო სიმონსონის

პროექტი საფუძველი ჩაეყარა პირველ საზოგადოებრივ ბაღს თბილისში, იგი საზეიმოდ გახსნეს 1865 წელს და მას რუსეთის იმპერატორის პატრისა ცეცხლ ალექსანდრეს ბაღი უწოდეს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბაღი კომუნარების სახელობისაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი ჰოლანდია — ამ სახელწოდების უბანი თბილისის ძველ გეგმებზე (XIX საუკუნის ბოლოდან) დატანილია ვარდისუბნის დასავლეთით, მდლობზე. აქ უწინ ტავერნა (სასადილო) „ახალი ჰოლანდია“ არსებობდა და უბნის სახელიც აქედან მოდის.

აშპაშხანა — აშპაშხანა, ანუ სასადილოების რიგები (სახაშეებრ, საქაბაბე-ები) განლაგებული იყო თათრის (ახლანდელი გორგასლის) მოედნის სამხრეთ მხარეზე და გორგასლის ქუჩის დასაწყისში. ი. გრიშაშვილი აშპაშხანის აღწერისას აღნიშნავს: „ყოველი რესტორნის პატრონს მუშტრის საამებლად, „სიმე-ბიანი ორკესტრის“ ნაცვლად, შეტოლებული ჩიტები ჰყავდა გალიაში“.

ბაბიბი — ღღეს მშენებარე საცხოვრებელი უბანია ვაკის განაპირას. პროექტი ითვალისწინებს 8500 მაცხოვრებელს 23 ჰექტარზე. მიკრორაიონი წარმოადგენს რელიეფის სამ ტერასაზე განლაგებულ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ კომპლექსს. თითოეული კომპლექსი 16-სართულიანი კოშკურა, ე. წ. კასკადური და ტერასული სახლებისაგან შედგენილი შერეულ განაშენიანებას წარმოადგენს (არქიტექტორთა ჯგუფი ბ. შამინიაშვილის ხელმძღვანელობით).

აღრე აქ ბალ-ბოსტნები და ფარეხები ჰქონდათ წყნეთელ გლეხებს. სიტყვა „ბავა“ დაბმული საქონლისათვის განკუთვნილ საკვების ჩასაყრელსაც ნიშნავს. შესაძლებელია აქედან მოდიოდეს ადგილის და შემდეგ სოფლის სახელწოდება.

ბაზაზხანა — ასე ეწოდებოდა მუდით, ჩითით, ფარჩით, ბამბითა და მატყლით მოვაჭრეთა ღუქნების რიგს. ფეოდალურ თბილისში ორი ბაზაზხანა იყო. დიდი ბაზაზხანა ანუ ზემო ბაზაზხანა აწინდელი ლესელიძის ქუჩის იმ მონაკვეთზე მდებარეობდა, რომელიც სიონის ქუჩის პარალელური იყო, ენგელის ქუჩასთან გადაკვეთის ადგილიდან დაახლოებით სიონისა და ერეკლეს ქუჩების თავშეყრამდე. ამ შესაყარზე ე. წ. ჩორსუ-ბაზარი მდებარეობდა. მეორე, ანუ ქვემო ბაზაზხანა კი თათრის (ღღევანდელი გორგასლის) მოედნის სიახლოვეს იყო, იმ ქუჩაზე, რომელიც „ბამბის რიგის“ სახელით არის ცნობილი. მე-19 საუკუნეში თბილისში კიდევ ერთი „ახალი ბაზაზხანა“ გაჩნდა ე. წ. „ბნელ რიგებში“ (აწინდელი შარდენის ქუჩა).

ბამბის რიზი — ქუჩა ვახტანგ გორგასლის მოედნის სიახლოვეს მდებარეობს, ადრე აქ ბამბით, მატყლით, ჩითით, ფარჩით მოვაჭრეთა დუქნები იყო განლაგებული. ეს ქუჩა ერთ-ერთი იშვიათთაგანია თბილისში, რომელსაც შუასაუკუნეოვანი სახელი დღემდე შემორჩა.

ერეკლესი ბიზანტიუმი

ბატონის მოედანი — თბილისის გალავნით შემოსაზღვრულ ძირითად ნაწილში ორი ვრცელი მოედანი არსებობდა. ერთი მათგანი — ციხის ან თათრის მოედანი მეტეხის ხიდის სიახლოვეს იყო, დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილზე, მეორე კი — ბატონის ან მეფის (იგივე „ზემო“) მოედანი მდებარეობდა სიონსა და ანჩისხატს შორის, ამჟამინდელი ერეკლეს მოედნის სამხრეთით. ზოგჯერ ბატონის მოედანს აიგივებენ ხოლმე ერეკლეს მოედანთან, რაც სწორი არ არის. მოედნის ირგვლივ განაშენიანება მთლიანად მოისპო ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას. ეს მიდამოები ხელახლა განაშენიანდა მე-19 საუკუნეში იმგვარად, რომ შუასაუკუნეოვანი დაგეგმარებიდან არაფერი შემორჩენილა.

ბაჰალხანაბ — დეველ თბილისში სურსათ-სანოვავის ორი ბაზარი იყო. ერთი მათგანი განლაგებული იყო ავლაბარში, ამჟამინდელი მეტეხის ქუჩის სწვრივად, მეორე კი (ძირითადი) თათრის მოედანზე მდებარეობდა. აქ ერთმანეთის გვერდით იყო მოთავსებული ბაყლების (ხილით, ბოსტნეულით და სხვა სანოვავით მოვაჭრეთა), ყასბების, ალაფების (ფქვილით და მარცვლეულით მოვაჭრეთა), მეთევზეების დუქნები. ზოგიერთი ცნობით, ბაყლებს დუქნები ვერცხლის ქუჩის ბოლოშიც ჰქონიათ.

ბეთლემი — ბეთლემის ეკლესია დღეს ფეთხანის ეკლესიად ცნობილი ტაძრის პირვანდელი სახელწოდებაა. საქართველოში ქრისტიანულ სამლოცველოებს ხშირად ე. წ. „წმინდა ადგილების“ სახელებს არქმევდნენ. ებრაულად „ბეთ“ სახლს ნიშნავს, „ილი“ — ღვთისას. ამგვარად „ბეთილი“, „ბეთლემი“ ღვთის სახლს ეწოდება. ბეთლემში ან ბეთლემეში თავდაპირველად ქაანანელთა, მოგვიანებით კი იუდეველთა ქალაქი იყო სამხრეთ პალესტინაში (დღევანდელ იორდანიაში) და ბიბლიის მიხედვით დაიფუძის საწმინდოა. სახარების მიხედვით აქ იოსებ ქრისტე დაიბადა.

გაღმოცემით, თბილისის ბეთლემის ეკლესიას ვახტანგ გორგასლის ზეობის ხანაში ჩაეყარა საფუძველი. ჩვენამდე მრავალი გადაცემებით (განსაკუთრებით ინტერიერში) მოღწეული ეკლესია აუვია თავად გივი ამილახვარს 1740 წელს. ეს ის გივი ამილახვარია, რომლის თაობითაც 1742 წელს ააშენეს ქაშვეთის ავურის ახალი ეკლესია (დღევანდელის წინამორბედი). გივი ამილახვარი ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, სამილახვროს უფროსი, ზემოქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი ყოფილა. მას არაერთი

ციხე და ეკლესია აღუდგენია. ბეთლემს სომხური ეკლესია დაეპატრონა და მის ფეოხაინი ეწოდა, თუმცა ეკლესიას, როგორც ქართველთათვის უძველეს „წმინდა ადგილზე“ აგებულს, ქართველი მრევლიც ჰყავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბირძინხანაბ — თათრის (დღევანდელი გორგასლის) მოედნის სამხრეთ-დასავლეთ ხაზზე განლაგებულ დუქნების უკან წმ. ეკატერინეს სახელზე აგებული ბერძნული ეკლესია იდგა. ეკლესიას დავით აღმაშენებლის ზეობის ხანაში ჩაეყარა საფუძველი (XI ს.) იგი თემურ-ლენგის მიერ იქნა დანგრეული XIV საუკუნის მიწურულში. აღუქსანდრე პირველის მეფობის დროს, 1430 წელს მონასტერი აღუდგენიათ. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევის შედეგად ეკლესია კვლავ ნანგრევებში აღმოჩნდა. პლატონ იოსელიანის ცნობით, მის ნანგრევებზე კვლავ აღუდგენიათ ეკლესია სინას მთიდან მოსულ ბერებს. ეკლესიის გარდა მონასტერში სხვადასხვა სახის სამეურნეო ნაგებობებიც არსებულა. შემოსავალი სინას მთის ბერებისათვის ყოფილა განკუთვნილი. მონასტერს თავისი დუქნებიც ჰქონია. ერთი მათგანი უშუალოდ თათრის მოედანზე გადიოდა. ეს დუქანი ერეკლე მეორემ უბოძა მონასტერს 1781 წელს. მონასტერშივე მდგარა ბერძენი არქიმანდრიტის სასახლეც. მონასტერს თბილისელები ბერძენხანას უწოდებდნენ. ეს სახელწოდება გვხვდება საბუთებში და ცალკეულ ავტორებთან.

ბერძენხანას მართკუთხა მოხაზულობის უბანი ეკავა თათრის მოედანს, ლილახანაა და ქიაბახანას შორის. ქიაბახანა (აშჰაშხანა) მონასტრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს გასდევდა მტკვრის მხარეზე, ლილახანა კი მის პარალელურად მიემართებოდა მოპირდაპირე კედლის გასწვრივ (შემდგომში ქუჩას სამღებრო ეწოდა).

ბეჰბუღას ბაღი — ამ სახელწოდებით აქვს აღნიშნული ვახუშტი ბატონი-შვილს კედლით შემოზღუდული ბაღი ვარეთაგაბრის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მე-17 საუკუნის შუა ხანაში მეფე როსტომმა ზარაფთხუცესობა უბოძა თბილისში მცხოვრებ მდიდარ ვაჭარს ხოჯა ბეჰბუღას, ე. ი. იჯარით გადასცა ზარაფხანა. ხოჯა ბეჰბუღა ბებუთაშვილების გვარის დამაარსებელია. მასვე ეკუთვნოდა ავღაბარში სასაფლაო ეკლესიით (ე. წ. „ხოჯავანქში“). სასაფლაოს გვერდზე ბეჰბუღას ბაღი გაუშენებია. მოსარწყავი წყალი მეფის თანხმობით მახათის მთიდან გამოუყვანია. ბაღის სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ლილოსკენ მიმავალი შარაგზა ჩაუდგოდა, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით ხევი საზღვრავდა.

ბეჰბუღას ხიდი — ბოლო დრომდე არსებობდა ხიდი მდინარე ვერეს ქვედა დინებაზე (გმირთა მოედანთან), რომელიც მეფე როსტომის ზარაფთხუცესმა

ხოჯა ბეჰბუდამ ააშენა. ხიდი აშენდა მნიშვნელოვან საქარავნო გზაზე — კლი-
მის გზაზე“, რომელიც აწინდელი ლენინის ქუჩის ხაზზე გადიოდა. სამშენა-
როდ, ხიდი წინდაუხედავად გაწირეს გმირთა მოედნის რეკონსტრუქციისას 1981
წელს. იხ. ვერის ხიდი.

ბიბლიოქოქა

ბზის მოედანი — მე-19 საუკუნის თბილისში მრავალი მხრიდან ჩამოსული
ვაჭრები გასაყიდად ჩამოტანულ საქონელს ქარვასლების საწყობებში აბინავებ-
დნენ, ხოლო პირუტყვისათვის საგანგებო ადგილები იყო გამოყოფილი ქარვას-
ლების სიახლოვეს. პირუტყვის გასაჩერებელ ვრცელ ადგილს წარმოადგენდა
ე. წ. „ბზის (თივის) მოედანი“ ან „ბაზარი“ («Сенний базар»). მოედანი მდე-
ბარეობდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე რიყის სამხრეთ ნაწილში სირაჯხანის სი-
ახლოვეს, ავლაბრის ხიდან. ხიდის ორთავე ბოლოში ქარვასლები იდგა. მოედან-
ზე გასაყიდად მომარაგებული იყო თივის ზეინები, საიდანაც მოდის ადგილის სა-
ხელწოდებაც. ანალოგიური სახელწოდების ადგილები რუსეთის იმპერიის სხვა
ქალაქებშიც იყო, კერძოდ — პეტერბურგში.

ბნელი რიგი («Темный ряд») ძველი თბილისის ერთ-ერთი
სავაჭრო ქუჩათაგანი იყო, რომელიც თათრის მოედანზე გადიოდა და მას სიო-
ნის ქუჩას უკავშირებდა. ერთ დროს ვიწრო ქუჩა გადახურული ყოფილა და
ამიტომ ერქვა „ბნელი“, მას „დახურულ ბაზარსაც“ უწოდებდნენ. დღეს იგი
შარდნის ქუჩაა. გვიანფეოდალურ ხანაში აქ მექვაბების რიგი იყო, ხოლო
მე-19 საუკუნეში ახალი ბაზაზხანა (ფართლუულით მოვაჭრეთა დუქნების რი-
გები) განვითარდა. დახურული ბაზაზხანა-ბნელი რიგი მე-20 საუკუნის დასა-
წყისშიც არსებობდა. ბაზაზხანა „...ეხლა ლომფინ აყრილია, აღარ არის დახუ-
რული“¹.

ბოშის უბანი — ფეოდალურ თბილისში ცალკეული უბნების სახელები უმე-
ტესად აიხსნება ან ამ უბანში განლაგებული ეკლესიის სახელწოდებით (ანჩის-
ხატის, სიონის უბნები) ან სარწმუნოებრივი ნიშნით (ურიათა უბანი, ფრანგთა
უბანი), ან აქ მცხოვრებთა ვინაობით (ცოცხალაანთ, ფირყულაანთ, მუხრან-
ბატონის). მე-18 საუკუნისა და მე-19 საუკუნის დასაწყისის საბუთებში მოიხ-
სენიება ბოშის უბანიც, ამასთან, ზოგჯერ, მითითებულია ამ უბანში განლაგე-
ბული სახლების მეპატრონეებიც: „ბოშის შვილი სოსია“ ან „ბოშა მურადაანთ

¹ ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, საიათნოვა, თბილისი, 1918, გვ. 11

ყოლებული. გარეთავლაბარი ვრცელდებოდა ამ თხრილის გადაღმა მდებარე პლატოზე, რომელიც ახლა დაახლოებით ბარათაშვილის აღმართით, შესაბამისად ქუჩითა და კიბალჩიჩის ხევით იფარგლება. ამ საზღვრებში აქვს ნახვენი ვაზუშტი ბაგრატიონის ეს უბანი თბილისის 1735 წლის გეგმაზე.

ერეკლე მეორის ზეობის ხანაში შიდაავლაბარი, შუაშიანის კოშკებიანი გალავნით შემოიფარგლა, ხოლო გარეთავლაბარი ბნად დარჩა. თბილისის 1800 წლის გეგმა პირველია ალა-მამაღ-ხანის შემოსევის შემდეგ. მასზე მუქი ფერით გამოყოფილია სპარსელების მიერ დანგრეული უბნები. ამ გეგმაზე გარეთავლაბარი ერთიანად გადაბუგული ჩანს. ამ უბანში მინიშნებულია ორი ეკლესია: ქართული და სომხური. ქართულ ეკლესიასთან სასაფლაოც არის აღნიშნული. მე-19 საუკუნეში ეს უბანი ქაოტურად განაშენიანდა, თუმცა იყო ცდა გარეთავლაბრის დაგეგმარებისა. რეგულარული ხასიათი მხოლოდ მცირე ნაწილმა მიიღო, დღევანდელი ლომოურის ქუჩის სამხრეთ-დასავლეთით.

ბარემთუბანი — ფეოდალური თბილისის გალავნით შემოფარგლულ ღირითად ნაწილებს კალას და ისან-ავლაბარს გარს ერტყა გაუმავრებელი ნაწილები, გარეუბნები: კალას სამხრეთ-აღმოსავლეთით-აბანოების უბანი და სეიდბადი, ისნის ჩრდილოეთით — გარეთ ავლაბარი, კალას ჩრდილოეთითა და დასავლეთით — გარეთუბანი.

გარეთუბანს ეკავა ტერიტორია, რომელიც დღეს მოქცეულია ლენინის შოენის მიდამოებში, ბარათაშვილის ქუჩის, რუსთაველის პროსპექტის, ჯორჯიაშვილის ქუჩასა და მტკვარს შორის. გარეთუბნის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე ქაშვეთის ეკლესია იდგა. დაახლოებით აწინდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის გადაღმა ვახუშტი „თათრის სასაფლაოს“ უჩვენებს. ვახუშტის გეგმის მიხედვით გარეთუბანი მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. აქ რამდენიმე ქართული და სომხური ეკლესია მდგარა. მათგან დღეს მხოლოდ სამების ეკლესიაა შემორჩენილი. წარჩინებულ პირთა სახლებს შორის გამოყოფილია ციციშვილის, არაგვის ერისთავის სახლები, „მეიდნის სასახლე“. სხვადასხვა ცნობით მე-18 საუკუნეში გარეთუბანში სახლები პქონიით მუხრან-ბატონს, ამილახვარს, აბაშიძეს, ხერხეულიძეს, თუმანიშვილს. ოსმალთა შემოსევის შედეგად გარეთუბანი გაიანაგდა. მოსახლეობამ ქალაქის გალავანს შეაფარა თავი. ამას 1770 წელს დაემატა შავი ჭირის ეპიდემია. XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან გარეთუბანი კვლავ იწყებს აღორძინებას, მაგრამ კვლავ ანადგურებს ალა-მამაღ-ხანის შემოსევები.

გარეთუბნის ვრცელი ტერიტორია დაყოფილი იყო შედარებით მცირე უბნებად. დღევანდელი პროსპექტის დასაწყისში, მუზეუმსა და კეცხოველის ქუჩას შორის ქამანთ უბანი მდებარეობდა. კედლით შემოზღუდული ქამანთ წმ. გიორგის სომხური ეკლესია მდებარეობდა ისტორიული მუზეუმის მოპირდაპირე მხარეს, იქ, სადაც ახლა ნახევარწრიული ლოჯიანი დიდი საცხოვრებე-

ლი სახლი დგას. ამავე უბანში იდგა ღამბარაანთ ქარვასლა. გარეთუბნის კუ
ლაზე ვრცელ ნაწილს კალოუბანი წარმოადგენდა. აწინდელი რუსთაველის
კინოთეატრის და ქაშვეთის ხაზიდან თითქმის ძნელადის ქუჩამდე. ამ უბანში
სამი ქართული ეკლესია იდგა: ქაშვეთი, საშების და კალოუბნის ~~ქარვასლა~~
გარეთუბნის შუაში დიდი ნაწილი დასახლებული არ იყო. იგი ~~სამშენი~~
ბაღებს და ასპარეზს ეკავა. ასპარეზს, მტკვრის ტოტსა და დღევანდელი მტკვრის
ქუჩას შორის მოქცეული სამკუთხედის ფორმის გალავნით დატული ტერიტო-
რია ორბელიანების უბანს ეკავა. ამ უბანშივე მდგარა მცირე ეკლესია.
თხრილის გადაღმა, რომელიც დღევანდელი მტკვრის ქუჩის ხაზზე გადიოდა, იწყე-
ბოდა ვანქის მონასტრის გალავანი. მისი ფრაგმენტები დღემდეა შემორჩენილი.
მონასტრის, სომხურ სასაფლაოს (აწინდელი კოლმეურნეობის მოედანი) და
დღევანდელ ბარათაშვილის ქუჩას შორის ტერიტორიაზე ვანქის უბანს მიყვ-
ლებული იყო მცირე ბოშის უბანი. ბარათაშვილის ქუჩის ჩრდილო-დასავლეთით,
დაახლოებით შუაწელზე, იდგა ე. წ. „ოკენამის“ ეკლესია. XVIII საუკუნეში
მუხრან ბატონის საგვარეულოს სახლებმა გალავნის გარეთ დაიწყეს ტერიტო-
რიის ათვისება. მუხრანთუბანი ვიწრო ზოლად მიჰყვებოდა გალავანს აგანან-
თხვის გასწვრივ.

გლდანი — სოფელი გლდანი ქართლის ქედის სამხრეთ ფერდობზე იყო გან-
ლაგებული, მდინარე გლდანისწყალის ნაპირზე. მდინარის კალაპოტი, რომელიც
ზაფხულობით სრულიად გამშრალია, სოფელს ორ ნაწილად ყოფდა — ძველ
და ახალ გლდანად. ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელისუფლების წლებში
გაჩნდა.

გლდანს ადრე გრდანი ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, გლდა-
ნი (გრდანი) გარდაბნის მხარეს ეკუთვნოდა. შესაძლებელია, რომ „გრდანი“
ეწოდებოდა არა ერთ სოფელს, არამედ დასახლებათა ჯგუფს.

გლდანისკენ მიმართულ ერთ-ერთ მთის კალთაზე დგას მაღალი ეკლესია,
რომელიც დასახლებისკენ სამხრეთი ფასადით გამოდის. სპეციალისტების აზ-
რით, ეკლესია გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელზე მე-9 და მე-10 საუკუნეე-
ბის მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. ეკლესია წარმოადგენს გრძელ და მაღალ
სათავსს, რომელიც აბსიდით მთავრდება აღმოსავლეთ მხარეზე. ძირითად მო-
ცულობას, სამხრეთ მხარეზე ეკვდერი მიყვება. ეკვდერი, გვიან ხანაში, ჩრდი-
ლოეთ მხარეზეცაა მოშენებული. შენობა ამოყვანილია ფლეთილი ქვით ხსნარ-
ზე. ეკლესიაში ბევრი გვიანდელი დროის ვადაკეთების კვალი მოჩანს. საკურთ-
ხეველის სარკმლის თავზე მოთავსებულია ფილა, რომელზედაც წრეში ჩასმული
ჯვარია ამოკვეთილი. მე-19 საუკუნეში ეკლესია შეუღლესავთ და შეუღლებათ.
იგი ერთ დროს ჰაუბტვახტად ყოფილა გამოყენებულ.

თბილისის შემოგარენის ერთ-ერთი სოფლის ტერიტორიის სიახლოვეს
დღეს ქალაქის ინტენსიურად მშენებარე საცხოვრებელი რაიონია. საცხოვრებ-
ელი მასივი შენდება „თბილქალაქპროექტში“ დამუშავებული პროექტის სა-

ფუძველზე. საცხოვრებელი რაიონისათვის განკუთვნილი ტერიტორია (750 ჰა) მდებარეობს თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას, ამ ხეივან შორის, სადაც პატარა მდინარეები გლდანი და ხევძმარა მოედინებიან. ჩრდილო-დასავლეთით მას თიანეთის გზატკეცილი ესაზღვრება. პროექტის მიხედვით, საცხოვრებელი მიკრორაიონები განლაგებულია ხაზობრივად განლაგებული საზოგადოებრივი ცენტრის ორივე მხარეს. ცენტრის სიგრძე 2,5 კმ-ს აღწევს. პროექტში ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის ნაკადები სხვადასხვა დონეზეა ნაგულისხმევი. ტრანსპორტი ვაივლის საავანგებო ტრანშეებში, რომლებიც ტროტუარებთან შედარებით 3 მეტრით იქნებიან ჩაღრმავებული. სატრანსპორტო არტერიებს ყოველ 500 მეტრზე განშტოებები ექნებათ, რომლებიც ტერიტორიას რვა მიკრორაიონად დაყოფენ. ამასთან, ტრანსპორტის ნაკადები ერთმანეთს არ გადაკვეთენ. ზედა დონე არქიტექტორთა ჩანაფიქრში წარმოადგენს ტროტუარების, გადასასვლელების და ბოგირების (პატარა ხიდები) სისტემას, რომელიც მთლიანად დათმობილია მოსახლეობის მომსახურებისათვის.

საცხოვრებელი რაიონის განაპირას (ჩრდილო-აღმოსავლეთით) არსებული ტბის ირგვლივ გათვალისწინებულია საერთო-საქალაქო მნიშვნელობის ვრცელი პარკის შექმნა.

ხსენებული რვა მიკრორაიონის გარდა, რომლებიც „აინაქულია“ გრძივი ცენტრის გაყოლებით, გათვალისწინებულია მეცხრე მიკრორაიონის შექმნაც არსებული ორსართულიანი სახლების რეკონსტრუქციის ხარჯზე.

მიკრორაიონების მოცულობრივ-დაგეგმარებითი წყობა დაფუძნებულია ვრცელი ეზოების გარშემო საცხოვრებელი სახლების ჯგუფების სივრცითი ორგანიზაციის პრინციპზე. მიკრორაიონებს კვეთენ ხეივნები, რომლებიც გადასასვლელი ხიდების მეშვეობით საცხოვრებელ ნაწილს საზოგადოებრივ ზონასთან აკავშირებენ. კომპოზიციურ აქცენტებს 16-სართულიანი სახლების მოცულობები შექმნიან.

დაპროექტებული საცხოვრებელი რაიონი გათვალისწინებულია 147 ათას მაცხოვრებელზე.

ბოლოვინის პროსპექტი — ასე ეწოდებოდა გასულ საუკუნეში და ჩვენი საუკუნის დასაწყისში თბილისის მთავარ ქუჩას, დღევანდელი რუსთაველის პროსპექტს.

პროსპექტის ნაირსახოვან არქიტექტურაში ადვილად იკითხება მისი ჩამოყალიბების ძირითადი ეტაპები.

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე დღევანდელი პროსპექტის ხაზზე დიღმის გზა გადიოდა, რომელიც ქალაქის გალავნის კარიბჭესთან იწყებოდა. მხოლოდ ამ გზის აღმოსავლეთით, ფერდობზე აქვს აღნიშნული ვახუშტის დასახლებული უბანი, ე. წ. „გარეთუბანი“. ეს უკანასკნელი ვრცელდებოდა დღევანდელი პროსპექტის, ლენინის მოედნის, კოლმეურნეობის მოედნისა და ჭორჯიაშვილის ქუჩას შორის. გზის გასწვრივ

არსებულ დიდ შენობათაგან ვახუშტი აღნიშნავს არაგვის ერისთავის სასახლეს და წმინდა გიორგის სახელზე აგებულ, გალავნებით შემოზღუდულ სამ ეკლესიას: სომხურს (ქაშოანთ), კალოუზნისას და ქაშეთს. ქაშეთის წმინდა გიორგის ეკლესია — განაბირა ნაგებობა იყო გარეთუბანში. ქაშოანთ ეკლესიას ნაშენი ეამინდელი საქართველოს მუზეუმის გვერდით მდებარე ტერიტორიაზეა. იქ, სადაც ახლა მასიური საცხოვრებელი სახლის კუთხეს მომრგვალებული, სვეტნარიანი ლოჯია ქმნის. კალოუზნის ეკლესიის ადგილას დღეს რუსთაველის სახელობის კინოთეატრია. გზის გადაღმა კი ვახუშტის გეგმაზე მხოლოდ ციციშვილების სახლია ნაჩვენები (დაახლოებით ახლანდელი კავშირგაბმულობის სახლის ადგილზე).

1800 წლის გეგმა ფაქტიურად გვიანფეოდალური ხანის თბილისის განაშენიანებას ასახავს. როგორც ირკვევა, საუკუნის მანძილზე გარეთუბანში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. დიდმის გზის დასაწყისში კვლავ სამი ეკლესიაა აღნიშნული. აქ, ვახუშტის გეგმისაგან განსხვავებით, დასავლეთ მხარეზე შეფის ბაღებია ნაჩვენები (ამ ბაღების მცირე ნაწილია შემორჩენილი ჰიონერთა სასახლის მიდამოებში). საცხოვრებელი უბნები კი გეგმის შედგენის დროისათვის თითქმის მთლიანად დანგრეული იყო აღა-მამაქაძე-ხანის მიერ.

შემდგომ, 1802 წლის გეგმაზე მომავალი პროსპექტის დასაწყისში უკვე ნაჩვენებია დიდი ზომის ადმინისტრაციული ნაგებობა — «Правительственные места» (დღევანდელი ჰიონერთა სასახლის ადგილას). იგი შიდა ეზოს პერიმეტრზე მდგარი ორი კორპუსისაგან შედგებოდა და რამდენიმე თვეში იყო აშენებული ადგილობრივი ოსტატების მიერ. 1807 წელს ამ ადგილას მთავარსარდლის ახალი სასახლის მშენებლობა დაიწყო. ამ დროს ქუჩას ოფიციალური დასახელება ჯერ არ გააჩნდა. მას „რუსეთისკენ მიმავალი გზა“ ეწოდებოდა. ამ გზის ინტენსიური განაშენიანება გასული საუკუნის ათიან წლებში იწყება. სასახლის მოპირდაპირე მხარეზე, ოდნავ ირიბად, სტამბის და ჰაუპტვახტის შენობა აიგო. სასახლის გვერდით კი შემალეებაზე (მთავრობის სახლის ზედა კორპუსის ადგილას) არსენალის მასიური კორპუსი შენდება. 1828 წლის გეგმაზე ამ ადგილებში ორი მოედანია გამოკვეთილი — ნიკოლოზისა და ალექსანდრესი. პირველი მათგანი სასახლის წინ იყო მოწყობილი. ამ მოედნის ნაწილი დღეს საქართველოს ისტორიულ მუზეუმს უკავია. ალექსანდრეს მოედანი კი ქუჩის ნიშნულის გაცილებით დაბლა იყო, იქ სადაც ახლა კომუნარების ბაღია გაშლილი. ნიკოლოზის მოედანი გასული საუკუნის ოციანი წლების ქალაქის მთავარ მოედნად ითვლებოდა. აქ სხვადასხვა სახის საზეიმო ცერემონიალები, აღლუმები, ფეიერვერკები, დიდი ეწყობოდა ხოლმე. ორმოციან წლებამდე განაშენიანება ფაქტიურად არ გაცდენია ჰაუპტვახტის შენობას და დიდმის გზა ზეგებით გადასერილ მიდამოებში მიემართებოდა. 30-იანი წლების ბოლოს გამოკვეთილი მშენებლობის ტემპების ზრდის ტენდენცია ამ გზასაც შეეხო. 1837—1839 წლებში აშენდა ვაჟთა გიმნაზია. 1845—1847 წლებში არქიტექტორ სემიონოვის პროექტით, ყოფილი მთავარსარდლის სასახლის რუსული

კლასიციზმის ფორმებში ააგეს ახალი სასახლე, რომელიც მრგვალია (1865—1867 წლებში) ძირფესვიანად გადაკეთდა.

მე-19 საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისათვის პროსპექტი ორივე მხარეზე მოშენებული იყო ყოფილ მოსკოვის საგუშაგომდე (აწინდელ ქუჩის დასაწყისი). ორმოციანი წლებიდან „რუსეთისკენ მიმავალ მარტებლის, გოლოვინის, სახელი უწოდეს.

მიწის ნაკვეთები გოლოვინის პროსპექტის გასწვრივ მხოლოდ მეფისნაცვლის განკარგულებით რიგდებოდა. ეს წესი არ შეცვლილა ქალაქის თვითმმართველობის დადგენის შემდეგაც. პროსპექტზე სახლდებოლენ მეფის მოხელეებში, თავადაზნაურობა, სამხედრო პირები. პროსპექტის კეთილმოწყობა ორმოციანი წლების ბოლოს დაიწყო. 1848 წელს გააკეთეს ტროტუარები, გაშენდა ხეივანი. 1862 წელს გაიყვანეს წყალსადენი. წყალს მტკვრიდან ქაჩავდნენ ორთქლის მანქანით.

პროსპექტის განაშენიანება მკვეთრად იცვლის სახეს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. პროსპექტის გასწვრივ შენდება მონუმენტური საზოგადოებრივი შენობები, რომლებიც ძირფესვიანად ცვლიან მოშენების მასშტაბს და ქუჩას მეტ იმპოზანტურობას ანიჭებენ. ამ შენობათა შორის აღსანიშნავია ორსართულიანი მუზეუმის შენობა პროსპექტის დასაწყისში, რომელიც 1910 წელს დაანგრიეს ახლანდელი მუზეუმის მშენებლობისათვის. ამ წლებში პროსპექტის ამავე მხარეს შენდება „დიდების ტაძარი“ (ახლა სამხატვრო გალერეა), სასტუმრო „მაესტიკი“ (სასტუმრო „თბილისი“), არტიტული საზოგადოების შენობა (შ. რუსთაველის სახ. თბილისის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი), სახაზინო თეატრი (ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი). მოპირდაპირე მხარეზე გამოირჩეოდნენ მეფისნაცვლის სასახლე (ახლა — ბ. ძნელაძის სახ. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე), ე. წ. „თბილისის კრუჟიკი“ (დღეს საბჭოთა არმიის ოფიცერთა სახლი). მე-19 საუკუნის დასასრულისათვის პროსპექტის სიგრძეში ბატონობდა კავკასიის მხარის დაპყრობის აღსანიშნავად აგებული ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი. ტაძარი იდგა გუნიბის მოედანზე, მონაკვეთზე, რომელიც დღეს მთავრობის სახლის კორპუსებს უკავია. მისი მშენებლობა 1871 წელს დაიწყო და 1897 წელს დამთავრდა. ნაგებობა პროფესორ დ. გრიშის პროექტით, იმდროინდელ რუსეთში გავრცელებულ „ბერძნულ-ბიზანტიურ სტილში“ იყო განხორციელებული და საკმაოდ მონოტონური ფორმებისა და პროპორციებისა გახლდათ. პროსპექტზე აშენებული შენობების სტილისტური მრავალფეროვნება ნიშანდობლივი იყო იმ პერიოდისათვის. იმ ხანებში პროსპექტზე და მის მიმდებარე უბნებში დასახლება დაიწყო ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა. იმ დროის საცხოვრებელი სახლებიდან გამოიყოფოდა 1872 წელს, არქიტექტორ ზალცმანის პროექტით აგებული ზუბალაშვილის სახლი პროსპექტისა და ბესიკის ქუჩის კუთხეში. სახლი, გადაკეთებული პირველი სართულით, შემონახულია. ასევე აღსანიშნავია საცხოვრე-

ბელი სახლი (1877 წ.), რომელიც დაინგრა კავშირგაბმულობის სახლის მშენებლობისას.

80-იან წლებში გოლოვინის პროსპექტზე ერევნის მოედნიდან ცხენის წვიანი რკინიგზა — ე. წ. „კონკა“ გამოიყვანეს, რომელიც მოსკოვის სკვერისგან ვერის დაღმართზე უხვევდა. 1905 წელს „კონკა“ ტრამვაის ხაზად გადაკეთდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ რადიკალური ღონისძიებებს მიმართეს პროსპექტის კეთილმოსაწყობად. ოცდაათიან წლებში გაფართოვდა ყოფილი სასახლის ქუჩა, რომელიც ვიწრო ყელს ქმნიდა პროსპექტსა და ერევანსკის მოედანს შორის (პიონერთა სასახლის ბაღიდან მოედნამდე). ამის შედეგად პროსპექტი უშუალოდ შეუერთდა მოედანს. ქუჩიდან აიღეს ტრამვაის ხაზები, კეთილმოსაწყობისა და გამწვანების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა 1965 წელს (არქ. ა. ბაქრაძე). პროსპექტის მასშტაბის და არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ისეთი მონუმენტური შენობების აგებას, როგორცაა მთავრობის სახლი, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალი, ტელეგრაფი, კავშირგაბმულობის სახლი, სასტუმრო „ივერია“, რომლებმაც ძირფესვიანად შეცვალეს პროსპექტის იერი.

ბრიუშის ბაღი — თბილისში რამდენიმე ადგილი იყო, სადაც იმართებოდა ხოლმე ჭიდაობა. ერთი ასეთი პოპულარული ადგილი დიდუბეშიც ყოფილა ეკლესიის სიახლოვეს, მას ზოგჯერ ცინცაძეების ცირკსაც უწოდებდნენ.

ბრძლი ბაზარი — გრძელ ბაზარს უწოდებს შარდენი (მე-17 საუკუნის 70-იანი წლები) სახელსონობისა და სავაჭროების რიგებს, რომელთაც ქართული წყაროები რ ა ს ტ ა მ ბ ა ზ ა რ ს უწოდებენ. იგი მდებარეობდა დღევანდელი სიონისა და ერეკლეს ქუჩების ხაზზე და ბატონის მოედანთან კარიბჭით მთავრდებოდა (იხ. რ ა ს ტ ა მ ბ ა ზ ა რ ი).

დაბბ(ლ) სანა — შუა საუკუნეების თბილისში დაბალების (მეტყველების) საწარმოები ვანლაგებული იყო წაყვისისწყლის ქვედა დინებაზე, მის შესართავთან მტკვართან. დღეს წაყვისისწყლის ქვემო წელი მიღებშია მოქცეული (გორგასასლის მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, აბანოების უბანში). დაბალები აქ ტყავს ალბობდნენ და გამოასქნელად ამზადებდნენ. ტყავის წარმოება თბილისში უძველესი დროიდან მოდის. დაბალების რიგების ადგილმდებარეობის გამო წაყვისისწყლის ქვემო წელს და მიმდებარე მცირე ტერიტორიას „დაბახანა“ უწოდეს.

დაბლუ პარი — ასე უწოდებდნენ თბილისის ვალავნის ჩრდილოეთის კედლის ერთ-ერთ კარიბჭეს, რომელიც მტკვართან უშუალო სიახლოვეს იყო განლაგე-

ბული. მას სხვა სახელებიც ჰქონდა. „წყლისკარი“, „ქვემო კარი ხიდით“ (ქაბულ-ტი ბაგრატიონი). იგი მდებარეობდა იმ ადგილას, სადაც დღეს შავთელის ქუჩა გადის ბარათაშვილის ქუჩაზე. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე მეორის ზეობის ხანაში, თბილისის ფორტიფიკაციული ნაგებობების შეკეთებისას კარიბჭე გააუქმეს. სახელწოდება აიხსნება იმ გარემოებით, რომ ნიკტა ამ ხანაში გამოსული სხვა (მოედნის, დიდის, კოჯრის) კარიბჭეებთან შედარებით დაბალი იმყოფებოდა.

დამბალო (დამბალოს ხევი) — ამ ადგილს თბილისსა და სამგორს შორის ბონისხევს, სასაქაოსხევსაც ეძახდნენ. ადრე აქ პირუტყვის სასაქაოები იყო მოწყობილი და ანტისანიტარიის გამო მის მიდამოებში მძაფრი სუნი იდგა (აქედან წარმოდგა ადგილის სახელი). სასაქაოს ალაგმის შემდეგ აქ ერთ დროს ბოსტნები იყო. დღეს ეს კეთილმოწყობილი ადგილია, საიდანაც ჩქაროსნული მაგისტრალი იწყება.

დუშარტირის ბაზარი — დიდუბის საკოლმეურნეო ბაზრის თბილისელთა შორის ადრე გავრცელებული სახელწოდება.

დელისი — ამ ტოპონიმის ძირის — „დელი“ მნიშვნელობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მას აზერბაიჯანულ სიტყვა „დელი“-სთან აკავშირებს, ზოგიერთი კი იმ აზრისაა, რომ (ვინაიდან ეს ტერიტორია ძველ დროს ტყით იყო დაფარული) შესაძლოა, ახლანდელი დასახელება „ძელისაგან“ მოდიოდესო. სხვები ფიქრობენ, რომ იგი „მდელოსაგან“ უნდა მიმდინარეობდეს. დელისი თბილისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია განლაგებული.

დიდუბე — ადგილის დასახელება წარმოდგენილია ორი სიტყვისაგან „დიდი დუბე“. ეს უკანასკნელი ვაჟე ადგილს ნიშნავდა. საბა ასე განმარტავს თავის „სიტყვათა კონაში“: „დუბე-დაბალი ადგილი“. „ქართლის ცხოვრებაში“ დიდუბე მოხსენიებულია თამარ მეფის ქორწილთან დაკავშირებით (1189 წ.), რომელიც მან დიდუბის ქალაქგარეთა რეზიდენციაში გადაიხადა, თუმცა ეს დასახლება უფრო ადრინდელ — IX საუკუნის სიგელშიაც გვხვდება. შუა საუკუნეებში აქ არსებობდა დასახლება, სადაც განლაგებული იყო მეფის სასახლე, ეკლესია, ბაღები და სარწყავი არხი. საქართველოში მოგზაურობისას (1770-72 წწ) რუსეთის აკადემიის აკადემიკოსმა გიულდენშტედტმა ნახა ციხესიმაგრის ნანგრევები, რომელიც XVIII საუკუნის 40-იან წლებში უნდა იყოს აგებული ლეკთაგან დასაცავად, დაახლოებით იქ, სადაც ახლა „დინამოს“ სტადიონია. სოფელი დიდუბე გაფართოებას იწყებს გასული საუკუნის შუა ხანიდან.

ადგილი განსაკუთრებით ინტენსიურად იწყებს განაშენიანებას მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც დიდუბე თბილისს შემოუერთეს. 90-იან წლებში დასახლებამ რკინიგზას გადააბიჯა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისთვის დიდუბე განაშენიანებული იყო საცხოვრებელი სახლებით, საწარმოთა და შენობებით, შემოსავლიანი და ე. წ. ავეჯგაწყობილი სახლებით. აქვე იყო პლანდროს დროში. ჩვენამდე მოღწეული დიდუბის ეკლესია 1844 წელს არის აგებული, ადრე (მე-17 საუკუნიდან) არსებულ და დანგრეული ღვთისმშობლის ეკლესიის ადგილზე.

ორჯონიკიძის სახელობის პარკს არსებობის საუკუნე ნახევრიანი ისტორია აქვს (იხ. „მუშტადი“). პარკის სიახლოვეს 1935 წელს აშენდა „დინამოს“ სტადიონი. სტადიონის არქიტექტურამ თავისი ადგილი დაიმკვიდრა საბჭოთა არქიტექტურის ისტორიაში, როგორც ერთ-ერთმა შესანიშნავმა სპორტულმა ნაგებობამ. 1967 წელს დაიწყო სტადიონის რეკონსტრუქცია, რაც ფაქტიურად ძველის ახლით შეცვლილ დამთავრდა (არქიტექტორები ა. ქურდიანი და გ. ქურდიანი). სტადიონის პირდაპირ, ტელმანის ქუჩის და პლუხანოვის პროსპექტის კუთხეზე მთელი კვარტალი უკავიათ ე. წ. „ტრამვაელთა საცხოვრებელ სახლებს“, რომელნიც 1926—1928 წლებში აშენდა და პრაქტიკულად პირველ საცხოვრებელ კომპლექსს შეადგენდნენ თბილისში. (არქიტექტორი დ. ჩისლივეი). დიდუბეში აგებულ ნაგებობათაგან აღსანიშნავია დიდუბის ხიდი, რომელიც ყოფილი ბორჩის მოძრაობის ხაზზე გაშენდა 1953 წელს ინჟინერ ვ. დიდიძის და არქიტექტორ ა. ქურდიანის პროექტით. თავისი არქიტექტურულ-გეგმარებითი სტრუქტურით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ლუდხანაც (არქიტექტორები რ. კიკნაძე, ვ. ქურთიშვილი, თ. მიქაშვიძე, გ. მეტრეველი). დიდუბის ტერიტორიაზე გაშენებულია სახალხო მეურნეობის მიღწევათა სავა-მოფენო პავილიონები.

დირსიმალა — ძველი თბილისის ბაღებს შორის აღსანიშნავია დირსიკალაც (ზოგჯერ მას დარსიკალასაც უწოდებდნენ). იგი გაშენებული იყო მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ორთაქალის მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ ქვევით მტკვრის დინების მიმართულებით. ამ ადგილზე მთიანი რელიეფი უკან იხევს მდინარის კალაპოტისაგან და მაგრამო ხევს ქმნის. ეს იყო მიზეზი იმისა, რომ როდესაც მე-19 საუკუნეში ქალაქმა იწყო ზრდა ნავთლუღისაგან, დირსიკალის ბაღები ხელუხლები დარჩა. თბილისის 1844 წლის გეგმაზე ნავთლულში განლაგებული სამხედრო დასახლება («Слoбoдкa Навтлуг») უშუალოდ მიუახლოვდა დირსიკალას, მაგრამ მიყვება ხევის პირს. სამხედრო დასახლება იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო შერწყმული სოფელ ნავთლულთან. დასახლება დირსიკალას ჩრდილოეთიდან ესაზღვრებოდა, ხოლო სოფელი ნავთლული კი აღმოსავლეთიდან. ასევე უფრო გვიან (ჩვენი საუკუნის დასაწყისშიც) შედგენილ თბილისის გეგმაზეც სახელწოდების მეორე ნაწილი «ჰალა» ადგილის წყლის პირას მდებარეობას მიუთითებს. რაც შეეხება დასახლების პირველ ნაწილს, ზოგიერთი

შველევარის აზრით (თეიმურაზ ბერიძე... და, აღმოცენდა თბილისი“ (თბ., 1977 წ.) იგი ხევს უნდა მიანიშნებდეს. ეტიმოლოგიის ამგვარი გამოტყვევება სავსებით შეესატყვისება ადგილმდებარეობის ხასიათს.



ქართული
ენების ენციკლოპედია

დიღმის გზა — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო თბილისის პროსპექტის შთელ მანძილზე. მისი შეშვებით თბილისი უკავშირდებოდა საქართველოს მრავალ კუთხეს, ჩრდილოეთ კავკასიას.

თბილისიდან დიღმისკენ გზა ორი კარიბჭედან მიემართებოდა. ერთი მათგანის საწყისი დიღმის კარი იყო (ამჟამინდელი პუშკინის და ვერცხლის ქუჩების გადაკვეთაზე), მეორე კი — კოჯრის კარი (ახლანდელი ლესელიძის ქუჩის ლენინის მოედანთან შერწყმის ადგილზე). დიღმის კართან გზა, დაახლოებით დღევანდელი ძნელაძის ქუჩის დასაწყისის ხაზს მისდევდა, ზემოდან უვლიდა ასპარეზს (კომუნარების ბაღის ქვედა ბაქანს, აწინდელი ჯორჯიაშვილის ქუჩის სწვრივად უხვევდა რუსთაველის პროსპექტისკენ და აქ (სასტუმრო „თბილისის“ სიახლოეს) უერთდებოდა კოჯრის კარიდან რუსთაველის პროსპექტის გაყოფებით წამოსულ გზას. შემდეგ გზა მიჰყვებოდა დღევანდელ რუსთაველის პროსპექტის და ლენინის ქუჩის ხაზს, კვეთდა რამდენიმე ხევს, ხილით გადადიოდა მდინარე ვერაზე, კვლავ ლენინის ქუჩისა და შემდეგ სააკაძის მოედნის სწვრივად მიდიოდა, მკვეთრად ჩადიოდა მტკვრისკენ და აღმა აუყვებოდა მდინარის მარჯვენა ნაპირს (გვიან ეს გზა საქართველოს სამხედრო გზის ნაწილი გახდა).

დიღმის კარი — ქალაქის ეს კარიბჭე დღევანდელი ვერცხლის და პუშკინის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე მდებარეობდა. აქედან იწყებოდა დიღმის გზის ერთ-ერთი განშტოება. დიღმის კარი აკავშირებდა კალას გარეთუბანთან (კალოუბანთან, ვანქის უბანთან, ასპარეზთან). აქ იწყებოდა ძველი თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი არტერია. იგი მიყვებოდა ვერცხლის და ლესელიძის ქუჩების ხაზს. დიღმის კარი უკავშირდებოდა კოჯრის კარს კვირაცხოველის (აწინდელი ველიამოვის) ქუჩით და მეიღმის, ანუ მუხრანის კარს — დღევანდელი ნავაშიძის ქუჩით.

დიღომი — დიღომი ერთ-ერთი უძველესი დასახლებულ ადგილთაგანია თბილისის შემოგარენში. 1970 წელს დიღმის მდამოებში დაწყებულმა გათხრებმა შეტად საინტერესო მასალა მისცეს სპეციალისტებს (გათხრები გრძელდება). დიღმისწყლის მარცხენა ნაპირზე, ზოის ძირას ნაპოვნია სხვადასხვა სახის ჭურჭელი, ქვის და თიხის ნაკეთობანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან თვალის გავადევნოთ ენეოლითისა და ადრებრინჯაოს ხანის კულტურების შენაცვლებას. გვიანბრინჯაოს ხანის (მე-2 ათასწლეულის მეორე ნახევარი და პირ-

ველი ათასწლეულის პირველი ნახევარი) ვრცელი დასახლება წარმოადგენდა მთის სამხრეთ კალთაზე 1,5 კილომეტრის სიგრძეზე ტერასულად განლაგებულ განაშენიანებას. დიღმის მასივში აღმოჩენილი სამარხი მრავალშრონია და მას რამდენიმე ათეული პეტტარი უკავია. შუაბრინჯაოს ხანის ყორღანთან ერთად ნაპოვნია გრუნტის სამარხები ელინისტური და რომაული პეტროგლიფები. იმ ფაქტს, რომ დიღმის ველი და მალლობი შემდგომ ეპოქებშიაც [ხტუაქუჩქუქქუქ] ხლებული მოწმობს ადრეფეოდალური ეპოქის დასახლების ნაშთები და გვიანფეოდალური დროის სამარხები. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა იმას მიუთითებს, რომ ამ ადგილას გვიანბრინჯაოს ხანიდან დაწყებული, განუწყვეტლივ არსებობდა დიდი დასახლება.

დიღოში ძლიერ გამაგრებული პუნქტი უნდა ყოფილიყო მცხეთის მისასვლელებთან. მას იხსენიებს ქართული მატიაზე. „ხოლო ვახტანგ განაძლიერნა ციხე-ქალაქნი, და ურჩიულესი მეზობლნი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მხედარი, და ასი ათასნი ქვეითნი იპყრა მის თანა, და დაუბანაკა მათ დიღომთ ვიდრე ქართლის კარამდე“ (ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1942, გვ. 121). ქართლის ცხოვრების ამ ნაწყვეტში ლაპარაკია ვახტანგ გორგასალის შზადებზე სპარსელებთან საბრძოლველად. დიღოში აგრეთვე ნახსენებია ბაგრატ მეოთხის შეხვედრის ცერემონიალის აღწერისას: „წარემართა თბილისად, და შოგებუნეს ქალაქის ბერნი ტფილელნი, დარბაზისა ყმანი, ცხენოსანი დიღმის ველსა, და ყოველი ქუეით დაკაზმული, და დედათა სიმრავლე იყო მეიდანს“. დიდი თურქების დროს დიღომსა და ავჭალაში იდგნენ მოთარეშეთა რაზმები. მე-19 საუკუნემდე დიღოში მეფის მამულად ითვლებოდა, ხოლო შემდეგ იგი მუხრან-ბატონების ხელში გადავიდა.

თბილისის განაშენიანება თანდათან იპყრობს დიღმის ველს. დიღმის საცხოვრებელი მასივის იშენებლობა 1960 წელს დაიწყო (არქიტექტორები ჯ. ჯიბლაძე, ნ. შიქაძე, ი. მოსულიშვილი, ი. ჩხენკელი). თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე დიდუბის ზიდის ოდნავ მაღლა გამოიყო 270 ჰა. აქედან პროექტით 150 ჰა ეთმობა საცხოვრებელ უბნებს, ხოლო დანარჩენი — პარკს, სპორტულ ბაზას, კინოქალაქს. მასივის კომპოზიციურ ღერძს წარმოადგენს 50 მეტრი სიგანის ხეივანი, რომლის ორთავე მხარეზე დაპროექტდა 4 მიკრორაიონი და 2 კვარტალი. ორი ხეივნის შესაყარზე იქმნება საზოგადოებრივი ცენტრი.

სოფელ დიღომში და მის გარშემო რამდენიმე ეკლესიაა. სოფელში შესასვლელი გზის მარჯვენა მხარეს დგას დიღმის წმ. გიორგის ეკლესია. იგი მე-10, მე-11 საუკუნეების ზღვარზეა აგებული, თუმცა გარე სახე გადაკეთებული უნდა იყოს მე-16, მე-17 საუკუნეებში. მცირე ზომის შენობა ორქანობანი სახურავით არის დახურული. კედლები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გზისკენ მიმართული სამხრეთის ფასადი, სადაც კედლის წყობაში დატანილია ორნამენტით და წარწერებით დაფარული ფილები.

დიღომში და მის ირგვლივ ასევე წმინდა გიორგის სახელზე აგებული

სხვა ეკლესიებიცაა. ეკლესია „თეთრი გიორგი“ სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით აღმართულ მთას აგვირგვინებს. იგი მე-19 საუკუნეშია აშენებული. სოფლის მისაღვამებთან, მცირე ხევის ნაპირზე დგას ონადირის წმ. გიორგის სახეზე დაზიანებული მცირე ეკლესია. იგი მე-10 საუკუნით თარიღდება. ასევე მე-10 საუკუნეშია აგებული ღვთისმშობლის ეკლესია, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით განაპირას განლაგებულ სასაფლაოზე. თვით სოფელში მდგომარეობს მცირე ეკლესია მე-19 საუკუნის ბოლოს აშენდა და რაიმე მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენს.

ილიას უბანი — ელია ან ილია ქართულ ღვთაებათა პანთეონში განაგებდა წვიმას, სეტყვას, ქექა-ქუხილს. პლატონ იოსელიანის ცნობით, ადრე მახათას მთაზე ილია წინასწარმეტყველის სახელზე აშენებული სალოცავი იდგა. იგი შესწრებია ამ ეკლესიის ნაშთებს. მისივე ცნობით, ამ ადგილზე 20 ივლისის წმინდა დღესასწაული იმართებოდა ხოლმე. ამ ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს უბნის დასახელება, რომელიც განლაგებულია თბილისის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, რკინიგზის გადაღმა, კიბალჩიჩის ხევის აყოლებით.

მამიანსკის მოედანი — თბილისის მთავარ მოედანს დაახლოებით საუკუნუნახევრის ისტორია აქვს. მოედანი არცთუ შორეულ წარსულში ქალაქის გალავნის გარეთ მოქცეულ უკაცრიელ ადგილს წარმოადგენდა. გალავნის კედელი დაახლოებით დღევანდელი მოედნის აღმოსავლეთი მხარის განაშენიანების ხაზს გასდევდა (ოდნავ სიღრმეში) და პუშკინის ქუჩის მოშენების სწვრივად ეშვებოდა. იმ ადგილზე კი, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის მოედანს, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი („კოჯრის“) კარიბჭე იყო. აქედან ორი გზა იწყებოდა. ერთი მთავანი ჩრდილოეთისკენ მიემართებოდა (აწინდელი რუსთაველის პროსპექტის ხაზზე), მეორე კი კოჯრისკენ მიდიოდა დღევანდელი კიროვის ქუჩის გაყოლებით. მინდორს სოლოლაკის (გვიან-აევანანთ) ხევი სერავდა. ხევის სოლოლაკის ქედის ფერდობიდან წამოსული ნიაღვარი ჩაუყვებოდა მტკვრისკენ.

მეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პლატონ იოსელიანის ცნობით, დღევანდელი მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე, დაახლოებით იქ, სადაც ახლა ხელოვნების მუზეუმი, მე-17 საუკუნის მიწურულს მეფის ქარვასლა მდგარა. იგი საკმაოდ დიდი ყოფილა და ოთხმოცამდე საღვამის მოიცავდა. მისივე ცნობით, ქარვასლა თურქებს დაუნგრევიათ 1724 წლის შემოსევისას.

ვახუშტისა და მე-18 საუკუნის 80-იან წლებში შედგენილ თბილისის გეგმებზე მოედნის ტერიტორია სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ბალებითაა გარშემორტყმული. ვახუშტის მიხედვით, აქ იყო მეფის, დედოფლის და მამასახლისის ბალები, ხოლო პიშივეიჩის 1785 წლის გეგმაზე მეფისა და დედოფლის ბალების გარდა, გიორგი ბატონიშვილის ბაღიც არის აღნიშნული. ვახუშ-

ტი ბაგრატიონს ამ ადგილებში ერთადერთი შენობა აქვს ნაჩვენები, რომელსაც იგი „ბეჟანის ქარვასლას“ უწოდებს. იგი დაახლოებით იქ იდგა, სადაც ქალაქის აღმასკომის შენობაა.

მოედნის ინტენსიური განაშენიანება მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო. მოედნის დღევანდელი მოშენება, ერთი-ორი ნაგებობის გარდა, გასული საუკუნეშია ჩამოყალიბებული და სტილისტურად საკმაოდ კრელ სურათს ქმნის. აღრინდელ შენობათაგან ჩვენამდე მოაღწია 1824 წელს აგებულმა კავკასიის კორპუსის შტაბმა. შენობის არქიტექტურა რუსული კლასიციზმის ნიშნებს ატარებს. მოედნის მოპირდაპირე მხარეს, ვალავნის სწვრივად ერთ-ორ სართულიანი სახლები აშენდა, იმდროინდელი თბილისისათვის დამახასიათებელი შეკიდული აივნებით, რომელთაც აყურული ორნამენტებით შემკობილი შოაჯარები და ტიშანები ამშვენებდა. ერთ ასეთ სახლში, რომელიც აშკამინდელი მეგობრობის მუზეუმის ადგილას იდგა, 1829 წელს ალექსანდრე პუშკინი გაჩერებულა. ეს სახლები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სხვა ნაგებობებმა შეცვალა, რომელთა დიდმა ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია.

1825 წელს იაკობ ზუბალაშვილი თურქესტანის შვილისაგან გამოსყიდულ მიწის ნაკვეთზე, მოედნის ჩრდილოეთ მხარეზე სასტუმროს აშენებს. მოგვიანებით, 1838 წელს, შენობა საეკლესიო უწყებამ შეიძინა სასულიერო სემინარიისა და სინოდის განსათავსებლად. დღეს ამ შენობაში ხელოვნების მუზეუმი. ეს შენობა რუსული კლასიციზმის ფორმებშია აგებული.

იმ ადგილას, სადაც ახლა მეორე სკვერია შემორჩენილი, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და შემდგომშიაც გასაყიდად მოტანილი შემთხვევითი ურბების გასაჩერებელი იყო. კვირაობით მოედანზე დიდი ბაზრობა იმართებოდა. 1885 წელს აქ ხეივანი გაშენდა, რომლის ნაწილი დღესაც ამშვენებს აქაურობას. ალექსანდრე პუშკინის ბიუსტი კი ამ ხეივანში მოქანდაკე რ. ხუდოროვიჩმა დადგა 1890 წელს, ქართული საზოგადოების შეწირულობის ხარჯზე.

1829 წელს რუსი ჯარის მიერ თურქეთის ომში ერევნის ციხე-ქალაქთან გამარჯვების აღსანიშნავად ჯარის სარდალს პასკევიჩს ერევნის გრაფის (Граф Ериванский) წოდება უბოძეს, ხოლო თბილისის მოედანს „პასკევიჩ-ერევანსკის“ სახელი. შემდგომში, სიმეოქლისათვის მოედანს „ერევანსკის“ სახელიდა შერჩა. ამის შემდეგ მოედანმა რამდენჯერმე იცვალა სახელი.

გასული საუკუნის შენობათაგან, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწიეს განსაკუთრებით აღსანიშნავია თეატრი და ქარვასლის ნაგებობა. იგი საკმაოდ მონუმენტური იყო და ბატონობდა მაშინდელი პასკევიჩ-ერევანსკის მოედნის სივრცეში. არქიტექტორ ჯოვანი სკუდიერის პროექტით, თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1847 წელს. 1851 წლის 12 აპრილს იგი საზეიმოდ გახსნეს. შენობის დაგეგმარების თავისებურება მშენებლობის პირობებით იყო ნაკარანახევი. მეფის ხაზინა უარს ამბობდა თეატრის მშენებლობისათვის საჭირო სახსრების გაღებაზე. გამოსავალი მანქან მოიძებნა. მიმართეს კერძო პირებს წინადადებით, რომ თეატრის გარდა შენობის დიდ ნაწილში სავაქროები მოთავსდებოდა.

ამასთან, მაღაზიები ამ პირობის კერძო საკუთრებაში რჩებოდა, ხოლო თეატრი კი ქალაქს გადაეცემოდა. ალექსანდრე დიუმა, რომელიც 1879 წელს ეწვია თბილისს, აღნიშნავდა: „ჩემი ცხოვრების მანძილზე მე თითქმის ყველა ფეტილურ მოვინახულე, მაგრამ ვერც ერთი მათთაგანი ვერ შეედრება სილამაზოვნისა და ლისის თეატრს“.

თეატრს არსებობის მეტად ხანმოკლე ისტორია აქვს — ოცდასამი სეზონი. 1874 წლის 11 ოქტომბერს, როდესაც თეატრში ოპერა „ნორმა“ მიდიოდა, შენობას ხანძარი გაუჩნდა და დაიწვა. ამის შემდეგ თეატრი აღარ აღდგენილა, შენობა მთლიანად ქარვასლას დაეთმო. ქარვასლა მოედნის შუაგულში იდგა და მას რამდენიმე ქუჩა ჰყოფდა. ერთ-ერთ მათგანზე „კონკის“ გაჩერება იყო.

მოედნის ერთი მხარე უკავია კოშკით დაგვირგვინებულ თბილისის საბჭოს აღმასკომის შენობას. იგი აშენდა გასული საუკუნის 30-იან წლებში და ამის შემდეგ რამდენჯერმე გადაკეთდა. 1879 წლამდე ამ შენობაში ქალაქის უფროსი პოლიცემისტერის კანცელარია და პოლიციის განყოფილება იმყოფებოდა. 1878 წელს გამოცხადდა კონკურსი შენობის „საქალაქო სახლად“ («Городской дом») გადაკეთების პროექტზე. კონკურსზე გაიმარჯვა არქიტექტორ შტერნის პროექტმა. გარე არქიტექტურაში ასახულია იმ დროისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, ე. წ. „ეგზოტიკური“ სტილის შექმნისა. 1910 წელს შენობა დააშენეს, ხოლო 1912 წელს გაათავოთვეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 30-იან წლებში დაიწყო მოედნის ძირფესვიანი რეკონსტრუქცია. სამწუხაროდ, რეკონსტრუქციამ იმსხვერპლა ქარვასლის მოხუმენტური შენობა.

1956 წლის 21 აპრილს საზეიმოდ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი (მოქანდაკე ვ. თოფურაძე, უ. ჯაფარიძის მონაწილეობით, არქიტექტორები: გ. მელქაძე, კ. ჩხეიძე, კ. ხენინაშვილი, შ. ყავლაშვილი).

ვპპმ — თბილისის ამ ვრცელმა უბანმა სახელწოდება ადგილმდებარეობის ხასიათის გამო მიიღო. „ვაკე, ქვეყანა ბრტყელი“ (საბა). იგი იფარგლება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ვარაზის ხევით, ჩრდილოეთიდან მდინარე ვერეთი, სამხრეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან მაღლობებით. მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის წყნეთის (აწინდელი მელიქიშვილის) ქუჩის განაშენიანებამ მიალწია ვარაზისხევს, რომელზედაც მცირე ხიდი იყო გადებული. თბილისის 1906 წლის გეგმაზე ხევის გაღმა მხოლოდ სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობაა აღნიშნული (ახლა — უნივერსიტეტის მთავარი კორპუსი). საუკუნის დასაწყისში გიმნაზიიდან დიდ მანძილზე შენდება სასულიერო სემინარია (გვიან აქ დიდი ხნის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო განთავსებული, ახლა საავადმყოფოა), ხოლო ნაკვეთი, რომელიც ამჟერად ფიზკულტურის ინსტიტუტს უკავია, კადეტთა კორპუსისათვის გამოიყო. ვაკის უბანი თბილისს 1907 წელს შემოუერთეს.

ვაკის ინტენსიური გაშენება საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო;

დიდი ხნის განმავლობაში ეს ვრცელი უბანი თბილისის ცენტრს მხოლოდ მელიქიშვილის ქუჩით უკავშირდებოდა. დღეს იგი გმირთა მოედანზე ფართო ქუჩით გადის, რომელიც ხევის შევების ხარჯზე წარმოიშვა. ვაკე ამჟამად თბილისის ერთ-ერთი დიდი საცხოვრებელი რაიონთაგანია. მაგრამ საცხოვრებლის გარდა აქ თავმოყრილია უმაღლესი სასწავლებლები, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ბუნებრივი ძეგლები.

თბილისის გამწვანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო გამარჯვების პარკის მშენებლობა 1946 წელს (არქიტექტორი კ. დგებუაძე, დენდროლოგი ნ. ციციშვილი).

ვანძის მონასტერი — იხ. ფაშაევანჯი.

ვანძის სასაფლაო — სომხური სასაფლაო, რომელსაც დღევანდელი კოლმეურნეობის მოედნის ტერიტორია ეკავა სომხურ მონასტერს (ვანძს), ვანძის უბანსა და ასპარეზს (აწინდელ კომუნარების ბაღის ქვედა ბაქანს) შორის.

ვანძის უბანი — უბანმა სახელწოდება მიიღო სომხური მონასტრის — „ვანძის“ გამო. ადგილი გარეთუბანში მდებარეობდა და ვანძს (იგივე „ფაშაევანძს“) ეკეროდა. დაახლოებით ის უბანია, რომელიც დღეს ვრცელდება საკოლმეურნეო ბაზრის შენობის, პრესისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის. თბილისის 1800 წლის გეგმაზე იგი რომაული VII ციფრით არის აღნიშნული.

ვარაზისხეიმი — თბილისში ბევრი ქუჩაა, განსაკუთრებით მტკვრის განივად განლაგებული, რომლებიც ხეების ამოვსების შედეგად წარმოიშვნენ. მათ რიცხვს ვარაზისხევიც ეკუთვნის. ხევის ამოვსება 50-იან წლებში დაიწყო და აღმართი 1957 წელს ჩადგა მწყობრში. მან უმოკლესი გზით დააკავშირა ვაკის ვრცელი უბანი გმირთა მოედანს და მისი ნეშეგობით კი სადგურსა და სანაპიროებს.

ვარდისმორა-2 — ტერიტორია, რომელიც ვერეს და ვარდისუბანს ემიჯნება სამხრეთ-დასავლეთიდან, სადაც დასახლება სემიონოვკაა განლაგებული, ვარდისუბანს მსგავსად მისი სახელწოდებაც ასკილის ბუჩქების არსებობით უნდა აიხსნას.

ვარდისუბანი — ვერის უბანში მდებარე ადგილია, ახლანდელი მელიქიშვილის ქუჩასა და სემიონოვკის დასახლებას შორის. ადრე ერთ-ერთ ქუჩასაც (ამჟამინდელ ჯანაშიას ქუჩას) ვარდისუბნისა ერქვა, სადაც ამავე დასახლების

სოფელი იყო. არსებული ცნობებით ეს ტერიტორია ასკილის ქუჩებით ყოფილა დაფარული და ალბათ სწორედ ამიტომ მიიღო ეს პოეტური დასახელება აქ ქალაქური განაშენიანება გასული საუკუნის 80-იან წლებში იხსნება.

ვარდისუბანი ავლაბარშიც ყოფილა, რომელსაც გვიან ძალღეს უბანი შერქმევია.

ქ. მ. მ. მ. მ. მ. მ.
ბ. ი. მ. ი. მ. მ. მ.

მავალიზმბარი — ყოფილი სოფელი, დღეს თბილისის ერთ-ერთი მშენებარე უბანია. ახალშენს უკავია მიწის ფართობი 250 ჰექტარზე თბილისის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე საბურთალოს საცხოვრებელ რაიონსა და სოფელ დილომს შორის. ჩრდილოეთიდან დილომისწყალი საზღვრავს, აღმოსავლეთიდან დაპროექტებული რაიონი საქართველოს სამხედრო გზამდევარეკლდება, დასავლეთიდან მას ემეზობლება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიები. რაიონის დაგეგმარების პრინციპებზე გადამწყვეტი გავლენა იქონია ღრმა ხეობით დასერილმა რთულმა ქანობიანმა რელიეფმა. ცენტრალური ზონა განკუთვნილია დასვენების ზონისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებებისათვის. ტერასულ განაშენიანების ფონზე ვერტიკალურ აქცენტებს ქმნიან მალღევ შენობათა კაფუეები. სოფელი ვაშლიჯვარაი კი, რომელმაც სახელი მისცა ახალ საცხოვრებელ რაიონს, მის აღმოსავლეთ ნაწილში მოქცეა.

მირი (მირა) — მდინარე ვერეს ქვემო წელზე განლაგებული იყო სოფელი ვერე და გაბაშვილების მამულს წარმოადგენდა. ვახუშტი ბაგრატიონის მოწმობით, ვერეს ადრე სკვირეთი რქმევია: „ხოლო კოვრის ჩრდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, ან წოდებული ვერე“... დროთა განმავლობაში სკვირეთი (სკორეთი) და ვერე კრებითი სახელი ხდება და აერთიანებს ტერიტორიას მდინარე ვერეს ქვედა დინებიდან თითქმის ელბაქიძის დაღმართამდე. ყოველ შემთხვევაში, ვახუშტი ბატონიშვილი მიუთითებს, რომ „ლურჯი მონასტერი“ ვერეს ფარგლებში იდგა. ვერაზე ვადიოდა დილომის საქარავნო გზა, რომელიც აწინდელ გმირთა მოედანთან ძველი ვერის ხილით კვეთდა მდინარეს. ვერეს ფარგლებში ეს გზა ამჟამინდელი ლენინის ქუჩის ხაზს მიყვებოდა. ამ უბანში მგორე გზა — წყნეთის გზაც ვადიოდა, რომელიც დღევანდელი მელიქიშვილის ქუჩას გასდევდა. ვერას ინტენსიური განაშენიანება გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო და უკვე საუკუნის ბოლოს ქალაქურმა სახლებმა ვაკის საზღვარს (ვარაზის ხეცს) მიადწიეს.

მირის ბაღი — ძველად ხეხილის ბაღები, ვენახები და ბოსტნები ვრცელდებოდა ლურჯი მონასტრიდან მდინარე ვერეს მტკვართან შესართავამდე. შემდეგ ბაღების ნაწილი სასაფლაოს დაეთმო. 1898 წელს, როდესაც ქალაქურმა

განაშენიანებამ ვერისუბნის დიდი ნაწილი დაიპყრო, ეგზარქოსის თანხმობით ქალაქის გამგეობამ სასაფლაო გააუქმა და ბაღის გაშენება დაიწყო (დღევანდელი კიროვის სახელობის პარკი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერის ხიდი — გმირთა მოედნის რეკონსტრუქციამდე ერთ-ერთი უძველესი ჩვენამდე მოღწეული თბილისის ხიდთაგანია. იგი XVII საუკუნის შუა ხანებში ააშენა თბილისის ზარაფთუხუცესმა ხოჯა ბეჰმუდამ. ამ ხიდს იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი: „ვერასა ზედა არს ხიდი დიდი ქვეთიარისა“. დაახლოებით 6 მეტრი სიგანის და 70 მეტრი სიგრძის ხიდი 4 მალიანი იყო. ამასთან მალეები სხვადასხვა ზომისა ჰქონდა. ყველაზე დიდი მალი 9,5 მეტრს აღწევდა. ხიდი სილამაზით გამოირჩეოდა. საბურთალოს მხრიდან სამი მალი ისრინებული, ხოლო ბოლო მალი ნახევარწრიული მოხაზულობით გამოირჩეოდა. ხიდი ნაწილობრივ გადაკეთდა 1856 წელს. 1932 წელს მის გვერდით ახალი განიერი სამ-მალიანი სახილო ნაგებობა ააგეს და უძველესი ვერის ხიდი ბედის ამარა მიატოვეს. ხიდი აიღეს 1981 წელს გმირთა მოედნის რეკონსტრუქციისას.

ვერის ხიდს უწოდებდნენ აგრეთვე მტკვარზე გადებულ ხიდს, რომელსაც შემდგომში ელბაქიძისა შეარქვეს. გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან საგრობოი გახდა ხიდების უქმარისობა მტკვარზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის ზრდით, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებით, რკინიგზის მშენებლობით, ახალი უბნების აღმოცენებით მდინარის ზედა დინებაზე. არსებული რამდენიმე ხიდი კი საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაცილებული ერთმანეთისაგან. 1885 წელს გაიხსნა ახალი ვერის ხიდი (დღევანდელი ელბაქიძის ხიდის ადგილზე). რომელიც წარმოადგენდა ქვის ბურჯებზე გადებულ ლითონის ფერმებზე მოწყობილ ფიცარფენის. იგი დააპროექტა ქალაქის არქიტექტორმა, ინჟინერმა უმანსკიმ. ხიდის მშენებლობას მოყვა ქალაქის საზოგადოებრიობის გაცხოველებული კამათი. უმრავლესობას მიაჩნდა, რომ პირველყოვლისა უნდა აგებულყო მუხრანის ხიდი (იგი აშენდა მხოლოდ 1911 წელს). თვლიდნენ (როგორც ჩანს, სამართლიანადაც), რომ ვერის ხიდს მუხრანის ხიდთან უპირატესობა გამდიდრებული ყორღანოვისა და როტინოვის მცდელობით შეანიჭეს. ისინი ფლობდნენ ხიდის სიახლოვეს განლაგებულ მიწებს და, ცხადია, მათი ღირებულება მკვეთრად აიწვავდა ხიდის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. ქუჩის ხიდის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მის შემდეგ, რაც ახალი ქუჩა — ვერის (აწინდელი ელბაქიძის) დაღმართი გაიჭრა. ამით უახლოესი კავშირი დამყარდა ვოლოცინის პროსპექტს, ვერის ვრცელი უბნისა და მარჯვენა ნაპირის უბნებს შორის რკინიგზის სადგურთან.

ვერის ხიდი, რომლის სიგანე 10 მეტრს არ აღემატებოდა, ჩვენ დროში აღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და 1951 წელს დაიწყეს ახალი სამმალიანი ელბაქიძის ხიდის მშენებლობა, რაც 1952 წლის დეკემბერში დამთავრდა (ინჟ. გ. ჩომახიძე, არქ. მ. მელია).

გებდა ხილითა და ბოსტნეულით. სანაპიროების მშენებლობის შედეგად მტკვრის ტოტი მოისპო და კუნძული აღარ არსებობს. ადრე კუნძულს მარჯვენა ნაპირთან აკავშირებდა კოფოებზე შეყენებული ხის ვიწრო ხიდი. მას თბილისელებმა „ვირის ხიდი“ შეარქვეს, რადგან მასზე ხილით დატვირთვით მარჯვენა რევი ვადაქონდათ სახედრებს, შემდგომში ეს სახელწოდებებიც კარგად დავადასტურებთ. ძველი მეტეხის ხიდზეც, სადაც ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალული იყო.

გორონცოვის ხიდი — მიუხედავად იმისა, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებში თბილისი საგრანობლად გაიზარდა და ახალი ტერიტორიების ათვისება ჩქარი ტემპებით მიმდინარეობდა, ქალაქში მხოლოდ ერთადერთი მეტეხის ხიდი არსებობდა, რაც საგრანობლად აბრუნებდა მტკვრის მოპირდაპირე ნაპირების კავშირს. კუკია, ჩუღურეთი, გერმანელთა დასახლება (დღევანდელი პლენაროვის პროსპექტის მიდამოებში) მოწყვეტილი იყვნენ ქალაქის ცენტრალური უბნებისაგან და მათ შორის კავშირი დიდი ხნის მანძილზე გარშემოსასწავლევი გზებით ხორციელდებოდა. ორმოციან წლებში დღევანდელი კ. მარქსის ხიდის ხაზზე მესანჯრეები აშენებდნენ დროებით ხის ხიდს, რომელსაც რეგულარულად იტაცებდა მტკვარი.

30-იანი წლების დასასრულს დამუშავდა კაპიტალური ხიდის პროექტი. პროექტი არ განხორციელდებულა, ვინაიდან მეფის მთავრობამ უარი თქვა ხიდის მშენებლობის ფინანსირებაზე. ორმოციან წლებში კავკასიაში მეფისნაცვლის მ. ვორონცოვის დავალებით ხიდის პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ჯ. სკუდიერმა. ნაგებობა ორი დიდი და მცირე ხიდებისაგან შედგებოდა, მტკვრის ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტზე. 1848 წელს დაწყებული მშენებლობა სხვადასხვა მიზეზით ხშირად წყდებოდა (იცვლებოდნენ მოიჯარადრეები. 1849 წელს აღიდგებულმა წყალმა წაიღო ხის ხიდი, 1851 წელს ტაძრის მშენებლობისას დაიღუპა ხიდის ავტორი და სამუშაოთა ხელმძღვანელი არქიტექტორი სკუდიერი). 1851 წელს დიდი ხიდის პროექტი გადაამუშავა ინჟინერმა ს. ბლიკსმა, რომელმაც ხის მალეები აგურის კამარებით შეცვალა. მშენებლობისათავეში ჩაუდგა პირველი ინჟინერ-პიდრავლიკოსი ქართველთა შორის კ. ბაგრატიონი (Баграцион-Мухранский). მიხეილის (დღევანდელი კ. მარქსის სახელობის) დიდი ხიდის საზეიმო გახსნა 1853 წლის აპრილს მოხდა.

მიხეილის ხიდს თბილისელებმა არაოფიციალურად ვორონცოვის სახელი შეარქვეს, ვინაიდან გენერალი მ. ვორონცოვი ქმედით მონაწილეობას ღებულობდა მის მშენებლობაში. ამ სახელის დამკვიდრებას იმ გარემოებამაც შეუწყობ ხელი, რომ დღევანდელი მარქსის მოედნის შუაგულში 1867 წლის 25 მარტს გაიხსნა მიხეილ ვორონცოვის ძეგლი. 2-მეტრიანი ფიგურა ბრინჯაოში იყო ჩამოსხმული, ხოლო კვარცხლბეკი ალგეთის ქვით მოაპირკეთეს (პროექტის ავტორები: პროფ. პიმენოვი და მხატვარი კრეიტანი).

ხიდი იმდენად ვიწრო იყო, რომ უკვე 1884 წელს იგი გადაკეთდა. ამ ხიდის

კონსტრუქცია თავის დროისათვის გარკვეულ ტექნიკურ ინტერესს იწვევდა. 32-მეტრიანი თაღოვანი მალი თლილი ქვით არის ამოყვანილი დუდაბზე. ალაგ-ალაგ წყობა გამაგრებულია ლითონის ლეროებით-პირონებით. ხიდი ახლაც კარგა მდგომარეობაშია.

დიდი ვორონცოვის ხიდი ძირფესვიანად შეიკვალა 1961 წელს (ინჟ. გ. ქარცივაძე, არქიტექტორები: გ. მელქაძე, შ. ყავლაშვილი), ახალი კ. მარქსის სახელობის ხიდის მშენებლობისას გამოიყენეს ძველი ბურჯები და შეინარჩუნეს ხუთმალაიანი კონსტრუქცია და თაღების მოყვანილობა.

ზარბარხანა — ასევე ერქვა ოქრომჭედელთა რიგებს. თბილისში ოქრომჭედელთა რიგები აწინდელ ვერცხლის ქუჩაზე იყო განლაგებული, თუმცა ოქრომჭედელთა ცალკეული სახელოსნოები სხვა უბნებშიც არსებობდა.

ზარის ეკლესია — ანჩისხატის ადრინდელი სახელწოდება.

ზამსნი — ზემო ავჭალის პიღროლექტროსადგურის შემოკლებული სახელი. მას საფუძველი ჩაეყარა 1922 წლის 10 სექტემბერს და 1927 წელს ჩაღმა მწყობრში. ნაგებობის არქიტექტურაში ტაქტით არის გამოყენებული ეროვნული მოტივები. შენობათა კომპლექსში ჩართულია 16 მეტრის სიმაღლის მონუმენტი — ლენინის ძეგლი. იგი დგას მთავარი სადგურიდან 2 კილომეტრის დაცილებით.

ზიმელი — გასულ საუკუნეში და ამ საუკუნის დასაწყისში თბილისში გერმანელ პროფიზორთა დიდი ჯგუფი მოღვაწეობდა (შინბერგი, შმიდტი, გეინი, ოტტენი და სხვები). მათ შორის იყო ვინმე ზემელიც, რომელსაც აფთიაქი ჰქონდა გახსნილი დღევანდელი რუსთაველის მოედნის ერთ-ერთ კუთხეში. ადგილის სახელწოდებაც აქედან მოდის.

ზიმო უბანი — შუასაუკუნოვანი თბილისის ბირთვის — კალას ორ დიდ უბნად, ზემო და ქვემო უბნად ყოფდა დღევანდელ ლესელიძის ქუჩას გაყოლებული ქუჩების სისტემა. სწორედ ამიტომ ერქვა „შუა ბაზარი“ ამ ქუჩების სწვრივად განლაგებულ დუქნებსა და სახელოსნოებს.

„ზემო და ქვემო“ უბანი შერქმეული იყო არა რელიეფის თავისებურებების გამო, არამედ უბნების ურთიერთგანლაგების მიხედვით მტკვრის დინე-

ბის მიმართულებით. ზემო უბანი განლაგებული იყო ამჟამინდელი ლესელიძის, ბარათაშვილის ქუჩებზე და მტკვრის კალაპოტს შორის. ზემო უბანში განლაგებული იყო ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: დიდი ქარვასლები, ქართული ეკლესიები: სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი, კვირაცხოველი, წმ. გიორგის სასახლისეული, ქრისტეშობის მეფის და მეფის ოჯახის სასახლეები, სკოლა, ლექსი, კათოლიკოსის და ეპისკოპოსთა ადგილსამყოფელები, ქსნისტიკოსის, ციციშვილის, ზედგენიძის, აბაშიძის და სხვათა სახლები. ბატონის მოედნის სამხრეთით, გრძელი ბაზრის ქუჩაზე (რასტაბაზარზე) გამოდიოდა გამაჰმადიანებულ მეფე როსტომის აგებული მეჩეთი. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგს აშენდა ერთადერთი სომხური ეკლესია — სურფნიშანი.

ზემო უბანში, მტკვრის პარალელურად გადიოდა თბილისის უმთავრესი სავაჭრო და საზოგადოებრივი მაგისტრალი, რომლის შუაწელზე ბატონის მოედანი მდებარეობდა. ეს მაგისტრალი ემთხვევა აწინდელი სიონის, ერეკლეა და შავთელის ქუჩების ხაზს.

ზღვისუბანი — სახელწოდება სულ ახლახანს წარმოიშვა ჩვენ დროში, და დაკავშირებულია ვრცელი წყალსატევის ე. წ. „თბილისის ზღვის“ შექმნასთან. „ზღვას“ უშუალოდ მოადგა ქალაქის განაშენიანებაც.

დამუშავებულია პროექტი ლოტკინის მთაზე არსებული დასახლების და მის მიმდებარე ტერიტორიებზე ახალი საცხოვრებელი რაიონის შესაქმნელად (არქიტექტორები: ო. არველაძე, ი. სანაძე, გ. შავლია). ამ უბანს არქიტექტორებმა „ზღვისუბანი“ უწოდეს და ეს სახელი მოკლე დროში დამკვიდრდა თბილისელთა შორის. ზღვისუბნის ტერიტორია ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან შემოფარგლულია მთების ფერდობებით, აღმოსავლეთით იგი ვრცელდება თბილისის ზღვის დასასვენებელ ზონამდე, სამხრეთიდან მას ჩაუვლის თბილისის განვითარების გენერალური გეგმით გათვალისწინებული უწყვეტი მოძრაობის საქალაქო მაგისტრალი. განაშენიანებისათვის განკუთვნილი ტერიტორია (250 ჰა) ბორცვით ორად ვაყოფილი მთის კალთას წარმოადგენს (საშუალო ქანობი 12 პროცენტია). მომავალი განაშენიანება მკაფიოდ აღიქმება მტკვრის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული უბნებიდან.

სამიდან ერთი მიკრორაიონი თავისუფალ ტერიტორიაზე განლაგდება, ორი კი — სარეკონსტრუქციო უბნებში. განაშენიანების დიდ ნაწილს შეადგენს 9-სართულიანი სახლები. გარდა ამისა, აშენდება 16-სართულიანი და ე. წ. „კასკადური-ტერასული“ სახლებიც. სულ სამივე მიკრორაიონში 57 ათასი თბილისელი დასახლდება.

ადგილმდებარეობაზე გაბატონებული ბორცვი დაეთმოა საცხოვრებელი რაიონის სავაჭრო-საზოგადოებრივ ცენტრს. საზოგადოებრივი შენობები დაპროექტებულია ბორცვის ორთავ მხარეზე. ამ ორი ნაწილის ურთიერთკავშირი

განხორციელდება მეტროს სადგურთან დაკავშირებული გვირაბის მეშვეობით.

საცხოვრებელი რაიონის დაგეგმარება და კომპოზიციური წესით ითვალისწინებს რელიეფის თავისებურებებს და უბნის მომავალ ადგილს თბილისის სიუჟეტში.

ბ ი ბ ლ ი მ ი თ ე ქ ა

თაბორის ციხე — თბილისის ციხესიმაგრეები ერთიანდებოდნენ ზედმიწევნით მოთქმებულ სისტემაში, რომელიც იყენებდა მთავორიანი რელიეფის თავისებურებებს. ამ სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა თაბორის მთაზე განლაგებულ ციხეს (მთა თრიალეთის ქედის განშტოებაა თბილისის სამხრეთით). ციხე ფორტიფიკაციული სისტემის ფორტოსტი იყო აღმოსავლეთის მხრიდან, საიდანაც ტრადიციულად ესმოდნენ ქალაქს მტრები. იგი „დაკიდული“ იყო განჯის გზის თავზე უშუალოდ კალს სიახლოვეს. თაბორის ციხე თავისი არსებობის ვრცელ მანძილზე არაერთხელ დანგრეულა და კვლავ აღდგენილა. მის არსებობას უძველესი დროიდან „ქართლის ცხოვრება“ მოწმობს. ბაგრატ IV ქალაქში შემოსვლის ამბის აღწერისას ეამთა აღმწერელი, სხვათა შორის, მოგვითხრობს: „დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აღიხუნა კოშკნი კართანი თავის კაცთა, და აღილო ციხე ქალაქისა დარიჯელი, და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინა შიგან ლაშქარნი თვისნი და ერისთავნი“. უკანასკნელად თაბორის ციხე დაანგრია ალა-მაჰმად-ხანმა და მას შემდეგ იგი აღარ განუახლებიათ. პორუჩიკ ჩუიკოს შეუღწრია მისი ნანგრევებისათვის და დაუტანია თბილისი 1800 წლის გეგმაზე: «Разаренное укрепление Корча-Кала». „ყორჩი-ყალა“ დატანილია თბილისის 1802 და 1809 წლების გეგმებზე. გვიანდელ გეგმებზე იგი აღარ ჩანს.

ციხეში ეკლესიაც მდგარა, რომელსაც პლატონ იოსელიანის მოწმობით „ღვთის ფერისცვალების“ სახელით იხსენიებდნენ (церковь Преображения господня). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა თვით თაბორის მთის სახელწოდების წარმოშობა. ისევე როგორც „მთაწმინდა“ იგი დაკავშირებულია ქრისტიანულ „წმინდა“ ადგილებთან. იერუსალიშში, თაბორის მთაზე მომხდარა ქრისტეს ფერისცვალება. აქედან მოდის თბილისის მთის და ციხეში აგებული ეკლესიის სახელები.

დღეს ეკლესიის კვალი წაშლილია. იგი ისევე როგორც ციხის ნაშთები უკვე აღარ ჩანს პლატონ იოსელიანის დროინდელ აღწერის ხანაში (1866 წ.). 1972 წელს არქეოლოგიური ძიებისას მიაკვლიეს ციხის კვალს.

თავისუფლების მოედანი — რევოლუციის შემდეგ პასკევიჩ-ერევანსკის (აწინდელი ლენინის) მოედანს თავისუფლების მოედანი უწოდეს. შემდგომში მას „ზაყფედერაციისა“ დაარქვეს.

თათრის მოედანი — თითქმის ჩვენ დრომდე ასე ეწოდებოდა დღევანდელი გორგასლის მოედნის ადგილზე მდებარე თბილისის ერთ-ერთ უძველეს მოედანს. ვახუშტი ბაგრატიონი მას „ციხის მოედანს“, ხოლო ყან შარდენი „სამხედრო მოედანს“ უწოდებდა. ორი უკანასკნელი სახელი ასახავდა მის ადგილმდებარეობას. მოედანი უშუალოდ ესაზღვრებოდა კედელს, რომელიც კალას გამოყოფდა ქვემო ციხისაგან. მოედანს სხვა სახელები ჰქონდა: „ქვემო მოედანი“, „შეთანბაზარი“, „მეიდანო“. ამასთან გვიან ფეოდალურ ხანაში ეს სახელწოდებები პარალელურად იხმარება. ციხეში საუკუნეების მანძილზე დამპყრობლები — სპარსელები და ოსმალები იღებდნენ ბინას. შემდეგშიც ამ უბნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს სპარსელები შეადგენდნენ. აქედან უნდა შობიოდეს ხალხში მიღებული სპარსელებისა და ოსმალების განზოგადებული სახელის „თათრის“ გადატანა მოედნის სახელწოდებაზე.

1800 წლის გეგმით თუ ვიმსჯელებთ, მოედანი სწორი მართკუთხა ფორმისა იყო, გრძივი ღერძით სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მოედანზე ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, მეტეხის ხიდიდან, ირიბად შემოდიოდა ვიწრო ქუჩა. საერთოდ კი მოედანთან თავს იყრია მრავალი ქუჩა, რომლებიც მოედანს აკავშირებდნენ აბანოს კართან, შუა ბაზართან, ზარაფხანის უბანთან, რასტაბაზართან, კლდისუბანთან და სხვა.

მოედანზე, ძირითადად, სურათ-სანოვაგიანი სავაჭროები იყო განლაგებული. მოედნის ჩრდილო-დასავლეთი მხარე ალაფხანას ეკავა, მოპირდაპირე მხარე — მეხაშეების რიგსა და სამეფო დუქნებს (ე. ი. დუქნები, რომლებიც მეფეს ეკუთვნოდა და იჯარით იყო გაცემული სხვა პირებს). ამ რიგების უკან, ე. წ. ბერძენხანა, ანუ ბერძენების უბანი იყო წარმოდგენილი ცენტრში ბერძნული ეკლესიით. სამხრეთ-დასავლეთიდან მოედანზე გამოდიოდა ე. წ. ციხის დიდი საყლარი („სურფგოქა“), რომლის წინ მენაბდეებისა და მექუდეების დუქნები იყო განლაგებული. ამ მხარეზე მოედანს ერწყმოდა ლილახანა (აწინდელი სამღებროს ქუჩა). ალაფების გარდა, მოედანზე იყვნენ განლაგებულნი ბაყლები, მეთევზეები, ყასბები (მოედნის უშუალო სიახლოვეს, მტკვრის ნაპირზე იყო სასაკლავო).

თათრის მოედანზე ვაჭრობის ერთ-ერთ საინტერესო წესს აღმოგვცემს ძველი თბილისის მცოდნე და მოტრფიალე იოსებ გრიშაშვილი: „თათრის მოედნის შუაგულში გამართული იყო ყაფანი — დიდი სასწორი, საიდანაც საქონელი მცხოვრებლებსა და ვაჭრებს ურიგდებოდა. სოფლიდან მოსული საქონელი ჯერ ქალაქის მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორვაჭრებს. როცა ყაფანზე ბაირალი იყო ამართული, მაშინ მცხოვრებლებს უნდა ეყიდათ და შემდეგ ქორვაჭრებს. სრულ 12 საათზე ბაირალს დაუშვებდნენ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ამის შემდეგ უნდა დაწყებულიყო ვაჭართა და სოფელთა აღებმცემობა!“

დღეს მოედნის სახე სრულიად შეცვლილია. ერთ დროს ყოველ მხრივ ჩაკეტილი, ახლა სრულიად გახსნილია მტკვრის მხარეს. ძველ შენობათაგან მხო-

1 ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოქმა, თბილისი, 1927,

ლოდ ციხის დიდი ეკლესია და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარის მოწიწების ხაზიც არის შემორჩენილი.



ერეკლე

თბილელის ბაღი — თბილისის მრავალ ბალთავან ერთ-ერთი უძველესი უფენოდა. იგი ვახუშტი ბაგრატიონს თავის გეგმაზე აღნიშნული აქვს № 42-ით და ნაჩვენებია „ყოყრის გზის“ (№ 68) მოსახვევებზე შექმნილ კუთხეზე. ეს ადგილი დღევანდელი კიროვის და მახარაძის ქუჩების გადაკვეთას უნდა შეესაბამებოდეს.

თბილელის ქარვასლა — გვიანფეოდალურ თბილისში ქალაქის უმთავრესი ქარვასლები აწინდელი სიონის ქუჩის დასაწყისში, სიონის სიახლოვეს იყო თავმოყრილი. სიონის მხარეზე, მის გვერდით ქარვასლა 1650 წელს აუშენებია მეფე როსტომს და იგი თბილისისათვის უბოძებია. ეს ქარვასლა ვახუშტი ბაგრატიონს თავის თბილისის გეგმაზე № 12-ით აქვს დატანილი. ქარვასლა აღნიშნულია თბილისის 1800 წლის გეგმაზეც. იგი ამ გეგმაზე კვადრატული მოხაზულობისა ჩანს, ვრცელი შიდა ეზოთი. ამ ქარვასლის ნანგრევებზე აშენდა (აღა-მამაძე-ხანის შემოსევის კიდევ ერთი მსხვერპლი) XIX საუკუნეში არწრუნის ქარვასლა.

თბილისის ზღვა — სახელწოდება სულ ახლახანს, ჩვენ დროში, წარმოიშვა და დაკავშირებულია ვრცელი წყალსატევის შექმნასთან.

წყალსატევი ნავარაუდევია იყო ჯერ კიდევ თბილისის განვითარების და რეკონსტრუქციის 1934 წლის გენერალურ გეგმაში. წყალსატევი შეიქმნა მახათის მთის გადაღმა და იკვებება მდინარე იორის წყლით. სათავე-ნაგებობები გაშენდა სოფელ პალდოსთან. ივრის წყალი 40-კმ სიგრძის ზედა მაგისტრალური არხით ქვაბულისაგან გამოუშვეს. გამოტოცხლდა სამგორის ველი. მოირწყა 80 000 ჰექტარი. წარმოიშვა დასახლებები, ვენახები, მეურნეობები, რომლებიც მებოსტნეობას და მეხილეობას მისდევენ. თბილისის ზღვის ნაპირზე შეიქმნა დასვენების ზონა, საფუძველი ჩაეყარა 850 ჰექტარ ფართობის მქონე პარკს, შეიქმნა კეთილმოწყობილი პლაჟები. საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტი“ დამუშავებულია თბილისის ზღვის ნაპირების შემდგომი ათვისებისა და კეთილმოწყობის პროექტები.

თეატრალური მოედანი — ერევანსკის (აწინდელი ლენინის) მოედნის შუაგულში განლაგებული შენობის დიდი ნაწილი თეატრს ეკავა, დანარჩენი — ქარვასლას. შენობა მოედანს რამდენიმე ნაწილად ყოფდა. თეატრში შესასვლელი მოქცეული იყო სამხრეთ მხარეზე (დღევანდელი აღმასკომის შენობისკენ). აქ წარმოქმნილ მოედანს ერთხანს „თეატრალურს“ უწოდებდნენ.

თეპანამის ეკლესია — სომხური ეკლესია გარეთუბანში ახლანდელი ბარათაშვილის ქუჩის ქვედა ნაწილში, დაახლოებით სანაპიროს გადაკვეთაზე.



თეკლეს მარვასლა — მე-17 საუკუნეში სიონის მოპირდაპირე მხარეში მდებარე ფს (ბატონის) ფუნდუკი აშენდა. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ მდებარეობდა გრუელი შენობის საძირკველზე ახალი, თეკლე ბატონიშვილის ქარვასლა აავგეს.

თემბა — სრულიად ახალი სახელწოდებაა დასახლებისა ღრმაღელეში, რომელიც თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოიშვა. დასახლების სახელიც სწორედ ამ საწარმოს დასახელების შემოკლებაა.

თოფხანა — განლაგებული იყო ბატონის მოედნის დასავლეთ მხარეზე. აქვე იწყებოდა თოფხანის ქუჩა.

ისანი — სახელწოდება „ისანი“ არაბული წარმოშობისაა და გამაგრებულ ადგილს, ციხეს ნიშნავს.

დღეს შეუქმლებელია ისნის ციხის გეგმარების და საერთო სახის ზუსტი აღდგენა. ფორტიფიკაციული კომპლექსი, როგორც ჩანს, ორ დონეზე განლაგებული ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი, მთავარი ნაწილი კლდის პლატოზე იყო აშენებული, მეორე — კი დასავლეთიდან ეკვროდა, დამრეც რელიეფს ჩამოყვებოდა და ხილთან მთავრდებოდა. კლდის ძირას ქველი ხიდის ყელის ადგილზე შემორჩენილია კვადრატული კოშკის ნარჩენები (ისინი იხსნებიან ხოლმე მტკვრის დონის დაწვევისას). ასეთი კომპოზიციის ნარჩენები ვახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმაზე. ისნის კარიბჭე აღმოსავლეთის მხრიდან გამოწეულ ნაწილში იყო გაჭრილი. მასთან იყრიდნენ თავს ავკალისა და კახეთის გზები. მას შემდეგ, რაც მე-18 საუკუნეში შიდა ავღაბარი გალაგნით შემოზღუდეს, ეს კარი ფორტიფიკაციული სისტემის შიგნით აღმოჩნდა.

ისანი მეტად მიუღვამელი ციხესიმაგრე ყოფილა. 1045 წელს თბილისელთა მოწვევით ქალაქში მეფე ბაგრატ IV შემოვიდა, რომელსაც მართვეს თბილისის გასაღებები. მან ხელთ იგდო მთელი თბილისი, ისნის გარდა. „ხოლო ისნელთა ჩააგდეს ხიდი და არა მოსცეს ისნი“ („ქართლის ცხოვრება“). ბაგრატი მთელი ზაფხულის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა ისნის დამორჩილებას, მიუხედავად იმისა, რომ „...დაუდგეს ფალავანი და ბრძოდეს ისნთა“.

ისანის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მე-12, მე-13 საუკუნეებში, როდესაც აქ მდებარეობდა გაერთიანებული საქართველოს მეფეთა სასახლე. ამ სასახლეში გაიგო თამარმა მამის, მეფე გიორგის გარდაცვალების ამბავი,

სასახლისეულ ეკლესიაში ლოცულობს იგი მტერზე გამარჯვებისათვის 1195 წელს. 1278 — 1289 წლებში მეფე დიმიტრი თავდადებულს, ყიზილს კარზე გამგზავრებამდე, ისანში ლეთისმშობლის სახელზე აუვია ტაძარი. დაახლოებით აქ დროიდან ისანში ჩნდება ახალი სახელი — მეტეხი. როგორც ჩანს, სახელწოდება „ისანიც“ საბოლოოდ არ გამჭარალა. ამას ნიშნობს თუნდაც ის, როგორც მტერზე ბაგრატიონი მეტეხის მიდამოებს, კვლავ ისანს უწოდებს: „ისანს არს კიდესა მტკრუისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა ეკლესია მეტეხი, ლეთისმშობლისა“...

დღეს ხშირად ისანის სახელწოდებას ავლადბრის დიდ ფართობზე ავრცელებენ, რაც ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფარდება. ისანი განსაზღვრული იყო დღევანდელი ლენინის აღმართით, შაუმიანის ქუჩის დასაწყისითა და მუქუზნის შესახვევით.

აწინდელი მეტეხის ქუჩის სწვრივად სანოვაგის ბაზარი ყოფილა. 1800 წლის გეგმაზე იგი № 88-ით არის აღნიშნული. ისანშივეა ქარვასლები, თოფის წამლის ქარხანაც. 1800 წლის გეგმის მიხედვით, ისანის ქუჩების ქსელი კალასთან შედარებით „რეგულარულ“ ხასიათს ატარებდა. შუასაუკუნეობრივმა ქსელმა ძირითადად იღვწოდა მოაღწია.

ბაღა — ასე ეწოდებოდა თბილისის გალავნით შემოსაზღვრულ უბეველს ნაწილს, წავეისწყლის მარცხენა ნაპირზე, ნარიყალას ქვევით. მატინე აღნიშნავს, რომ პიტიანში მოვიდაო „ტფილისად და კალა — ციხედ“. შემდგომში ეს სახელწოდება გავრცელდა თბილისის გალავნით შემოზღუდულ ძირითად ნაწილზე. სამხრეთ-აღმოსავლეთით გალავანი მიყვებოდა წავეისწყალს (მდინარის იმ ნაწილს, რომელიც დღეს მიღებში მიედინება) და მთიან რელიეფზე განლაგებული რთული ფორტიფიკაციული სისტემის მეშვეობით ნარიყალას ბასტიონებს უერთდებოდა. ნარიყალადან კედელი ტეხილი ხაზით მიყვებოდა აღმოსავლეთისაკენ სალაღაცის ქედს. შამ-ტახტთან (ამ ბასტიონის ნარჩენები დღესაც დგას კომკავშირის ხეივანზე) გალავანი მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისკენ და საფეხურობად ეშვებოდა მთის ფერდობებზე, გასდევდა დღევანდელი დადიანისა და პუშკინის ქუჩების ხაზს. შემდგომ გალავანი კვლავ მკვეთრად იცვლიდა მიმართულებას და მტკვრისაკენ ეშვებოდა. გალავნის ამ ნაწილის ფრაგმენტები გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩის გაფართოებისას. სწორედ აქ, ქალაქის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლების გადაკვეთაზე იყო მოწყობილი ქალაქის ერთ-ერთი დიდი კარიბჭე (სადაც ახლა ვერცხლის ქუჩა იწყება). ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ერთმანეთის სიახლოვეს ორი კარიბჭე აქვს ნაჩვენები: „მეიდნის კარი ხილით“ და „ქვემო კარი ხილით“. თბილისის შემდგომ გეგმებზე კი მხოლოდ პირველ მათგანს უჩვენებენ „მუხრანის კარის“ სახელწოდებით. როგორც ჩანს, „ქვემო კარი“ ამოაშენეს გასულ საუკუნეში ფორტიფიკაციული ნაგებობების შეკეთებისას. ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კარი — კოჯრისა („კოჯრის კარი“) მდებარეობდა დასავლეთ კედელში, იქ, სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის ლენინის მოედანს. ქალაქის გალავნის კიდევ ორი კარიბჭე იყო საწი-

ხალმდევო მხარეზე: აბანოების კარი, რომელიც აბანოების უბნიდან უშუალოდ კალაში მიდიოდა და განჯის კარი, რომელიც სამხრეთით, ნარიყალას ძირში იყო განლაგებული. ამგვარად, კალაში შემოსვლა შეიძლებოდა სამხრეთიდან განჯის, აღმოსავლეთიდან აბანოების, დასავლეთიდან კოჯრის, ჩრდილო-დასავლეთიდან დიღმის და ბოლოს, ჩრდილოეთიდან მუხრანის კარიბჭეებით.

პირველ გრაფიკულ საბუთს, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ფეოდალური თბილისის ქალაქთმშენებლურ სტრუქტურას, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილი გეგმა წარმოადგენს. მართალია, ვახუშტი ბატონი არ იძლევა ქუჩების ზუსტ ქსელს, მაგრამ იგი მაინც გამოყოფს ზოგიერთ ქუჩებს, რომელთაც, როგორც ჩანს, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდათ. კალაში ორი მოედანი გამოიყოფა: ციხის (თათრის) და ბატონის (მეფის). ბატონის მოედნის მნიშვნელობა გაიზარდა მას შემდეგ, როდესაც მეფე რისტომმა ახალი სასახლე ააშენა ამ მოედნის ერთ მხარეზე (იხ. „ბატონის მოედანი“).

გვიანფეოდალური ხანის კალას ქუჩების ქსელის ხასიათზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა მე-18 საუკუნის ბოლოს და განსაკუთრებით 1800 წელს შედგენილი თბილისის გეგმები, სადაც მკვეთრად არის გამოსახული ქალაქის მაგისტრალები. ერთ-ერთი მათგანი იწყებოდა დიღმის კართან, მიყვებოდა დღევანდელ ვერცხლის ქუჩას და შემდეგ სიონის ქუჩით გადიოდა თათრის (დღევანდელ გორგასალის) მოედნისაკენ.

მეორე ასეთ მაგისტრალს წარმოადგენდა გზა, რომელიც კოჯრის კართან იწყებოდა. საუბარია აწინდელი ლესელიძის ქუჩის მონაკვეთზე ლენინის მოედნიდან ვერცხლის ქუჩასთან გადაკვეთამდე. სწორედ ეს გზა ჰყოფდა კალას ორ, „ზემო და ქვემო“, უბნად. ამიტომაც ერქვა მას „შუაბაზარი“. „ზემო და ქვემო“ უბანი შერქმეული იყო არა რელიეფის თავისებურებების გამო, არამედ უბნების ურთიერთგანლაგებით მტკვრის დინების მიმართულებით. ზემო უბანში იყო განლაგებული ქალაქის უმთავრესი ნაგებობები: სასახლეთა კომპლექსი, ქარვასლები (მეფის, თბილელის, მელიქის), ქართული ეკლესიები (სიონი, ნათლისმცემელი, ანჩისხატი, კვირაცხოველი, ქრისტეშობის და სხვა), კათალიკოსის და ეპისკოპოსის ადგილსამყოფლები, თავადების (ამილახვარის, მუხრან ბატონის, ქსნის ერისთავის, ორბელიანების, ციციშვილის, ზედგენიძის, აბაშიძის და სხვ.) სახლები. ამ უბნის ძირითად მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მხოლოდ მე-18 საუკუნის დამდეგს აშენდა ზემო უბანში ერთადერთი სომხური ეკლესია — სურფინიანი. ქვემო უბანში ქართველების გარდა დიდი რაოდენობით სახლობდნენ სომხები და მუსლიმანები. ამ უბანში ქართული და სომხური ეკლესიების, მეჩეთების გარდა, კათოლიკური ეკლესიაც (ე. წ. „ფრანგთა საყდარი“) იდგა. ქუჩას, რომელზედაც კათოლიკური ეკლესია იდგა „ფრანგთა ქუჩას“ ეძახდნენ (აწინდელი პირველი მაისის ქუჩა).

ზემო და ქვემო უბნები თბილისის ძირითადი რაიონები იყო. ისინი თავისთავად მრავალ მცირე უბნებად იყოფოდნენ. ამა თუ იმ უბნის დასახელება ასახავდა მოსახლეობის უმრავლესობის ეროვნულ შემადგენლობას („ქართველთა უბანი“, „მოგვთა უბანი“, „ურიათა უბანი“), ხელოსანთა საქმიანობას („მკედ-

„პროჩანია“ — ასე უწოდებდნენ თბილისელები დღევანდელ მარჯანიშვილის ქუჩას იმის გამო, რომ აქ (დღევანდელი მარჯანიშვილის ქუჩის და პლეხანოვის პროსპექტის გადაკვეთაზე) გერმანული ეკლესია „კირზე“ იდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კლდისუბანი — უბნის დასახელება ბუნებრივი პირობებიდან მოდის. იგი განლაგებულია მეტად დამრეც რელიეფზე. უბანს საზღვრავენ კომკავშირის ხეივანი, აზიზბეგოვის ქუჩა, ფეთხაინის უბანი. თბილისის მრავალი ადგილიდან ჩანს აქ მდგარი კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია.

კლდისუბნის წმ. გიორგის ეკლესია — კლდის უბანში ფეთხაინის აღმოსავლეთით დგას მცირე ზომის ეკლესია, რომელიც 1600 წელს აუგიათ და მე-18 საუკუნეში სომხურ თემს შეუძენია.

კომკავშირის ხეივანი — სალალაის მთის ფერდობზე, კოჯრის გზიდან ქალაქის ძველი ვალაენის გასწვრივ მდებარე ხეივანი ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ვააშენეს თბილისელმა კომკავშირელებმა და სახელწოდებაც მათი ღვაწლის აღსანიშნავად დაერქვა.

კოჯრის გზა — გზა იწყებოდა კოჯრის (ვახუშტისეული „კოჯრის“) კართან, იქ სადაც დღეს ლესელიძის ქუჩა ერწყმის ლენინის მოედანს და თბილისის გარეთუბნის ბაღებს შუა მიემართებოდა. ვახუშტი ბატონიშვილს ეს გზა აღნიშნული აქვს თბილისის გეგმაზე. ამ გზის დასაწყისი იმ დროს (1735 წ.) აწინდელი ენგელის ქუჩას ემთხვეოდა. თბილისის 1800 წლის გეგმაზე კი დღევანდელი კიროვის ქუჩას უთავსდება. როგორც ჩანს, კოჯრისაკენ მიმავალი გზები ჯერ იყოფოდნენ, შემდეგ კი კვლავ ერთიანდებოდნენ დაახლოებით ამჟამინდელი კიროვისა და მახარაძის ქუჩების გადაკვეთასთან.

კოჯრის კარი — თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოჯრისკარი განლაგებული იყო ვალაენის დასავლეთ კედელში, იქ სადაც ლესელიძის ქუჩა ლენინის მოედანს უერთდება.

კრწანისი — თბილისის სამხრეთ შემოგარენში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფელი კრწანისი დღეს უკვე ქალაქის გარეთუნდა იქცა. მისი განაშენიანების პროექტი შედგენილ იქნა არქიტექტორების მიერ.

კრწანისი თბილისის გარშემო მდებარე სოფელთაგან ერთ-ერთი უძველესი

სია. ჩვენამდე მოღწეულ საბუთებში იგი პირველად მე-14 საუკუნის მიწურულს იხსენიება. კრწანისი ქართველ მეფეებს სვეტიცხოვლისათვის შეუწირიათ და ამგვარად იგი საკათალიკოსო მამული ყოფილა.¹

ამჟამად კრწანისის საზღვრები საგრძნობლად შემცირებულა. კრწანისის ნებთან შედარებით, სოფლის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი უკვე აღარაა. ბორამდე აღწევდა და თითქმის აბანოების უბანს ებჯინებოდა. გვიან შუასაუკუნეებში კრწანისის ნაწილი თბილისის გარეთუბანმა — სეიდაბადმა (დღევანდელი ხარფუხის ტერიტორია) დაიკავა, თუმცა კრწანისი მაინც დიდ ფართობს ფლობდა. ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე ორთაჰალა კრწანისს არის მიკუთვნილი. ავტორი ორთაჰალის კუნძულს, „კრწანისის ბაღებს“ უწოდებს. კრწანისი ოდითგანვე ხილით და ბოსტნეულით ამარაგებდა თბილისს.

დღეს ქალაქის განაშენიანება უშუალოდ მიუახლოვდა შუა საუკუნეებთან შედარებით ძლიერ შემცირებულ კრწანისს. კრწანისის საცხოვრებელი რაიონი დაპროექტებულია ორი მთის ფერდობებს შორის. ტერიტორია თანდათან ჩამოდის მტკვრისაკენ (10 პროცენტაინი ქანობით). მასზე მკვეთრად არის გამოსახული ორი ტერასა. დაგეგმარება ასახავს რელიეფის თავისებურებას. განაშენიანება ორ ნაწილად იყოფა: ზედა და ქვედა კომპლექსად. გამოიყენება სახლების ორი ტიპი: კოშკურა 20-სართულიანი და გალერეიანი 12-სართულიანი სახლები. სახლები დაჯგუფებულია საპარკო ქუჩისკენ გახსნილი ეზოების გარშემო. ქვედა ტერასაზე განლაგებული სახლები დაიყოფიან ცალკეულ ჯგუფებად მათი რელიეფზე განლაგების მიხედვით. პირველადი მომსახურების დაწესებულებები განთავსებულია შენობების პირველ სართულებში, მეორადი კი (პერიოდული) — მთავარი ქუჩის ორივე მხარეზე, მესამე საფეხური (ეპიზოდური) — კომპლექსის ცენტრში.

კჷმინა — დღევანდელი პლენანოვის პროსპექტის დასაწყისში, მარქსის მოედნის მიდამოებში ვახუშტი ბატონიშვილს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ნაჩვენები აქვს მცირე დასახლება „ახალი სოფლის“ სახელწოდებით. იგივე სოფელი ნაჩვენებია შედარებით გვიანდელ გეგმებზეც. რუსეთის აკადემიის აკადემიკოსი გიულდენშტედტი მას უკვე კუკიის სახელით იხსენიებს (1772 წელი). მისივე მოწმობით აღრე აქ ციხესიმაგრეც ყოფილა. იგი მის ნანგრევებს აღნიშნავს. სოფელი კუკა ვალავანშემორტყმული ველსითა და ვრცელი კერძო ბაღით ნაჩვენებია თბილისის 1800 წლის გეგმაზეც. თეიმურაზ ბერიძის ვარაუდით „კუკია“ თრიალეთის სოფელ კუკიას სახელიდან უნდა მოდიოდეს, საიდანაც მოსახლეობა თბილისის გარეთუბანში გადმოსახლდა მე-18 საუკუნის 40-იან წლებში. მისივე განმარტებით, „კუკიას“ ეტიმოლოგიური ახსნა უნდა ეძიოთ აღამიანის გამომსახველ თოჯინის სახელწოდებასთან („კუკი“). თოჯინას

¹ იხ. თ. ბერიძე ...და აღმოცენდა თბილისი, 1977, გვ. 182.

იყენებდნენ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულ რიტუალებში¹. სოფელ კუკიას საზღვრებს შეადგენდა მტკვარი, ხევი, რომელიც დღევანდელი მარჯანიშვილის ქუჩის ხაზზე გადიოდა და ასეთივე ხევი „კვირაცხოველი“ მეტეორი პირე მხარეზე. 1823 წლისათვის კუკიაში 1000-მდე მცხოვრები იყო. ამ ხროვალში ძირითადად სოფლის მეურნეობითა და ხელოსნობით იყვნენ დასაქმებულნი.

1824 წელს სოფელი კუკია თბილისს მიაწერეს. კუკიის ფარგლები განსაკუთრებით გაფართოვდა გასული საუკუნის 40-იან წლებში და ავჭალის გზა გადალახა. ამ დროს ისახება ე. წ. „ახალი კუკია“, ტერიტორია, რომელსაც დღემდე შემორჩა ეს სახელი.

1818 წელს კუკიის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვიუტენბერგიდან გადმოსული გერმანელი კოლონისტები სახლდებიან. მიდამო ბაღებითა და ბოსტნებით დაიფარა. გასული საუკუნის 30-იან წლებში აქ არსებული ვიწრო გზა თანდათან ქუჩის სახეს იღებს. 1853 წელს ამ მიდამოებზე ვრცელდება ქალაქური გაშენების წესები, ხოლო 1862 წელს იგი ჩართული იქნა ქალაქის ფარგლებში. მშენებლობის ტემპები განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ვერის ხიდი გაშენდა (დღევანდელი ელბაქიძის ხიდის ადგილზე). გასული საუკუნის მეორე ნახევარში კუკიაზე, ნიკოლოზის (დღევანდელი კალინინის) ქუჩაზე მართლმადიდებელთა და კათოლიკური ეკლესიები აშენდა (მათ დღემდე მოაღწიეს).

დროთა განმავლობაში დღევანდელი პლესხანოვის პროსპექტს მიკედლებულ უბნებს ჩამოცილდა „კუკიას“ სახელი და იგი შემორჩა ყოფილ „ახალ კუკიას“ საბჭოს ქუჩის ზემოთ.

ლილახანა — ძველ თბილისში ორი მღებავთა რიგი იყო. ერთი მათგანი განლაგებული ყოფილა ქუჩაზე, რომელიც თათრის მოედანზე იწყებოდა ციხის დიდი ეკლესიის (სურფეგორქის) წინ გადიოდა და ბერძენხანის უკან აბანოს კარისაკენ მიემართებოდა აწინდელი სამღებროს ქუჩაზე. მეორე ლილახანა იწყებოდა ბატონის მოედნის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში და შუა-ბაზარზე (დღევანდელ ლესელიძის ქუჩაზე) გადიოდა. პიშჩევიჩის მიერ შედგენილ თბილისის 1785 წლის გეგმაზე იგი № 17-ით არის აღნიშნული და მას „მღებავთა ქუჩას“ უწოდებს.

ლილო — ის გარემოება, რომ თბილისის უბნების დასახელება ზოგჯერ ამ ადგილებში განლაგებული ხასიათიდან მიმდინარეობდა, გვაფიქრებინებს, რომ ქალაქის ამ საგარეუბნო სოფელში საღებავის წარმოებას მისდევდნენ, რამაც დასაბამი მისცა უბნის დასახელებას.

¹ იხ. თ. ბერიძე... და აღმოცენდა თბილისი, 1977, გვ. 181.

ლისის ტბა — საბურთალოდან ჩრდილო-დასავლეთით 630 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან მდებარეობს 1000 მეტრი სიგრძისა და 600 მეტრი სიგანის ლისის ტბა. ბოლო წლებში აქ გაშენდა პარკი პარტიზანების სსონის სახე-ნიშნავად. ტბა იკვებება მიწისქვეშა და ატმოსფერული წყლებით.

სახელწოდების წარმოშობას სხვადასხვაგვარად ხსნიან. იგი უნდა იყოს დაკავშირებული თელიდა, რომ „ლისი“ სილის და ქვიშის აღმნიშვნელი სიტყვაა. რაქული წარმოშობის ასევე სილისა და ქვიშის მნიშვნელობით განმარტავს „ლისის“ ვუკოლ ბერიძე. სხვა ცოცხარებებით (ი. მაისურაძე) „ლისი“ სიტყვა „ლი“ ან „ლია“-დან უნდა მოდიოდეს. სულხან-საბა ორბელიანი მას ასეთ განმარტებას აძლევს: „ლია-საფლობი ტალახი“, რაც ზემოთ მოყვანილ აზრს უახლოვდება. ზოგიერთს განმარტებით ტბის სახელი ტბებისა და ქაობების მცენარეულის დასახელებით — „ლისით“ უნდა აიხსნას.

ლისის ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით 2 კილომეტრის მანძილზე განლაგებულია სოფელი თხინვალი. სოფლის სიახლოვეს ნაკადულის მარცხენა კლდოვან ნაპირზე დგას წმ. გიორგის უგუმბათო ეკლესია. ამ ადგილს საგაბაშვილოს უწოდებენ. ეკლესია აგებულია ლამაზი ფაქტურის ღია ფერის აგურით, განიერი ნაკერებით. კარნიზი ქვისაა. სამხრეთის კედელში ჩატანილია ქვის ფილა, რომელზედაც მზის საათია განოსახული, ასევე ქვაზეა ამოჭრილი ჭრის გამოსახულება აღმოსავლეთის ფასადზე. ეს ორი ქვის ფილა შეადგენს ეკლესიის გარე მორთულობას. გვიანფეოდალურ ხანას ეკუთვნის შიგნითადაც თაღებით გაჭრილი აგურით ამოყვანილი პორტიკი. დაშლილია მეორე პორტიკი სამხრეთის მხრიდან და ჩრდილოეთიდან ნიკედლებული ეკვდერი. ეკლესიის შიგნით მოკლეობა გადახურულია ისრული მოხაზულობის კამარით. ღრმა საკურთხეველის გვერდებზე მოთავსებულია კამარით გადახურული სამკვეთლო და სადიკავნე. ჩრდილოეთის კედელში ჩამალულია ასასველელი კამარის წედა ნაწილი.

ლისის ტბიდან ჩრდილო-დასავლეთით 3 კმ-ის მანძილზე განლაგებულია ორი სოფელი: ქვემო ლისი და ზემო ლისი, რომლებიც ბოლო ხანს ფაქტიურად გაერთიანდნენ. ქვემო ლისის ჩრდილო ნაპირას განლაგებულ პატარა სასაფლაოზე დგას მე-13 — მე-14 საუკუნეების ეკლესია, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ასევე ნახევრად დანგრეულია ზემო ლისის წმ. გიორგის პატარა ეკლესია.

ლომინი — თბილისის განაშენიანება თანდათან იპყრობს შორეულ და ახლო შემოგარენს. თბილისის განვითარებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის მიხედვით ერთ-ერთ ვრცელ სამშენებლო ბაქნად ახლო მომავალში ლოპინი იქცევა. პროექტის მიხედვით, ახლად წარმოქმნილი საქალაქო უბანი 110 ჰექტარ ტერიტორიას დაიკავებს მდინარე ლოპინის ხევის, კახეთის გზატკეცილსა და რკინიგზის ხაზს შორის. დღესდღეობით მხოლოდ 16 ჰექტარია დაკავებული სამრეწველო ნაგებობებით, დანარჩენი ტერიტორია თავისუფალია.

დეტალური დაგეგმარების პროექტი ტერიტორიაზე ორ საცხოვრებელ კომპლექსს ითვალისწინებს, რომელთა შორის საზოგადოებრივი ცენტრი განთავსდება. დაგეგმარებით სტრუქტურას გამკოლად გაყვება ვრცელი ხეივანი, რომელიც გააერთიანებს დასახლების ძირითად ნაწილებს. ამ კომპლექსებში ლერძის მთელ სიგრძეზე განლაგდება საზოგადოებრივი ნაგებობებების ზონირების თავისებურება განპირობებულია ხევით გადასერილი ადგილმდებარეობის ხასიათით. საცხოვრებელი კომპლექსები დაგეგმარებულია ამ ხევის ორთავ მხარეს, რომელიც მომავალში გამწვანდება. ტერიტორიის აღმოსავლეთ განაპირა უბანში გათვალისწინებულია საქალაქო მასშტაბის დასასვენებელი ზონის მოწყობა. კავშირი თბილისთან განხორციელება კახეთის გზატკეცილის მეშვეობით, რომელსაც საცხოვრებელი კომპლექსები დაუკავშირდება რაიონული მნიშვნელობის გარშესასვლელი მაგისტრალებით.

განაშენიანება განხორციელდება ძირითადად 9-სართულიანი და ნაწილობრივ 16—18-სართულიანი სახლებით.

ლურჯი მონასტერი — ტაძარი დვას ნიკო ნიკოლაძის ქუჩის ბოლოში, ხევის პირას, რომელიც მტკვრის ხეობისკენ გადის. ასეთი სახელწოდება მან მიიღო იმის გამო, რომ გუმბათი ლურჯი ფერის შორენეკით იყო დაფარული. მშენებლობის მოთავე ქართლის მთავარეპისკოპოსი ბასილი ყოფილა. ეს ირკვევა ლურჯი მონასტრის სამხრეთის კარის თავზე შემონახული წარწერიდან. ტაძარი ანდრია მოციქულის სახელზე ბასილის აუგია თავის საგვარეულო სამარხად, „ნაცვალსაგებლად“ თავისთვის და თავის „საყუარლოსა ძმისა“. ეს უკანასკნელი გახლდათ ერისთავთ-ერისთავი, ქართლის ამირთ-ამირი, „რუსეთისა და შვიდთა მთელთა პატრონი“ აბულასანი. ეკლესია აშენებულია თამარის მეფობის დროს, XII საუკუნის მიწურულში.

ეკლესია თავდაპირველად გუმბათიანი იყო. იგი დროთა განმავლობაში რამდენჯერმე აღადგინეს და გადააკეთეს. მე-16, მე-17 საუკუნეებში იმდროისათვის დანგრეული ტაძარი უგუმბათოთ აღადგინეს და თუმცა გეგმა უცვლელად დატოვეს, კედლების დიდი ნაწილი ახლად ამოუყვანიათ და წრიული თაღები შეისრულით შეუცვლიათ. ორქანობიან სახურავქვეშ მოქცეული სივრცე სამ ნაეად დაიყო. მე-19 საუკუნეში ეკლესია ერთხანს დენტის საწყობად აქციეს. 1872 წელს არქიტექტორ ჩიგოვის პროექტით, ქართული ხუროთმოძღვრების ტრადიციებისათვის უცხო ფორმების მქონე გუმბათი დაადგეს.

დღემდე მოღწეულ ნაგებობაში მშენებლობის რამდენიმე პერიოდი ამოიკითხება. თავდაპირველად ეკლესიიდან შემორჩენილია გეგმარება, აღმოსავლეთის, დასავლეთის და სამხრეთის კედლების ქვემო ნაწილების ქვის წყობა, აღმოსავლეთის ფსალისის სარკმლები და ნახსენები წარწერა სამხრეთის კარის თავზე.

მაღალი კუნძული — აწინდელი კ. მარქსის სახელობის მცირე ხიდის ორთავ მხარეზე მდებარეობდა კუნძული, რომელიც ორბელიანებს ეკუთვნო-

და. გასული საუკუნის 20-იან წლებში იგი გენერალ მადათოვის მფლობელობაში გადავიდა. მესაკუთრის შეცვლასთან ერთად სახელი იცვალა კუჩუღმაძე. ბაღების ნაცვლად, იგი მცირე საწარმოებით, საწყობებით გასაშენიანდა. იხ. ორბელიანის კუნძული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღაპნების შტანი — გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო რუსეთიდან სექტანტ-მალაკნების გადმოსახლება თბილისში. თავდაპირველად მალაკნები რიყზე სახლდებოდნენ, შემდგომში კი (50-იანი წლებიდან) ისინი დასახლებას ქმნიან ახალი კუჩუის ტერიტორიაზე, რკინიგზის გაღმა. მალაკნებს თავისი სასაფლაო და ბაზარი ჰქონდათ.

მაღაპნების ბაზარი — არცთუ დიდი ხნის წინ დაიხურა ეს საკოლმეურნეო ბაზარი, რომელიც მდებარეობდა რკინიგზის ხიდის გადმოდმა, ფიროსმანისა და საბუკის ქუჩების შესაყართან, იმ ადგილას, სადაც დღეს კოოპერაციის სახლი დგას. ეს ბაზარი მალაკნების საზოგადოებამ დააარსა გასული საუკუნის სამოციან წლებში. მალაკნები ძირითადად მედროეგობას და მეეტლეობას მისდევდნენ, ხოლო ბაზარზე თევზით, მარლით, ბოსტნეულითა და ნაყლებად — რძით ვაჭრობდნენ. „მალაკნების ბაზრის“ სახელი ამ ვაჭრობის არსებობის ბოლო დღემდე შერჩა.

მაგაღავითი

„მთა წმინდა მამა-დავითისა,
შენ დარაჯო ქალაქ ტფილისისაო,
წმინდა მიწა, უკვდავ მწერლებისაო,
მთა საფლავზედ სალოცავად მოვედი“.

ივთიმ გურჯი

ასე უწოდებენ თბილისელები მთაწმინდის კალთაზე მდებარე ველისას და მის მიდამოებს. მე-6 საუკუნეში ეს ადგილი სამყოფლად აიწიოა დავითმა — ერთ-ერთმა ცამეტ ასურელ მამათაგან, რომლებმაც საქართველოში ქრისტიანობის შემოღობი ვაერცილების მისია იკისრეს. დავითმა ამ სამლოცველო და საკანი ააგო. ეს ბერი წმინდანად აღიარებული ის დავითია, რომელიც მალე თბილისიდან გადაიხვეწა გარეჯის უდაბნოში და იქ კლდეში გამოკვეთილი მონასტერი დააარსა. პლატონ იოსელიანის ცნობით, იმ ადგილას, სადაც დავითის სამლოცველო იდგა, მე-9 საუკუნეში ღვთისმშობლის ეკლესია ააგეს. 1542 წელს ამ ადგილზე ბერად შემდგარმა ძმებმა დავით და ნიკოლოზ გაბაშვილებმა

თა „ბებუთას ბალი“. ბებუთას ბალს ჩაუდიოდა შარავზა, რომელიც ვახუშტი ბაგრატიონის აღნიშნული აქვს „ლილოს გზის“ სახელწოდებით (ეს ბალი ვახუშტის „შენებია მეფის მიერ ნაწყალობევე ვაკე ადგილზე მახათას ძირში ხოლო ბებუთას — თბილისის ზარაბს მე-17 საუკუნის 50-იან წლებში). სავსებუთასი სასაფლაოზე მისივე ამენებული ყოფილა. სასაფლაომ და საფლავი ერთი დრომდე მოაღწია ხოჯავანქის სახელწოდებით. ეკლესია ამ უბნის რეკონსტრუქციის დროს აიღეს. პლატონ იოსელიანის მოწმობით, ძველად მახათაზე წმინდა ელიას სახელზე აუგიათ ეკლესია. მას აქ უნახავს ეკლესიის ნარჩენები აგურით ამოყვანილი შენობის ქვედა ნაწილი „ერთი არშინის სიმადლისა“. სწორედ ამ ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს ამ უბნის ძველი დასახელება — ელიას უბანი, რომელიც ავლაბრის ჩრდილო-აღმოსავლეთითაა განლაგებული.

„მახათას“ გაშიფვრას პირველად ისტორიკოსი თეიმურაზ ბაგრატიონი იძლევა. „მახათა. ნებთა ადგილი“. „...ქუხილის ქაშს მეხი იცის“.

მიიღანი — შუა საუკუნეების თბილისში რამდენიმე მოედანი იყო. ორი მათგანი ქალაქის გალავნის შიგნით კალას ტერიტორიაზე მდებარეობდა. ერთი თბილისის ახალგაშენებულ ცენტრს წარმოადგენდა მეტეხის ხიდის სიახლოვეს (აწინდელი გორგასალის მოედანი), მეორე მოედანი — მეფის სასახლეთა კომპლექსის წინ მდებარეობდა, ხოლო მესამე — გარეთუბანში, სადაც ასპარეზი იყო მოწყობილი (კომუნარების ბაღის ქვედა ტერასა). ვახუშტი ბატონიშვილი მათ სათანადოდ ასე აღნიშნავდა: № 15 — „ციხის მეიდანია“, № 4 — „მეფის მოედანი“ და № 28 — „მეიდანია ან ასპარეზი“. მაშასადამე, „მეიდანს“ ვახუშტი ბაგრატიონი ასპარეზის მოედანს უწოდებდა. ამას ხაზს უსვამს ქალაქის სხვა ელემენტების დასახელებაც, რომელიც ასპარეზის მოედანთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, გალავნის ჩრდილოეთ კედელში მოქცეულ ერთ-ერთ კარს (შემდგომში „მუხრანის კარად“ წოდებულს) ბაგრატიონი უწოდებს „მეიდანის კარს ხილით“ (№ 23), ასპარეზის აღმოსავლეთით, მტკვრის პირას მდგარ სასახლეს — „მეიდანის სასახლეს“ (№ 27), ასპარეზის წინ მდებარე კუნძულზე (შემდგომში ორბელიანის, უფრო გვიან — მალათოვის) გაშენებულ ბაღს იგი უწოდებს: „ახალ ბაღს მეიდანისა“.

ამგვარად, მეტეხის ხიდთან განლაგებულ მოედანს კონკრეტული დასახელება ჰქონდა: „ციხის მეიდანია“. შემდგომში მან იცვალა სახელი და ჩუიკოს მიერ შეღვენილ თბილისის 1800 წლის გეგმაზე უკვე „თათრის მეიდანია“ ჰქვია. რაც შეეხება ასპარეზის მოედანს, ამ გეგმაზე „ყაბახის მეიდანია“ უწოდება. ქალაქელებმა „მეიდანის“ განზოგადებული სახელი ძველი „ციხის მეიდანზე“ გადაიტანეს, რომელსაც სხვა სახელებიც გააჩნდა: „თათრის მეიდანია“, „შეთანბახარი“, „ქვემო მეიდანია“ იხ. თ ა თ რ ის მ ო ე დ ა ნ ი.

¹ Пл. Иоселиани, описание древностей Тифлиса, Тифлис, 1866, стр. 229.

მედიდნის კარი — თბილისის ჩრდილოეთის გალავანში მოქცეულ ერთ-ერთ მთავარ კარიბჭეს ვახუშტი ბატონიშვილი ასე უწოდებს: „მედიდნის კარი ხილით“. იგი მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილისა და ჩაბრუნების ქუჩების გადაკვეთაზე და ახლა ეს ადგილი მინიშნებულია ნახევრად ამოყვანილი ბით.

გიორგი მეთორმეტი

კარიბჭესთან, ავანანთ ხევზე ხიდი იყო გადებული. მასთან გზა გადიოდა, რომელიც მიუყვებოდა ავანანთ ხევს, გარს უვლიდა ვანჭის უბანს, ჰკვეთდა აწინდელ კომპიუტეროების მოედანზე მდებარე სომხურ სასაფლაოს და ასპარეზზე გადიოდა (დღევანდელი კომუნარების ბაღი). ამ უკანასკნელს ვახუშტი № 28-ით ასე აღნიშნავს: „მედიდანი, ანუ ასპარეზი“. ამით აჩვენება კარიბჭის სახელი: „მედიდნის კარი ხილით“. ე. ი. კარიბჭე, რომელზედაც ხიდი იყო მიბჯენილი და რომლისგანაც გზა „მედიდნისკენ, ანუ „ასპარეზისკენ“ მიემართებოდა.

მელიქის უბანი — ქალაქის მელიქს კალაში რამდენიმე სახლი ჰქონდა. ერთ-ერთი ასეთი სახლი ერთ დროს ნორაშენის სიახლოვეს იდგა და ამ უბანს მისი სახელი ერქვა. ამხარბეგის ძველი უბანი მე-18 საუკუნის 20-იან წლებში თათრის მოედანთანაც არსებობდა. შემდგომში კი მელიქის უბანი ფეთხანის გვერდზე განლაგებულ კვარტალს ეწოდებოდა, სადაც მელიქის ძირითადი საცხოვრებელი იყო. ამ ადგილს კლდისუბნის ის ნაწილი ეკავა, რომელიც დღეს შემოფარგლულია ფეთხანის კიბით და ენგელსის ქუჩის მონაკვეთით. აწინდელ ენგელსის ქუჩის ნაწილს დადიანის ქუჩასა და პურის მოედანს შორის ძველად ბებუთას, ხოლო მე-19 საუკუნეში — ბებუთოვის ქუჩა ეწოდებოდა. ბებუთოვთა საგვარეულომ დროთა განმავლობაში გაიფართოვა ადგილ-მამულ-ლი და ბაღებიც გააშენა სოლოლაკის ფერდობზე, სარწყავი მილგაყვანილობით.

გიორგი მეთორმეტის ადგილსამყოფელად, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდგომ პერიოდში, ისტორიული წყაროები სხვადასხვა ადგილს ასახელებენ და მათ შორის — კლდისუბანში განლაგებულ მელიქის სახლსაც.

მელიქის ძარვასლა — ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის 1735 წლის გეგმაზე ქალაქის ქარვასლათაგან სამს გამოყოფს საგანგებოდ: მეფის, თბილელის, და მელიქის ქარვასლებს. მეფის ფუნდუკი სიონის მოპირდაპირე მხარეს იდგა. თბილელის ქარვასლა უშუალოდ საზღვრავდა სიონის ტერიტორიას სამხრეთით. ამ უკანასკნელს კი მელიქის ქარვასლა ებჯინებოდა. მის ნაწილს გეგმაში სამკუთხა ფორმა ჰქონდა და ვიწრო ყელით სიონის ქუჩაზე გადიოდა. სამხრეთის ფასადი შეზნეტილი ჰქონდა ბამბის რივის გაყოლებით.

შემდგომში მელიქი ქარვასლას აშენებს კალას სამხრეთ-აღმოსავლეთით-სივრცეში, სადაც ბალნეოლოგიური კურორტია.¹



მმბნნი — მეტეხის სახელწოდება გავრცელდა მე-13 საუკუნეში დასავლეთურ როდესაც (80-იან წლებში) აქ დიმიტრი თავდადებულმა მეტეხის ლეთისმშობლის ეკლესია ააშენა.

გადმოცემით, თითქოს პირველი ტაძარი და ციხესიმაგრე ამ ადგილზე ჯერ კიდევ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში აუცილებლად ვახტანგ გორგასალის ზეობის ხანაში. ეს გადმოცემა უნდა ჰქონდეს ნავულისხმევი პლატონ იოსელიანს, როდესაც იგი ამასვე იტყობინებოდა. არსებობს გადმოცემა, რომ ამ ადგილებში დაკრძალულია წმ. შუშანიკი, მაგრამ ეკლესიის არსებობის თაობაზე იმ დროს რაიმე სარწმუნო მოწმობა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება, თუმცა ზოგიერთი მოსაზრებებით აქ ძველი ტაძარი უნდა მდგარიყო.

სიტყვა „მეტეხი“ სასახლის ადგილსამყოფელს, სასახლის მიდამოს ნიშნავს. მეტეხის სახელწოდებით ცნობილი იყო ლეთისმშობლის ეკლესია ქართლშიც, რომელიც ასევე სასახლისეული (კათალიკოსის) ყოფილა. ცნობილია, რომ დაახლოებით მე-12 საუკუნიდან ისანში ქართველ მეფეთა სასახლე მდებარეობდა.

სასახლე და ეკლესია დაიწვა მონგოლების პირველსავე შემოსევისას 1235 წელს. სასახლე აღუდგენიათ, ხოლო ჩვენამდე მოღწეული ეკლესია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1278 — 1284 წლებს შუაა აშენებული. სამაპსიდიანი, ოთხი ცალკე მდგომი ბურჯით მეტეხის ტაძარი ამ ადგილზე ადრე მდგარ ეკლესიის გეგმას უნდა იმეორებდეს, რადგან ასეთი კომპოზიცია უჩვეულოა². დროთა განმავლობაში მეტეხის ტაძარი არაერთხელ აღდგენილა და შეკეთებულა. უკანასკნელი სანაშენებლო ფენები მე-18 საუკუნეს და მე-19 საუკუნესაც კი განეკუთვნება. სამხრეთის კედლის ვრცელი ნაწილი ერეკლე მეორის დროს არის აღდგენილი. ბურჯები გუმბათის ყელი, კამარები კი მე-16, მე-17 საუკუნეებშია აგურით ამოყვანილი. თავდაპირველი შენობიდან თლილი ქვის გარე კედლების ფრაგმენტებია შემორჩენილი აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხარეზე. მათიანე მიაწვინებს, რომ მეფე როსტომმა (მე-17 ს.) „მოავლო მეტეხს ზღუდე და ქჷნა, ვითარცა ციხე მტკიცე ხიდითურთ“. მეტეხის ციხესიმაგრეს დაახლოებით 0,8 ჰექტარი ეკავა და ორ დონეზე იყო განლაგებული. ისტორიკოსები აღნიშნავენ, მეტეხის (როგორც ადრე ისინი) შეულწეველობას. თურქი გეოგრაფოსი ევლია ჩელები (მე-17 საუკუნის 40-იანი წლები) აღნიშნავენ, რომ მეტეხი მცირე ოთხკუთხა სიმაგრე ყოფილა. ციხის შიგნით მდგარა სამასი სახლი,

¹ თბილისში XVI საუკუნის შუა ხანში დაწესდა მელიქის თანამდებობა, რომელიც თავდაპირველად სომხური მოსახლეობისათვის მამასახლისის ფუნქციას ასრულებდა. XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან მამასახლისის და მელიქის თანამდებობები გავრთიანდა ბელთაშვილების საგვარეულოს ხელში.

² ი. ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შამერლინგი, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბილისი, 1969, გვ. 9.

უკლესია და სხვა შენობები. მცირე ციხე ქალაქის დიდ ციხეზე უფრო მტკიცე
ყოფილა. იგივე ევლია ჩელების ცნობით, მეტეხის სიმაგრეში სამი ათასი მცვე
ლი მდგარა.

1819 წელს დაანგრიეს ციხესიმაგრე და მისი ქვებით საპყრობილე და
ეს საპყრობილე 1938 წელს გააუქმეს, ხოლო სამამულო ომის შემდგომ წლებში
იგი მოშალეს. მეტეხის ციხის კედლების უკანასკნელი ფრაგმენტები შთაინთქა
60-იან წლებში საყრდენი კედლის ამოყვანისას. მეტეხის კლდის წარბზე და-
იდგა გორვასალის ძეგლი, მოქანდაკე ე. ამაშუყელის, არქიტექტორების თ.
კანდელაკის და დ. მორბედაძის პროექტით.

მმტხის ხიდი — უძველესი ხიდი მტკვარზე აგებული იყო მეტეხის კლდის
ვიწროებში, იქ სადაც მდინარის კალაპოტი ყველაზე მეტად არის შევიწროებუ-
ლი და სადაც თბილისის აკვანი დაირწყა. ხიდი მდინარისაკენ ორთავ მხრიდან
ჩამოსული საციხო ნაგებობების მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ იყო მოქ-
ცეული. ფორტიფიკაციული ნაგებობების სისტემა მდინარის კალაპოტზე და
მის გასწვრივ გამავალი გზის ეფექტური კონტროლის საშუალებას იძლეოდა.
ხიდი არსებობდა ამ ადგილზე ციხესიმაგრეების დაარსებიდანვე. ასეთ დას-
კვნამდე მივყავართ ადგილმდებარეობის ხასიათს, საციხო ნაგებობების კომპო-
ზიციას. ივანე ჯავახიშვილი თვლიდა, რომ ამ ადგილას, ძველად ერთუბრთის
შახლობლად ორი ხიდი უნდა ყოფილიყო. ამის საბაზი ჯავახიშვილს მისცა იოა-
ნე საბანიძის „აბო თბილელის მარტილობაში“ ნახსენებმა „ხილთა ქალაქის-
თა“ (უნდა აღინიშნოს, რომ ორი ხიდი მე-19 საუკუნეშიც იყო აგებული).
უძველესი ხიდის ბურჯზე ჯვარი იყო აღმართული. „...ზედა აღმართული იყო
პატიოსანი ჯუარი ხიდისა“ („აბო თბილელის მარტილობა“). შესაძლებელია,
რომ ხიდი გარკვეულ რელიგიურ დანიშნულებასაც ასრულებდა. ალბათ, შემ-
თხვევით არ არის, რომ ირანის შაჰმა ისმაილმა თბილისის დალაშქერისას მაინც-
დაპაინც ამ ადგილზე, „პატიოსანი ჯვრის“ მაგიერ მეჩეთი ააშენა. ამ აქტს მუს-
ლიმან დამპყრობლისათვის სიმბოლური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. საგულის-
ხმოა, რომ სწორედ ამ ხიდზე ცდილობდნენ მტრები თბილისელთა გამაჰმადია-
ნებას. ურჩიებს მდინარეში ყრიდნენ. ასე იყო 1226 წელს სეარაზმელთა ურდო-
ების შემოსევების, იგივე გააეორდა 1522 წელს სპარსელთა შემოჭრისას.¹ ძველ
წერილობით წყაროებში მეტეხის ვიწროებში აგებული ხიდი მოხსენიებულია
როგორც ერთადერთი ქალაქში. ამასთან, ავტორები აღნიშნავენ ხიდის სიდიდეს
და სიმტკიცეს. ყაზანელი სოვდაგარი ვასილ გავარა, რომელიც ღვთისათვის
შიცემული აღთქმის შესასრულებლად იერუსალიმში გაემგზავრა ცოდვების
მოსანანიებლად და გზად თბილისზე ვაიარა, თავის «Житие и хождение в
Иерусалими и Эгипет»-ში თბილისის ხიდს „საკვირველს“ უწოდებს.

სხვადასხვა ხანის აღწერილობის მიხედვით, ხის ხიდი მეტეხის ვიწროებში

¹ იხ. დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბილისი, 1952, გვ. 91.

ერთმალაინი იყო. იგი არაერთხელ დანგრეულა და აღდგენილა. ხიდს სოფელი
თბილისელებიც შლიდნენ, რათა მეტრი არ გადმოსულიყო წიროვანი ხეობა.
ასე მოხდა 1046 წელსაც, როდესაც ბაგრატ IV შემოვიდა თბილისში. ისინი
ლებმა აყარეს ხიდი „...და არ მისცეს ისანი“ („ქართლის ცხოვრება“).
გამეორდა ხვარაზმელი ჯელალ-ედ-დინის ზრისხანე ურდოების შემოსევების
რომელთაც ვერ შეძლეს ისნის დაპყრობა, რადგან ისნელებმა წინასწარ დაშა-
ლეს ხიდი. შუა საუკუნეებში მეიდნის მხრიდან ხიდისკენ გამავალი ვიწრო
ქუჩა დუქნებით იყო მოშენებული. ხიდან, მარჯვენა ნაპირზე ახტალელი ეპის-
კოპოსების ადგილსამყოფელი და კონსტანტინესა და ელენეს სახელზე აგე-
ბული ეკლესია იყო. იგი მონგოლებმა დაანგრეს. აღდგენის შემდეგ კი კვლავ
დაწვეს შაჰ-აბასის შემოსევისას. მის ადგილზე მე-19 საუკუნეში სანსართული-
ანი ქარვასლა აშენდა. 1522 წელს შაჰ ისმაილის ჯარების შემოჭრისას, დანგრე-
ული მცირე ეკლესიის ადგილზე, უშუალოდ ხიდან შიიტური მეჩეთი ააგეს.
ძოგვიანებით, შაჰ-აბასის შემოსევისას (1606 წ.) მეჩეთი გაათართოვეს და მე-
ტად ცხოველხატული მინარეთით დააგვირგვინეს. მეჩეთი შაჰ-აბასის სახელს
ატარებდა. სამამულო ომის შემდეგ ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირე-
ბით მეჩეთი დაანგრეს.

სპარსელების უკანასკნელი შემოსევისას, 1795 წელს ხიდმა ქალაქის ბედი
გაიზიარა, 1797 წელს იგი აღადგინეს და მხოლოდ 1805 წლამდე იარსება. ხიდი
აღიდებულმა მტკვარმა წაიღო. 1805 წელს აგებული ხის ხიდი 1826 წლამდე
იღვა, სანამ მას ხისავე თაღოვანი ხიდი შეეცვლიდა. 1870 წელს აქ ლითონის
ხიდი აღმართეს (ინჟ. ზახეშანი).

1805 წლიდან, ოდნავ ქვევით, მეორე მეტად არასამედიო ხიდი მოქმედებ-
და, რომელიც ხშირად განახლებებოდა ხოლმე. ზედა ხიდს „ავლაბრის ხიდს“.
ხოლო ქვედას „მეტეხის ხიდს“ უწოდებდნენ. 1849 წელს მეტეხის დროებითი
გადასასვლელის მაგვირად ხის „ტაუნის“ სისტემის ხიდი ააგეს, რომელმაც
1870 წლამდე იარსება, შემდეგ იგი ლითონის ხიდმა შეცვალა (ინჟ. ორღიში).
ოუკი ავლაბრის ხიდზე ტრანსპორტი (ურემი, ფაეტონი) გადადიოდა, მეტეხის
ხიდზე მხოლოდ ფეხით მოსიარულენი და სახედრები მოძრაობდნენ. ამიტომ
თბილისელებმა მეტესახლად მას „ვირის ხიდი“ შეარქვეს. ავლაბრის ხიდის
მალი 30,5 მეტრი იყო, ხოლო მეტეხისა — 27,5. ახალი რკინაბეტონის ხიდის
მშენებლობასთან დაკავშირებით ორივე ძველი ხიდი დაშალეს ჩვენი საუკუნის
ორმოდეათიან წლებში, მეტეხის ხიდი — მშენებლობის დაწყების წინ, 1951
წელს, ხოლო ავლაბრისა — ახალი ხიდის გახსნიდან რამდენიმე წლის შემდეგ,
1955 წელს.

ახლანდელი ხიდი გაიხსნა 1951 წელს (ინჟ. გ. ჩომახიძე, არქიტექტორი
ს. დემჩინელი). რკინაბეტონის ხიდი ორმალაინია. მალი მდინარეზე 43 მეტრს
აღწევს, ხოლო სანაპიროზე — 20 მეტრს. ხიდი ბაზალტითაა მოპირკეთებული.

დასანანია, რომ სანაპიროების და ახალი ხიდის მშენებლობამ იმსხვერპლა
ძველი თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული უბანი. ვგულისხმობთ მეტეხის
ყელში არსებული ხიდების გარშემო ყოფილი განაშენიანებით შექმნილ თავი-

სახის სიმბოლოდ იქცა. პრაქტიკულად იგი აღიქმება თბილისის თითქმის ყველა უბნიდან და ქალაქის მისადგომებთან.

საქართველოში მრავალადა მავალითები, როდესაც ქრისტიანულ ტარებასა და მათ მიდამოებს საბერძნეთისა და პალესტინის „წმინდა სამებას“ სახელწოდებებს ანიჭებდნენ (ათენი, ანტიოქია, ნიქოზია, კონსტანტინოპოლი) თბილისის საერთო ხელში გაბატონებულმა მთამ მთაწმინდის სახელი მიიღო ათონის „წმინდა მთის“ პატივსაცემად. ამ დასახელების წარმოშობა IX საუკუნეს უნდა მიეკუთვნებოდეს, როდესაც ათონის მთაზე ქრისტიანული მონასტრები და სამლოცველოები (მათ შორის ქართული) გავრცელდა. ცნობას იმის შესახებ, რომ თბილისის ამ მთის სახელწოდება ათონის „წმინდა მთიდან“ მოდის, ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის.

თბილისის მთაწმინდის პლატოს ათვისების იდეა პირველად გასული საუკუნის მიწურულს აღმოცენდა. თავდაპირველად დააპირეს სააგარაკო მშენებლობა, ხოლო შემდგომში წარმოიშვა წინადადება აქ „ახალი ქალაქის“ მშენებლობის თაობაზე. პროექტი კი იყო შედგენილი, სადაც ტერიტორია გაყოფილი იყო უბნებად და დაკვალული — ქუჩებით. ამ იდეასთან არის დაკავშირებული საბაგრო რკინიგზის — ფუნკელიორის მშენებლობა. იხ. ფუნკელიორი. მთაწმინდის კალთაზე მამადავითის ეკლესიის ირგვლივ ქართველი ხალხისათვის წმინდათაწმინდა ადგილია: „მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი“. იხ. მამადავითი.


წლების მანძილზე მთის პლატოზე იდგა ზედა სადგურის მცირე შენობა (ე. წ. „როტონდა“) და რამდენიმე დუქანი. ტერიტორია უკაცრიელი და კეთილმოუწყობელი რჩებოდა.

ოცდაათიან წლებში გადაწყდა მთაწმინდაზე პარკის მოწყობა. თავდაპირველად პარკის პროექტი შეადგინა 1935 წელს ცნობილმა არქიტექტორმა მ. გინზბურგმა. განზრახული იყო საზოგადოებრივი შენობების დიდი კომპლექსის შექმნა, რომელსაც ვერტიკალური კომპოზიციის შქონე შ. რუსთაველის ძეგლი დააგვირგვინებდა, პროექტი განუხორციელებელი დარჩა. შემდგომში პარკი გაშენდა ზ. და ნ. ქურდიანების პროექტით (დენდროლოგი ე. ციციშვილი).

თავდაპირველად პარკს გამოუყვეს მხოლოდ 9 ჰექტარი. 1938 წლისათვის, როდესაც პარკის მშენებლობა ძირითადად დამთავრდა, მას 34 ჰექტარი ეკავა. დღეს პარკის ნარგავებს 100 ჰექტარი უკავია. გენერალური გეგმის მიხედვით, მომავალში მთაწმინდის ტყე-პარკი უნდა შეუერთდეს კეს ტბის მიდამოებს, რითაც მწვანე სარტყელი იქმნება თბილისის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე. ფუნკელიორის ზედა სადგურის შენობა აშენდა 1938 წელს (არქიტექტორები ზ. ქურდიანი, ნ. ქურდიანი და ა. ვოლობუევის მონაწილეობით). სამანქანო სადგომებს გარდა აქ განთავსებულია რესტორანი და ბარი. შენობის მთავარი ელემენტი ტერასაა, რომელიც აერთიანებს ფასადებს. ტერასა წარმოადგენს აყურული ჰერით გადახურულ მაღალ სვეტებზე შემდგარ თაღებს. მკვეთრად გამოტანილი კარნიზით დაგვირგვინებული შენობა კარგად არის შეხამებული

გარემოსთან. შენობის გრძივ მოცულობას აწონასწორებს მის გვერდით აღმართული სატელევიზიო კოშკი (1974 წ.).

1959 წელს მწყობრში ჩადა საპაერო-საბავირო გზა, რომელმაც მთაწმინდის პლატო უმოკლესი გზით დაუკავშირა რუსთაველის მოედანს.



მიხეილის პროსპექტი — ასე ეწოდებოდა დღევანდელ პლახანოვის პროსპექტს. მიხეილი რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ პირველის ძმისწული, მეფისნაცვალი იყო 1860-იან წლებში.

მიხეილის საავადმყოფო — ასე ეწოდებს დღესაც თბილისელთა უფროსი თაობა პლახანოვის პროსპექტზე განლაგებულ ძველ საავადმყოფოს. სახელი მეფისნაცვლის, მიხეილი რომანოვის (იმპერატორის ძმის) სახელთანაა დაკავშირებული. შენობის გარე გაფორმება ასახავს გოთიკური არქიტექტურის მოტივების არცთუ წარმატებით ინტერპრეტაციის ცდას.

მნაცავანოვის ხიდი — 1852 წელს სეიდაბადის განაპირას, დღევანდელი 300 არაგველის ხიდის ხაზზე ხის ხიდი აშენდა (მე-15 საუკუნეში აქ „კახეთის ხიდი“ არსებობდა ცხვრის გადმოსარეკად, იგი მე-17 საუკუნეში დაინგრა შაჰ-აბასის შემოსევისას). ხიდი ეკუთვნოდა კერძო პირებს, რომლებმაც საკმაოდ დიდი ბაჟი დააწესეს ხიდით სარგებლობისათვის. ერთი წლის შემდეგ ხიდი შეისყიდა ვაჭარმა ი. მნაცავანოვმა და ქალაქს გადასცა! აქედან მოდიოდა დასახელებაც — „მნაცავანოვის ხიდი“.

1866 წელს მნაცავანოვის ხიდი დაინგრა რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში. 1877 — 1878 წლებში აქ ორი ბორანი მოქმედებდა. ამ გადასასვლელს განსაზღვრული სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ახალი ლითონის ხიდი ძველის ადგილზე 1882 წელს ააგეს და თბილისელებმა მასზე ავტომატურად გაავრცელეს ძველი ხიდის დასახელება, თუმცა ამჯერად მნაცავანოვს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია მშენებლობაში. ლითონის ხიდმა მანამ იარსება, სანამ ამ ადგილზე ორთაჯალპესი არ აშენდა.

მოღნინი — სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოების ეს ეკლესია დგას თბილისის ისტორიულ ნაწილში — კალაში, დღევანდელი ენგელსის ქუჩასა და ფეთხანის კიბის შესაყარის სიახლოვეს. პლატონ ოსელიანის ვარაუდით, მის მშენებლებს ნიმუშად ეჩმიაძინის ეკლესია მიუღიათ. ფრანგი მოგზაური და

1 იხ. ნ. კვეციანი-კოპაძე, თბილისის ხიდები. თბილისი, 1961, გვ. 44.

კომერსანტი ჟან შარდენი (XVII ს.) ამ ეკლესიის სახელთან დაკავშირებით საღდაც ვაგონილ ასეთ ლეგენდას გვთავაზობს: „მოგანი ერევნთან მდებარე სომხების ერთი სოფლის სახელწოდებაა, სადაც როგორც ირწმუნებიან, დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა წმინდა გიორგის თავის ქალაქში მდებარე თავის ქალის ნაწილი აქედან მოგნაის ეკლესიაში გადმოუტანეს“¹ „ქუჩის ქუჩის კნელისათვის სწორედ ამიტომ უწოდებიათ იმ ადგილის სახელი, საიდანაც იგი წამოიღეს“¹. ადრე აქ ორი ეკლესია მდგარა: დიდი და პატარა მოლნინი. დიდი მოლნინი 1751 წელს არის აგებული, ხოლო პატარა — 1754 წელს.

მუშტაიდი — დღევანდელი ორჯონიკიძის სახ. პარკს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. მას დღესაც თბილისელთა უფროსი თაობა „მუშტაიდს“ უწოდებს. ძველი სახელწოდება გარკვეულ ისტორიულ პიროვნებასთან არის დაკავშირებული. 1821—1828 წლების რუსეთ-სპარსეთის ომის დამთავრების შემდეგ სპარსეთის ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიური მოღვაწე (მუშტაიდი) აღამირ-ფატახი, რომელიც შაჰის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობდა, იძულებული იყო გაიხიზნულიყო სამშობლოდან. რუსეთის მთავრობამ მას 50 დესეტინა მიწა უბოძა თბილისში, დიდუბეში მტკვრის პირას (ტერიტორია, რომლის ნაწილი დღეს ორჯონიკიძის სახ. პარკს უკავია). ნაბოძებ მიწის ნაწილზე მუშტაიდმა ბაღი გააშენა და მის მოსარწყავად არხი გამოიყვანა მტკვრიდან, რომლის სათავე 12 კმ-ით ქალაქის ზევით მდებარეობდა. გვიან 1845 წელს შაჰის მიერ შეწყალებული მუშტაიდი სპარსეთში დაბრუნდა და ბაღი ვაჭარმა მეღრბოვმა შეისყიდა, მაგრამ მალე გაკოტრდა და 1855 წელს ბაღი ხაზინამ შეიძინა სასოფლო-სამეურნეო ფერმის მოსაწყობად. 80-იან წლებში ბაღის სიახლოვეს შეაბრეშუმეობის სადგური და მუზეუმი გააშენეს.

მუხრანტოშბანი — მუხრანთუბანი ან მუხრანბატონის უბანი მდებარეობდა დღევანდელი ბარათაშვილის ქუჩის ქვედა ნაწილში. ქალაქის გალავნის ჩრდილოეთის კედლის კარიბჭის სიახლოვეს არსებულ ბურჯთან მიშენებული იყო მუხრანბატონთა სასახლე. კარიბჭემ, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი „მეიღნის კარის“ სახელწოდებით იხსენიებს, მუხრანის კარის სახელი მიიღო. მე-18 საუკუნიდან დაწყებული მუხრანბატონების ხელში თანდათან გადადის მომიჯნავე ნაკვეთებიც. მე-19 საუკუნისათვის მუხრანბატონს ეკუთვნოდა ტერიტორია ავანანთხევის მოპირდაპირე მხარეზეც. ამით აიხსნება რამდენიმე ძველ-თბილისური დასახელებაც — „მუხრანის ხიდის ბორანი“, „მუხრანის კარის ხიდი“, „მუხრანის ხიდი“. მუხრან-ბატონების სასახლემ გადაკეთებული სახით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე მოაღწია.

¹ ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბილისი, 1975.

მავლობაში ვერის ხილზე გადადიოდა. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებდა ამ ადგილას ხიდის მშენებლობის აუცილებლობაზე, რაც საკმაოდ გვიან (1911 წელს) განხორციელდა კიდევ. ბორანს ხშირად მტკვრის წყალი იტაცებდა, რასაც ზოგჯერ მსხვერპლიც მოყვებოდა. 1902 წლის 18 მაისს წყალმა 18-კაცი მოიტაცა. შემთხვევით როდია, რომ „მუხრანის ხიდის ბორანის მსხვერპლი“ პუნქტიც კი არსებობდა.

მშრალი ხიდი — დღეს საყრდენი კედლებით შევიწროებულ მტკვარზე ქალაქის ფარგლებში კუნძულებს ვეღარ ნახავთ. ადრე კი მდინარეზე ბევრი დიდი და მცირე კუნძული იყო. თბილისის ძველ გეგმებზე კუნძულების ჯგუფი ნაჩვენებია დღევანდელი ელბაქიძისა და ბარათაშვილის ხიდებს შორისაც.

ამჟამინდელი მარტისის სახელობის მცირე, ერთმალიანი ხიდის ქვეშ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე მტკვრის ტოტი მოედინებოდა. ახლა მის ადგილზე სანაპირო ტრასა გადის. ეს ხიდი ალექსანდრეს (დღევანდელი კომუნარების) ბაღის მიდამოებსა და ე. წ. მადათოვის კუნძულს უკავშირებდა, საიდანაც მრავალმალიანი ხიდი კუჩიის უბნისკენ იყო გადადებული. 1938 წელს მტკვრის ტოტი ამოაშრეს და კუნძული გაქრა. ხიდი კი შემორჩა და სანაპიროს ქუჩაზე გადადის. სწორედ მტკვრის ტოტის ამოშრობის შემდეგ შეაჩქვეს მას „მშრალი ხიდი“. იგი 1851 წელს ააგეს იტალიელი ჯოვანი სკუდიერის პროექტით. თლილი ქვით ამოყვანილი 32-მეტრიანი მალის მქონე ნაგებობა მაშინ საინტერესო ტექნიკურ სანახაობას წარმოადგენდა.

ნავთიშალა — მცირე კუთხეა თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში — ხავთლულში, მტკვრის პირას. მას ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით პატარა მდინარე ორხევი ჩაუდის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მტკვრის კალაპოტი საზღვრავს. ჰალის დასახელება იქ მიყვლეული ნავთის საბადოს ნიშნებიდან წარმოიშვა.

ნამყოფი — „ხოლო ტფილისის-სამხრეთ-აღმოსავლეთით არს ნავთლული. მუნ დის ნავთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღებს“... ამ ცნობას ვახუშტი ბატონიშვილი იძლევა. ცხადია, რომ ძველი სოფლის და დღეს თბილისის ვრცელი უბნის სახელწოდება ამ ადგილებში ნავთობის არსებობით აიხსნება. „ლული“ თურქული სიტყვაა და ადგილს ნიშნავს. აქ ძველთაგანვე წარმოებდა ნავთის შობაზედა ჰეზის საშუალებით.

დასახელება ნავთლულის ტერიტორიაზე უძველეს დროს გაჩენილა. აქ აღმოჩენილი მცირერიცხოვანი არქეოლოგიური მასალა მეტად მრავალფეროვანია. სპეციალისტების აზრით, ეს მასალა გვიანბრინჯაოს ხანის შესანიშნავ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს და მოწმობს აქაურ მესაქონლეთა და მიწათმოქმედ მოსახლე-

ობის იარაღის, სამკაულის, კერამიკული ნაწარმის ორიგინალური სახეობის შექმნის უნარზე.¹

ცნობილია, რომ ერეკლე მეორემ ფართომასშტაბიანი სამუშაოები დაიწყო თბილისის ფორტიფიკაციული სისტემის და ქალაქის მისადგენებში მშენებლობის მაგრებლად. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენს ციხესიმაგრის აგება ნავთლულში, რომელსაც ხალხმა „ერეკლეს ციხე“ შეარქვა. 1772 წელს თბილისში იყო რუსეთის სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსი იოან-ანტონი გიულდენშტედტი, რომელიც იხსენიებს ნავთლულს და ერეკლეს ციხეს. ამ დროისათვის სოფელში 50 სახლი და მრავალი მიწური ყოფილა. გიულდენშტედტის ცნობით, სოფლის მოსახლეობას ქართველები შეადგენდნენ. მისივე აღწერით, ოთხკუთხა ციხის სიგრძე 80 ნაბიჯი იყო და მას მრგვალი კოშკი აგვირგვინებდა. ერეკლეს მეფობის ხანაში სოფელი ნავთლული გაპარტახებული ყოფილა და ციხის აშენებასთან ერთად მეფეს მოსახლეობის აღდგენაზეც უზრუნვია.

სოფელი თავად სუმბათაშვილების მამულში შედიოდა. დღემდე მოაღწია შუა საუკუნეებში „წმინდა ბარბარეს“ სახელზე აგებულმა მცირე ეკლესიამ, სადაც თავადი სუმბათაშვილები ასვენია.

ნავთლულის შესამჩნევი განაშენიანება დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში. იმ დროს თბილისიდან ჯერ კიდევ მოწყვეტილ უბანში აშენდა სამხედრო ჰოსპიტალი, ჰოსპიტლის მოსამსახურეების და სამხედრო პერსონალის საცხოვრებელი სახლების ინტენსიური მშენებლობა განსაკუთრებით თბილისი-ბაქოს რკინიგზის გაყვანისა და ნავთლულის სადგურის აგების შემდეგ გაიშალა. აქ აღმოცენდა რკინიგზელების დასახლება. ამ ხანებში ნავთლულის და დირსიქალის ტერიტორია ვრცელი ბალებით იფარება.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ რაიონში გაიშალა ფართო სამრეწველო მშენებლობა. ნავთლულის სადგურის არსებობამ განაპირობა მის მიდამოებში დიდი სასაწყობო მეურნეობის შექმნა. ვითარდება ავეჯის და ქალაქის წარმოება, შენდება ლითონის კონსტრუქციების, მანქანების, ფეხსაცმლის, ფაიფურის, ქსოვილების საწარმოები. დიდ ფართობს იკავებს სხვადასხვა სამეურნეო ნაკვებობები, ავტოსატრანსპორტო ბაზები, ხის სახერხი საწარმოები.

ნავთლულის ტერიტორია ფართო ტერასებით გადის მტკვრის მარცხენა ნაპირისაკენ. აღმოსავლეთიდან ნავთლულს საზღვრავს პატარა მდინარე ლოქინისხევი, ჩრდილოეთიდან ქართლის ქედის კალთები, ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვრები კი უშუალოდ სამგორს მიუახლოვდა. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე აქ გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დასახლებები წარმოიშვა სამრეწველო ობიექტების ირგვლივ.

გაშენდა ვრცელი საცხოვრებელი მასივი კახეთის გზატკეცილის გასწვრივ, რომლისთვისაც 64 ჰექტარი გამოიყო. გრძივი და განივი ქუჩებით მიკრორაიონი თითქმის თანატოლ კვარტალებად არის დაყოფილი. კახეთის შარავხის მართობულად გაყვანილი 30 მეტრი სიგანის გზა თბილისის ზღვისკენ მიემარ-

¹ იხ. დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955, გვ. 159.

ორბელიანის კუნძული — დღეს საყრდენი კედლებით შევიწროებულ მტკვარზე, ქალაქის ფარგლებში, კუნძულებს ვეღარ ნახავთ. ადრე კი მდინარეზე ბევრი დიდი და მცირე კუნძული იყო. თბილისის ძველ გეგმებზე კუნძულების ჭკუფი ნაჩვენებია დღევანდელი ელბაქიძისა და ბარათაშვილის ქუჩების შორის. კუნძული იყო ძველი ქალაქის ფარგლებშიაც, როსტომის დროიდან მეტეხის ხიდამდე (სასახლე დღევანდელი რესპუბლიკის მილიციის შენობის ადგილას იდგა). ქალაქის ფარგლებში სიდიდით გამოირჩეოდა ორთაქალის, ორბელიანის (გვიან მადათოვის) კუნძულები და კუნძული მდინარე ვერეს შესართავთან (იხ. სატო).

კ. მარქსის სახელობის მცირე, ერთმალაიანი ხიდის ქვეშ ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე მტკვრის ტოტი მიედინებოდა. ახლა მის ადგილზე სანაპირო ტრასა გადის. ეს ხიდი იმ დროს (ვორონცოვის მცირე ხიდად წოდებული) ალექსანდრეს (დღევანდელი კომუნარების) ბაღსა და მის ახლომდებარე მიდამოებს (ორბელიანების უბანს) უკავშირდება, სიდანაც მრავალმალაიანი ვორონცოვის (იგივე კუკიის) ხიდი კუკიის უბნისკენ იყო გადებული. კუნძული ძველთაგანვე ორბელიანების საკუთრებას შეადგენდა და იგი ბაღებით ყოფილა დაფარული. ორბელიანების სასახლე, მტკვრის ტოტის გადაღმა, კუნძულის პირდაპირ გალავანშემორტყმულ ორბელიანების უბანში იდგა. დავით ორბელიანმა (1716 — 1796), ერეკლე მეორის სიძემ, სახლთუხუცესმა, გააღრმავა მტკვრის ტოტი სასახლის წინ. გასული საუკუნის 20-იან წლებში მისმა მემკვიდრეებმა კუნძული ორბელიანების ოჯახის მემკვიდრის გენერალ მიროზაძეს გადათმეს. კუნძულთან ერთად გენერალს გადაეცა მიწის ნაკვეთიც სასახლის გვერდით. ამ დროიდან თბილისელები ყოფილ ორბელიანის კუნძულს მადათოვისას უწოდებდნენ. ახალი პატრონების ხელში კუნძული თანდათან გაპარტახდა, ბაღები აჩეხეს. კუნძულის ნაწილი წვრილმა საწარმოებმა დაიკავა, ნაწილი კი ნავის საყრდენად ადგილად იქცა. 1933 წელს მტკვრის ტოტი ამოაშრეს და კუნძული გაქრა. დღეს ყოფილ კუნძულზე სანაპირო ქუჩასა და მტკვარს შორის ბაღებია გაშენებული. აქვეა ჩოგბურთის კორტები, სანაოსნო სადგური, რესტორანი.

ორბელიანის უბანი — ეს უბანი მოქცეული იყო დღევანდელი ორბელიანის ქუჩის მიდამოებში და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მტკვარს ესაზღვრებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იგი მცირე ხევით იყო გამოყოფილი ვანჭის მონასტრის გალავნისაგან. წაწვეტებული სამკუთხა ფორმის გალავნით გარშემოვლებული ტერიტორია თითქმის დღევანდელ მარქსის სახ. მცირე ხიდამდე აღწევდა. ორბელიანებს თბილისში ბევრი სამოსახლო ადგილი ჰქონდათ. ძირითადად ისინი კალაში სახლობდნენ და ვრცელი უბანი ეკავათ მის ზედა უბანში. ამასთან საკმაოდ ვრცელი ნაკვეთი ჰქონდათ გარეთუბანშიც. ეს ტერიტორია თეიმურაზ მეორეს უწყალობებია სარდალ რევაზ ორბელიანისათვის 1751 წელს.¹

¹ იხ. მ. ბერძენიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, გვ. 48

წყალობის წიგნში ზუსტად არის დადგენილი მოედნის საზღვრები „მეილისა“
ყაბახისა (დღევანდელი კომუნარების ბაღი) და მტკვარს შორის. ამ უბანში
იდგა ორბელიანის სასახლე და ეკლესია. დღეს აქ შემორჩენილია გაყვლილი საუ-
კუნის საცხოვრებელი სახლები.

ქართული
ბიბლიოთეკა

ორთაჭალა

„ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
ღარღმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!“
გ რ ი გ ო ლ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი

სანამ სანაპიროები აშენდებოდა და მტკვრის კალაპოტი კედლებში მოქ-
ცეოდა, თბილისში და მის შემოგარენში რამდენიმე დიდი თუ მცირე კუნძული
არსებობდა. მათ შორის ყველაზე ცნობილი იყო და დიდხანს იარსება კუნძულმა
ორთაჭალამ.

ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ორთაჭალა აღნიშ-
ნული აქვს ექსპლიკაციაში კრწანისის ბაღის სახელწოდებით. ეს იმით აიხსნება,
რომ ორთაჭალა სოფელ კრწანისს ეკუთვნოდა. კუნძული მდებარეობდა ქალა-
ქის აღმოსავლეთით სეიდაბადის (შემდგომში ხარფუხის) ქვევით. იგი მტკვრის
ძირითად კალაპოტსა და მის მარჯვენა ტოტს შორის იყო მოქცეული. მისი
მდებარეობით უნდა აიხსნას სახელწოდება — ორთა (წყლის) შორის მდებარე
ქალა.

ორთაჭალის ბაღები მეფის ოჯახს და თავადაზნაურობას ჰქონდა გაყოფი-
ლი. მე-19 საუკუნეში ბაღებს კერძო მესაკუთრეები დაეუფლნენ.

ორთაჭალის ბაღებზე მრავალი დაწერილა. ამ ბაღებში გატარებულ დროს
არაერთი სტრიქონი მიუძღვნეს თბილისელებმაც და ქალაქის სტუმრებმაც.
ი. გრიშაშვილი წერდა: „ქველად ქალაქ გარეთ მხოლოდ ორა ღროის გასატა-
რებელი ადგილი არსებობდა: მღაბიო ხალხისათვის — ორთაჭალის ბაღები და
ვერობულად გაზრდილათათვის — მუშტაიდი, ამიტომ ეს დღეობებიც ყარაჩო-
ლელთათვის ერთი იმ გასართობათათვის იყო, სადაც ჭანსალ ბუნების წიალში
დაგუბებულ გრძნობას სრულ თავისუფლებას აძლევდნენ და მთელი სამი დღის
განმავლობაში ჯიგრიანად ლოთობდნენ“.¹ გაზეთი „დროება“ 1869 წლის 19
ივნისს ერთ წერილში, რომელსაც „თბილისში გასეირნება“ ერქვა, აღარებდა
რა ორთაჭალის ბაღებს ახალ „ვერობულს“, წერდა: „აბა რა შეედრება ამ პოე-
ტიკურ არეულდარეულობას, უსწორმასწორობას, ვახის თალარს, მაღალ
კაკლის წენგოთი დატვირთული ხის საამურ სუნსა, თვალის შესაქცევარ და
პირში წყლის მომგვრელ სხვადასხვა ხილს და ბოლოს ყურის გამაღვიძებელ

¹ ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი, 1927,
გვ. 76

ჩარხის ხრიალ-ჭრიალსა. ახლა სიმღერა, ახლა დუღუკი, დაირა, ცეცხლი თუთა, ბალი... აბა როგორ შეედრება ამას ზემოთ ხსენებული ბალები თავის თანასწორეთ გადამარგვლილი ხეებით და დანაყილი აგურით დატკეპნილი ხევენებით, ერთი ხალიჩა რომ გინდოდეთ, ერთი მუთაქა, იქ ვეუკუფეფუ რაღამ ორიოდე წამით წამოწვეთ ან მუხლი მოიკეცოთ“.

ორთაქალის კუნძული მარჯვენა ნაპირთან ხის საცალფეხო ხიდით იყო დაკავშირებული, რომელსაც „ვირის ხიდს“ უწოდებდნენ, რადგან ჭირნახული მასზე სახედრებს გადმოაქონდათ.

ორთაქალის რომანტიკა დღეს ისტორიაა. ორმოცდაათიან წლებში აშენდა ორთაქალქესი, შემდეგ გაიყვანეს სანაპიროები. მტკვრის ტოტი მოისპო და კუნძულმაც შეწყვიტა არსებობა.

მკომანთ ხიდი — შუა საუკუნეების თბილისში თუ მის გარეუბანში არსებულ ხიდთაგან ერთადერთია, რომლის ფრაგმენტები ჯერ კიდევ შემორჩენილია. ხიდი ამოყვანილი იყო ქვის წყობით კირის დუღაბზე და ბრტყელი ქართული აგურით. თაღოვანი ხიდი ერთმალაინია, მისი სავალი ნაწილი 5 მეტრს აღემატება.¹ წარსულში ხიდი თბილისის ვალავნის განჯის კარიდან კოჯრისკენ მიმავალ გზაზე იდგა. მას შემდეგ, რაც გასულ საუკუნეში გააფართოვეს და კეთილშოაწყვეს გზა სალაღაკიდან კოჯრისკენ, ძველი ხიდი ძირითადი სატრანსპორტო გზის მიღმა აღმოჩნდა. ხიდი ჩამალულია ლეღვთახევეში და შორიდან არ ჩანს, თუმცა იგი ახლოა კოჯრის გზის იმ მოსახვევთან, საიდანაც კომკავშირის ხეივანი იწყება. ამჟამად ხიდისაგან წაისრული ფორმის კამერალა შემორჩენილი. ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის 1735 წლის გეგმაზე ეს ხიდი აღუნიშნია 52 ნომრით და დახატული აქვს მისი პროფილიც. ნახატზე ასახულია არა მხოლოდ ხიდის თაღი, არამედ კლდოვანი ხევის ორთავე ნაპირზე გადადებული მკლავები — მისასვლელები ხიდთან. ექსპლიკაციაში ვახუშტი მას „ოქუანთ ხიდს“ უწოდებს. ეტყობა ხიდი აუშენებია თბილისის მოქალაქეთა ერთ-ერთი წარჩინებული გვარის — ოქრუაშვილების წარმომადგენელს. ფეოდალურ თბილისში „ოქროანთუბანიც“ ყოფილა, სადაც ეს გვარი სახლობდა.

მკომგვადელთა ბაზარი — ქუჩა, რომელზედაც ძირითადად ოქრომჭედლებს და ზარაფებს ჰქონიათ ბინები და დუქნები. ოქრომჭედელთა ბაზარი განლაგებული იყო აწინდელი ვერცხლის ქუჩის იმ მონაკვეთზე, რომელიც სურბნიშანსა და ლესელიძის ქუჩას შორის არის მოქცეული.

მკომგვადლების რიბი — იგივე ოქრომჭედლების ბაზარი.

¹ იხ. ნ. კვეციერი-კობახიძე, თბილისის ხიდები. თბილისი, 1961, გვ. 81.

მხმრებლი — მღებარეობდა დაახლოებით ორთაჰალასთან.



„პასაჟ კროშკა“ — 1925 წლამდე სადგურის ქუჩა მხოლოდ კლუბი [სტუდენტური] კინის ქუჩამდე აღწევდა. სადგურის ქუჩა გაგრძელდა პლენაროვსკი ქუჩის პექტამდე ვიწრო შესახვევის გაფართოების ხარჯზე, რომელზედაც სავაჭროების რიგები იყო მოთავსებული. ამის გამო უწოდეს მას თბილისელებმა „პასაჟ-კროშკა“.

ბასკევიჩი-მრეპანსკის მოედანი — იხ. მრეპანსკის მოედანი.

ბისკი — რიჟის (იხ.) რუსული შესატყვისი.

რასტაბაზარი — ფეოდალურ თბილისში ქუჩაზე, მის მონაკვეთზე ან უბანში გარკვეული დარგის ხელოსანთა თუ ვაჭრების რიგები ყოფილა თავმოყრილი. დარგის ხასიათი ხშირად ქუჩის თუ უბნის სახელწოდების განმსაზღვრელიც იყო ხოლმე. ეს სახელწოდებები უმეტესად სპარსული წარმოშობისაა (ბაზაზ-ხანა, ზარგარხანა, ლილახანა, სირაჯხანა და ა. შ.). გარდა ამისა, ქუჩის სახელწოდებას სავაჭრო-სახელოსნო რიგების განლაგების წესიც განსაზღვრავდა. ასეთ ქუჩას წარმოადგენდა რასტაბაზარი. ეს სიტყვაც სპარსული წარმოშობისაა და ერთ ხაზზე განლაგებულ სავაჭროებს გულისხმობს. თბილისის რასტაბაზარი იწყებოდა სიონის ქუჩაზე და მთავრდებოდა ბატონის მოედანთან (დღევანდელი ერეკლეს მოედნის სიახლოვეს). შარდენი ამ ქუჩას გრძელ ბაზარს უწოდებს, ხოლო თბილისის 1800 წლის გეგმაზე იგი აღნიშნულია როგორც „Больш. базар“ (ქართულ საბუთებში იგი რასტაბაზრად არის მოხსენიებული). რასტაბაზარის ბოლოში, თაღში, კარიბჭე იყო მოწყობილი, რომელიც ღამე იკეტებოდა. რასტაბაზარის აღმოსავლეთი მხარე სარაჯხანას ეკავა, ხოლო მოპირდაპირე მხარე — ხარაზხანას. სარაჯხანა ცხენის აკაშმულობის დამამზადებელთა რიგებს ერქვა, ხარაზხანა კი — ფეხსაცმლის მკერავთა, ხარაზების რიგს. სწორედ დიდი ხარაზხანა მღებარეობდა რასტაბაზარში ქუჩის იმ მონაკვეთზე, რომელიც უშუალოდ ბატონის მოედანთან იწყებოდა.

რიჟი — ტერიტორია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დღევანდელი ბარათაშვილისა და მეტეხის ხიდებს შორის, არ იყო განაშენიანებული გასული საუკუნის 30-იან წლებამდე, რასაც თბილისის 1735, 1800, 1828 წლების გეგმები ადასტურებენ. ამ ადგილზე გადიოდა ავლაბრის კარიდან ავჭალისკენ მიმავალი გზა. შემდგომში აქ მტკვრის მარცხენა ტოტი გამეჩხერდა, დაშრა და სახელდახელოდ გამაგრებული სანაპირო საცხოვრებელი სახლებით განაშენიანდა.

მდინარის აღიღებისას რიყე იტბორებოდა, რასაც ზოგჯერ მსხვერპლიც მოსდევდა. აქ მრავალად იყო დუქნები და სხვადასხვა (ხარაზების, მკვლევების, მკალავეების) სახელოსნოები. სამწუხაროდ რიყის უბანი 1973 წელს, როდესაც აღვილს კი მაინც შერჩა ძველი სახელწოდება.

ბ ი ბ ლ ი მ ი თ ე ქ ა

რუსის ბაზარი — იგივე „სალდათის ბაზარი“ მდებარეობდა აწინდელი ბაზრის ადგილზე, კოლმეურნეობის მოედანზე. დღემდე შემორჩენილია „რუსის ქუჩა“ ბაზრის შენობის სწვრივად.

საბურთალო — ადრე ეს ტერიტორია ვრცელ ველს წარმოადგენდა, სადაც, როგორც ჩანს, სხვადასხვა სპორტული ასპარეზობა (ბურთაობაც) ტარდებოდა. ამას უნდა მიუთითებდეს სახელწოდება. საინტერესოა ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა ამ ტერიტორიის შესახებ: „გარნა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკულ და მრავალი მის სამხრით არს ველი საბურთალოსა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „...აწ უმისოდ უნაყოფო საბურთალოში ძველად ბაღები უნდა ყოფილიყო, რომლებიც მდინარე ვერედან გამოყვანილი არხით ირწყვებოდა. მე-19 საუკუნეში წარმოქმნილი მრავალფეროვანი საბურთალოს დასახლება თბილისის ოფიციალურად 1917 წელს შემოუერთეს.

საბურთალოს ქალაქურ განაშენიანებას საფუძველი საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩაეყარა. 30-იან წლებში აქ გაშენდა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლები, ე. წ. „სპეციალისტების სახლები“. რომლის შემდეგაც დაიწყო ამ უბნის ინტენსიური განაშენიანება. ომის წინა წლებში დაიწყო ფართო მშენებლობა ტერიტორიაზე, რომელიც გმირთა მოედანს ემიჯნება უშუალოდ. 50-იან წლებში ლენინის ქუჩის გასწვრივ შენდება დიდი საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლები, ხოლო 60-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა თბილისის პირველ საცხოვრებელ მასივს. მეტად მნიშვნელოვან ქალაქმშენებლურ ღონისძიებას წარმოადგენდა ვაკე-საბურთალოს მაგისტრალის (გურამიშვილის ქუჩის) გაჭრა კლდეში, რომელმაც უმოკლესი გზით დააკავშირა ქალაქის ორი ვრცელი რაიონი.

საზამთროს მოედანი — მდებარეობდა დღევანდელი სამასი არაგველის ბაღის ტერიტორიაზე.

სალალაპი (სოლოლაპი) — გადმოცემით, „ციხის ბაღის“ (დღევანდელი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის ნაწილის) მოსარწყავად არაბების ბატონობის ხანაში აკვედუკი აუშენებიათ თუ აღუდგენიათ. ამ სარწყავ არხს არაბულად

„სულ-ლაჰ“ რქმევია და როგორც ჩანს, ეს სახელწოდება მის მკვებავ ნაკრულზე და შემდგომ მთაზეც გავრცელდა. უფრო გვიან კი ეს სახელწოდება მთის ძირას მოქცეულ ნაკვეთსაც დაარქვეს.

დღევანდელი სალააკი ძველთაგანვე ბაღებითა და ბაღჩებით იყო დაფარული. ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის მახაზზე სალააკში აღნიშნულია მეფის, დედოფლის, მამასახლისის, მთავრების ბაღები.

სოლოაკშივეა დატანილი „ამართი“ — ვარაუდით მეფის ერთ-ერთი რეზიდენცია. ამ ადგილზე ნაჩვენებია აგრეთვე „ყოყრის გზა“ და „სალააკის წყალი“. სალააკი კვლავ ბაღებითაა დაფარული 1800 წლის გეგმაზე. ამ ბაღებმა გასული საუკუნის 40 — 50-იან წლებამდე მოაღწიეს, როდესაც სალააკის ინტენსიური განაშენიანება დაიწყო. 1828 წლის გეგმაზე, ამ უბნის ზედა ნაწილში, სოფელი სალააკია მითითებული. ბაღების მცირე ნაშთები აქა-იქ ახლაც შეგვხვდებათ შიდა ეზოებში. დღევანდელი განაშენიანება ძირითადად 1870 — 1900-იან წლებში ჩამოყალიბდა. სალააკშივეა ეკლექტიკური არქიტექტურის და მოდერნის სტილის მეტად თვალსაჩინო სახლები.

სალააკი — ბატონის მოედნის ჩრდილო-დასავლეთით, აწინდელი ერეკლეს მოედნის სკვერის ზედა მხარეზე ერეკლე მეორემ ზარბაზნების ჩამოსასხმელი ქარხანა ააშენა. ალა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევისას სპარსელებმა ქარხანა დაანგრეს და დაწვეს. ეს ადგილი შემდგომში აღარ განაშენიანებულა და აქ მცირე მოედანი შეიქმნა. ამ მოედანზე იკრიბებოდა ხოლმე თავდაზნაურობა, რომელიც ძირითადად ამ მოედნის სიახლოვეს, ზედა უბანში სახლობდა და ყვებოდნენ ქვეყნის ამბებს და თავის აზრს გამოთქვამდნენ. სწორედ ამიტომ შეარქვეს თბილისელებმა ამ ადგილს „სალააკი“.

სამშორი — ისტორიული სამგორი მდებარეობს იქ, სადაც ამჟამად მუხროვანის საბჭოთა მეურნეობაა. მას შემდეგ, რაც 1951 წელს ივრის წყალი სამგორის არხით თბილისისაკენ გამოუშვეს და ე. წ. თბილისის ზღვა შეიქმნა, „სამგორი“ სხვადასხვა დასახლებას უწოდეს და მათ შორის თბილისის ერთ-ერთ ახალ დასახლებას, რომელიც საქარხნო აღმინისტრაციულ რაიონში შედის.

ტოპონიმის წარმოქმნის თაობაზე ერთ-ერთი თქმულება მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასალის წინამძღოლობით ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა შემოსეული სპარსელები. ბევრი ქართველი შეეწირა ამ ბრძოლას. გამარჯვებულებმა დაღუბული თანამოლაშქრენი სამ საფლავში ჩააწვინეს და შემდეგ ყოველმა მეომარმა თითო მუჟა მიწა მიიყარა მათ. აქედან წარმოიშვა სამი გორა და მათ შორის მდებარე ველს სამგორი უწოდეს.

საპატარაზო — ქვედა უბანში, თათრის მოედნის სიახლოვეს იდგა ნათლის-
 მცემლის სახელობის სომხური ეკლესია. იგი აუშენებია აბდინაანთ სპაქის და
 აქედან მოდის ეკლესიის სახელწოდება. იგი აშენდა მე-18 საუკუნის პირველ
 მეოთხედში.¹

ქართული
 ბიბლიოთეკა

სიძვარეულობა — აბანოების უბანს და მის მიმდებარე ტერიტორიას (იმ
 ადგილამდე, სადაც დღეს სამას არაგველთა ძეგლი დგას) მე-17 საუკუნიდან
 სეიდაბადი ეწოდებოდა. ეს სპარსული სიტყვაა და სეიდების სამოსახლოს ან
 სეიდების უბანს ნიშნავს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ეს სახელწოდება
 გაჩენილა იმის გამო, რომ აქ სპარსეთის შაჰს სეიდების ტომი ჩაუსახლებია.
 „ტფილისის დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო ექვსი, და დიდ-
 შენი ავაზიანი, მარადის მომდინარე ცხელი წყალი. აქ თაბორს ყოფილა ციხე,
 არამედ აწ შემუსვრილი არს. აქ დასხა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი
 უწოდებენ სეიდ აბადს (სეიდის შენი) ყოფილან ეკლესიანი დიდ-შენი, დასა-
 ხლებით „სეიდაბადი“ არსებობს თავრიზშიაც.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის გეგმაზე ამ უბანს ორმაგ სახელს უწო-
 დებს „სეიდაბადი ან ტფილისი“. თავდაპირველად ამ ადგილს ტფილისი ერქვა.
 აქ ჩაისახა პირველი დასახლება. მემკვიდრე მოგვითხრობს: „აიყარა მეფე
 სპარსთა, და უკუდგა რუსთავად, და გამოვიდეს იგინი განთიად და დადგეს
 ველსა კალასას, რამეთუ ტფილისი და კალაიცა მოხრებულნი იყო მაშინ“
 (ქართლის ცხოვრება). აქ ლაპარაკია თბილისის ორ ნაწილზე: ტფილისზე და
 გალავნით შემოვლებულ კალაზე. თბილისის ეს ნაწილი —საყუთრივ „ტფილი-
 სი“ ქალაქის სხვა ნაწილებთან (კალასთან, ისანთან) ერთად დროთა განმავლობა-
 ში ფართოვდებოდა. მე-12 საუკუნისათვის „ტფილისი“ (გვიანდელი სეიდაბადი)
 გალავნით იყო შემოზღუდული. გალავნის აღმოსავლეთი ნაწილის ფრაგმენტი
 დღემდე შემორჩა 300 არაგველების ძეგლის სიახლოვეს. მონგოლების შემო-
 სევის შემდეგ ეს ადგილი (აბანოების უბნის გარდა) მე-19 საუკუნემდე აღარ
 განაშენიანებულა და ბაღებით იყო დაფარული.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განსაკუთრებული ყურად-
 ლება მიექცა თბილისის გოგირდოვანი წყლების სამკურნალო თვისებებს. 1937
 წელს აშენდა საბაზანო კორპუსი, რომელსაც მთელი კვარტალი უკავია (არქი-
 ტექტორები ი. ჟიტკოვსკი, მ. კალაშნიკოვი, ბ. კარბინი). 1962 წელს მის გვერ-
 დით აშენდა ბალნეოლოგიური კურორტის ახალი მაღლივი კორპუსი.

სეიდაბადის ტერიტორია არაერთხელ იქცა ბრძოლის ველად. ამის აღმნი-
 შვნელია 300 არაგველის ძეგლი, რომელიც 1959 წელს აიგო არქიტექტორ
 ა. ბაქრაძის პროექტით. მის პირდაპირ განლაგებულია მაჩაბლის დასისადმი
 მიძღვნილი მემორიალური კედელი. აქვეა ფიროსმანის მეტად ემოციური ძეგ-

¹ იხ. მ. ბერძენიშვილი. თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბი-
 ლსი, 1965, გვ. 28

ლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ე. ამაშუკელი (არქიტექტორი ნ. მალოზმო-
შვილი). ძეგლი დაიდვა 1975 წელს.



სიმონოვბა — დასახლება ვარდისუბნის სამხრეთ-დასავლეთით, ვარდის-
გორაზე. სახელწოდება აქ ადრე განლაგებულ ჯარის ნაწილის სახელიდან უხდა
იყოს წარმოქმნილი.

„სიმონის სასახლე“ — ასე უწოდებენ ხშირად ორსართულიან სახლს დღე-
ვანდელ ერეკლეს მოედანზე, სადაც ახლა თეატრალური მუზეუმი განთავსე-
ბული. სინამდვილეში ამ სახლს სიმონის სასახლესთან არაფერი აქვს სა-
ერთო.

გადმოცემით სიმონს, დაახლოებით ამ ადგილზე, როცა მან ჯერ კიდევ
მეფე როსტომის ზეობის ხანაში დაწყებული სასახლისეული წმ. გიორგის
ეკლესიის მშენებლობა (1710 წ.) დაამთავრა, აუგია მცირე სასახლე. ეკლესიამ
ჩვენამდე საკმაოდ გადაკეთებული სახით მოაღწია. როგორც ჩანს, სასახლე
შემდგომში დაუნგრევიათ. თბილისის 1800 წლის გეგმაზე, რომელიც საკმაოდ
ზუსტია, ამ სახლის ადგილას მოედანია. ამ ვითარებას ეთანხმება პლატონ იო-
სელიანის მიერ მოთხრობილი ამბავი იმის თაობაზე, რომ 1764 წელს სასახლი-
სეულ ეკლესიას ამ მცირე მოედნის მხრიდან შენობა არა ჰქონია აფარებული
და რომ ციხიდან ნასროლი ყუმბარა ეკლესიის სამხრეთ კედელს მოხვედრია.¹
აქ გიორგი XII ძველ ნასახლარზე თავისი ერთ-ერთი დროებითი ადგილსამყო-
ფელი აუგია, სადაც მეფის გარდაცვალების შემდეგ ერთხანს უცხოვრია მის
მეუღლეს დედოფალ მარიამს, სანამ რუსეთში გაემგზავრებოდა. სახლს შემ-
დგომში რუსი ოფიცერი დაპატრონებია, ხოლო 1840 წელს ხაზინას ეს ადგილი
კერძო პირისათვის, ვინმე სალამბეგოვისათვის მიუყიდა. მან ააშენა ეს ორსარ-
თულიანი სახლი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

1975 წელს აღადგინეს სახლის პირვანდელი გარე სახე, ხოლო შიდა და-
გეგმარება გადაკეთდა შენობაში თეატრალური მუზეუმის განსათავსებლად.
რეკონსტრუქციის პროექტის ავტორებია გ. ჭავჭავაძე და ვ. ორბელიძე.

„სიმპატია“ — ძველი თბილისის სარდაფში განლაგებულ რესტორნებს შორის,
რომელთაც ეგზოტიკური დასახელება ჰქონდათ („გემო“, „ტოლსტი ი ტონკი“,
„ბედნი ვასო“ და ბევრი სხვა) „სიმპატია“ იმით გამოირჩეოდა, რომ იგი ძველი
თბილისის ერთ-ერთი ადგილი იყო, სადაც დროდადრო იკრიბებოდნენ გამო-
ჩენილი პიროვნებები. აქ შემოსვლა უყვარდათ იოსებ გრიშაშვილს, შალვა

¹ Пл. Носеллиани. Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1866. стр. 251.

დადიანს, ლადო გუდიაშვილს, გოგლა ლეონიძეს, ვალაკტიონს... მიაკოვსკი და ესენინი სულ რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს და ერთი ასეთი შეხვედრა 1924 წელს „სიმპატიაში“ მოეწყო. თაღებითა და კამარებით გადახურული ეს მოკრძალებული სარდაფი პუშკინის ქუჩაზე მდებარეობს. სარდაფის ქვედა სართულზე მუქ ფონზე გამოსახულნი იყვნენ შოთა რუსთაველი, ალექსანდრე პუშკინი, უილიამ შექსპირი, ქრისტეფორე კოლუმბი... გულუბრყვილოდ შესრულებულ პორტრეტებს აღმოსავლური იერი გადაჰყრავდა. ახლა სარდაფის კედლები ზეთის საღებავითაა დაფარული. ვინ იცის, იქნებ მისი ფენის ქვეშ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ძველი ნახატების ფრაგმენტები.

სიონი — თბილისის სიონი დღას ძველ ქალაქში და დასავლეთის ფასადით სიონის ქუჩაზეა მიმართული. 70-იან წლებში ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების შედეგად მოიხსნა ძველი სახლები და ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი მტკვრის სანაპიროსკენ გაიხსნა.

თბილისის სიონი ღვთისმშობლის სახელზე აგებული კათედრალური ტაძარია. მას საფუძველი მე-6 საუკუნეში ჩაეყარა და მშენებლობა მე-7 საუკუნის 20-იან წლებში, ქართლში ადარნასეს ვამპეზლობის ხანაში დასრულდა. ტაძარს ჩვენამდე პირვანდელი სახით არ მოუღწევია. ქალაქის უმთავრესმა ქრისტიანულმა სამლოცველომ თბილისის ისტორიის ავ-კარგი გაიზიარა. თბილისის სიონი არაერთხელ გაუმარცვავთ, დაუგრევიათ, დაუწვავთ და კვლავ აღუდგენიათ. ძნელია დღემდე მოღწეული სიონის არქიტექტურა მიაკუთვნო ერთ რომელიმე კონკრეტულ ეპოქას. მისი ახლანდელი სახე, როგორც ჩანს, ძირითადად XI — XII საუკუნეებშია ჩამოყალიბებული, თუმცა იგი სხვადასხვა სამშენებლო შრეს მოიცავს — შედარებით ადრინდელს და უფრო გვიანდელსაც. სულ ახლახანს, წყალსაწრეთი სამუშაოების ჩატარებისას გაიხსნა ძველი ცოკოლის ფრაგმენტები. შენობის გუმბათი ეყრდნობა საკურთხევლის კედლებს და ორ ბურჯს. ტაძრის ინტერიერში ჩანს გვიანი ხანის ვალაჯეთების კვალი (შავალითაჲ, მე-17 საუკუნის წაისრული თაღები). აღმოსავლეთის ფასადზე მკაფიოდ იკითხება გამოწეული წახნაგოვანი აფსიდები. 1657 წელს თბილისის მიტროპოლიტმა ელისე საგინაშვილმა ჩაატარა რიგი აღდგენითი სამუშაოებისა, მასვე მიუშენებია სამლოცველო ტაძრის სამხრეთ მხარეზე. „ნებითა ღვთისითა და შეწევნითა სიონთა ღვთისმშობლისათა, მე თფილელმან ელისე საგინაშვილმან, აღვაშენე გუმბათი ესე სიონისა, ორჯერ სამხრეები და კარის-ბჭე და დავახატე და შევაძვე ყოვლითა სამკაულითა“...

უფრო გვიან, 1710 წელს ვახტანგ VI ბრძანებით, კვლავ განუახლებიათ გუმბათი. ამას მიუთითებს იმდროინდელი წარწერა: „მაღიდებელი სამებისა, და ძე ღიდად პატიოსნისა ლევანისა, — განგებელი ქართლისა ბატონიშვილი ვახტანგ, განმაახლებელი გუმბათით ლომფინის — ცვრით მონასტრისა ამის“... იმავე დროს განეკუთვნება შენობის მოპირკეთება. მთლიანად შეიცვალა ტაძრის

ინტერიერი გასულდ საუკუნის შუა ხანებში. იგი მოხატეს ცნობილი რუსი მხატვრის გრიგოლ გაგარინის ესკიზებითა და ხელმძღვანელობით. ამ დროინდელია (1856 — 1860) არსებული კანკელიც.

ტაძრის ჩრდილოეთით დგას სამრეკლო, იგი მე-15 საუკუნეშია აშენებული, გარდა ზედა ნაწილისა, რომელიც ჩვენ დროში იქნა აღდგენილი. რაც შეეხება მაღალ სამრეკლოს სიონის დასავლეთით, ქუჩის გაღალმა, იგი აუციათ 1812 წელს და თბილისში შემოტანილი რუსული კლასიციკლური არქიტექტურის პირველი მაგალითთაგანია.

საქართველოში ხშირად გვხვდება დასახელებები, რომლებიც პალესტინის და საბერძნეთის ე. წ. „წმინდა ადგილების“ ან ტაძრების სახელწოდებებს იმეორებენ (ათონი, ბეთანია, ბეთლემი, მთაწმინდა და სხვა.) თბილისის კათედრალური ეკლესიის დასახელება იერუსალიმის სიონიდან მომდინარეობს. აღსანიშნავია, რომ „სიონი“ მხოლოდ თბილისში როდია (სამშვილდე, ათენი, ბოლნისი და სხვა). გიორგი ჩუბინაშვილის აზრით, საქართველოში „სიონის“, იერუსალიმის სიონის მაგალითისამებრ, მხოლოდ ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ეკლესიებს არქმევდნენ.

სირაჩხანა — სახელწოდება სპარსული წარმოშობისაა. „სირაჩ“ თუ „სირაჯ“ მელენეს ნიშნავს, „ხანა“ თუ „ხანე“ კი — სახლს. „სირაჩხანა“ ღვინით და არყით მოვაჭრეთა რიგებს ნიშნავს. ძველ თბილისში ორი სირაჩხანა იყო — პატარა და დიდი. ისინი მტკვრის მოპირდაპირე ნაპირებზე მდებარეობდნენ. პატარა სირაჩხანა მარჯვენა ნაპირზე, კალაში, თათრის მოედნის სიახლოვეს მდებარეობდა. დღეს ეს ქუჩა აღარ არსებობს. იგი გაქრა ყოფილი შუაბაზრის (დღევანდელი ლესელიძის ქუჩის) რეკონსტრუქციისას. ამ ადგილზე ახლა სკვერია, სიონისა და ლესელიძის ქუჩების შესაყართან. ძველად კი პატარა სირაჩხანა მცირე აღმართს წარმოადგენდა.

დიდი სირაჩხანა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გრძელ მოხვეულ აღმართს გასდევდა, რომელიც ძველი მეტეხის ხილთან იწყებოდა და ავლაბრის გაღავენის ქვემოთ კლდის ძირს მიყვებოდა. ამ გზას სირაჩხანის აღმართსაც უწოდებდნენ. შემდგომში მას ღვინის აღმართი («Винный подъем») ეწოდა. ამ განლაგებული დუქნები და სარდაფები მარაგდებოდნენ კახეთიდან ურმებით ჩამოტანილი ღვინით სავსე რუმბებითა და ტიკებით. ამ აღმართზევე იყო ძველი თბილისის უმთავრესი ღვინის ბაზარი.

სამირამთი (სამორამთი) — ვერეს აღრინდელი სახელია. „ხოლო კოყრის ჩრდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე“... (ვახუშტი ბაგრატიონი).

სომხის ბაზარი — სომხის ბაზრის («Армянский базар») სახელწოდება მე-19 საუკუნეში გავრცელდა და იმ სავაჭროების რიგების ნაწილი ეკავათ და ქართულ წყაროებში „შუა ბაზარს“ უწოდებდნენ (იხ. შუა ბაზარი).
ბ ი ბ ლ ი მ ი თ ე ქ ა

სოღანლული — თბილისის რეკონსტრუქციისა და განვითარების გენერალური გეგმის მიხედვით ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში შეიქმნება ახალი სამრეწველო-საცხოვრებელი რაიონი „ფონიჭალა“ (იხ. ფონიჭალა), რომლის ერთი ელემენტი სოფელ სოღანლულის ტერიტორიას დაიკავებს.

ვახუშტი ბაგრატიონი გვაუწყებს: „მტკურის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა, და აწ სონღალული წოდვილი, ნაყოფიერი ყოვლითავე“. ე. ი. სოღანლულის ადრინდელი სახელები „ყურყუთა“ და „სონღალული“ ყოფილა. თბილისის ტერიტორიაზე განლაგებული ისტორიული სოფლების მკვლევარის თეიმურაზ ბერიძის აზრით „სონღული“ თურქული წარმოშობისაა და „შავარდნისთანა მტაცებელი ფრინველის სახელიდან უნდა იყოს ნაწარმოები, ხოლო „სოღანლული“ სოღანლულის ასიმილაციის შედეგია.

სონღალული (სოღანლული) თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა და მტკურის მარჯვენა ნაპირზე გაშლილი ჭალები და ველები ეკავა. სონღალულის მამულები მეფის საგვარეულოს და ამილახვრების კუთვნილება ყოფილა. სოფელზე გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო (განჯის) გზა, ამიტომ ეს ადგილი მართკუთხა გეგმის მქონე ციხე-გალავნით ყოფილა გამაგრებული, რომელიც მეფე ერეკლე მეორის თაოსნობით აუგიათ მე-18 საუკუნის 60-იან წლებში და განჯის გზას უწევდა კონტროლს.

ფონიჭალაში გათვალისწინებული მოსახლეობის საპროექტო რიცხვიდან სოღანლულის ტერიტორიაზე 7 ათასამდე თბილისელი დასახლდება.

სოღანლული — დღევანდელი მეტეხის პლატოზე პირველი ციხესიმაგრის აგების თარიღის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. არც იმის საბუთი არსებობს, თუ როდის გამოჩნდნენ აქ პირველი მოსახლენი. პლატონ იოსელიანი თვლიდა, რომ ციხე-სიმაგრე და პირველი ეკლესია ამ ადგილზე ეახტანგ გორგასალის ზეობის ხანაში ააგეს. მაგრამ მას არ მოყავს რაიმე საბუთი.

სახელწოდების წარმოშობას ხსნიან გადმოცემით, რომ მე-6 საუკუნეში სპარსეთის მეფეს ხოსრო პირველს სამხედრო-სტრატეგიული მოსაზრებით აქ ჩამოუხაზლებია სპარსული მოდგმის ტომი — სოღდები. აქედან-სოღდებილი. ზოგიერთის აზრით კი, „სოღდებილი“ სასაფლაოს აღმნიშვნელი სიტყვიდან — „საგოდებლიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები. ამ ადგილებში სასაფლაოს — საგოდებლის არსებობაზე მოწმობს იოანე საბანის ძე თავის „მარტვილობაი ჰაბოტფილელისაიში“. ამოს ცხენდარი გაასვენეს“ ...გარეშე ქალაქსა და აღიღეს ადგილსა, რომელსა საგოდებელი ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათაი“.

ფეთხანის უბანი — ტერიტორია, რომელიც მოქცეულია აწინდელი ენკლავის, აზიზბეკოვის, გომის ქუჩებს, ფეთხანის ეკლესიასა და ფეთხანის ტაძარს შორის.



ფონიპალა — ეს სამრეწველო-საცხოვრებელი რაიონი განლაგებულია თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ერევანისკენ მიმავალ რკინიგზასა და მტკვარს შორის (სოფელ სოღანლუღის მიდამოებში), მომავალი განაშენიანებისათვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობი 800 ჰექტარს აღწევს. საცხოვრებელი რაიონის მშენებლობა განპირობებულია ამ ტერიტორიაზე სამრეწველო-სასაწყობო ზონის არსებობით. სამოსახლოდ გათვალისწინებული ადგილი ტერასებად აყვება თელეთის მთის ფერდობს.

პროექტის მიხედვით საცხოვრებელი ზონა სამ უბანზე განაწილდება (არქიტექტორები მ. გოგიშვილი, ი. კოჩინევა, კ. ტალიაშვილი) სოფელ სოღანლუღის ადგილზე. რუსთავეის გზატკეცილსა და რკინიგზას შორის, ასევე ზედა ბაქანზე სადგურის გარშემო. სამივე მონაკვეთი გაერთიანდება სკვერებისა და მოედნების სისტემით, რომელიც რაიონულ პარკს შეერწყმება. ძირითად საცხოვრებელ უჯრედებს წარმოქმნიან თავისებური შიდა ეზოების გარშემო განლაგებული 9-სართულიანი სახლები. პროექტი ითვალისწინებს ამ უბანში 18 ათასი მცხოვრებლის დასახლებას.

ფონიპალა ორი ნაწილისაგან შემდგარი სიტყვაა. „ქალა“ მცენარეულით დაფარულ მდინარის პირს ნიშნავს, ხოლო „ფონი“ მდინარეზე გადასასვლელს.

ფრანგთა უბანი — ამჟამინდელ პირველი მისის ქუჩაზე კათოლიკური („ფრანგთა“) ეკლესია იდგა, რის გამო ქუჩას „ფრანგთა ქუჩას“ უწოდებდნენ, ხოლო ეკლესიის გარშემო დასახლებას — „ფრანგთა უბანს“.

ფუნიაპულიორი — ზოგჯერ თბილისელებისაგან გაიგებთ „ფუნიაპულიორზე“ ვიყავით დასასვენებლად და გულისხმობენ მთაწმინდის პლატოს. სინამდვილეში კი „ფუნიაპულიორი“ სალიანდაგო-საბავარიო გზის ამსახველი ტერმინია, რომელიც ბაგირის ლათინური სახელწოდებიდან (funicus) არის წარმოქმნილი. თბილისის ფუნიაპულიორი 1905 წლის 27 მარტს გაიხსნა. იგი ააგო ბელგიურმა აქციონერულმა საზოგადოებამ. მისი სიგრძე 501 მეტრს უდრის, გზის შუაწელზე 80-მეტრიანი ვიადუკია აშენებული.

მთაწმინდის პლატოს ათვისების იდეა გასული საუკუნის ბოლოს ჩაისახა. პირველად წინადადება წამოაყენეს სააგარაკო მშენებლობის თაობაზე, ხოლო შემდგომში წარმოიშვა აზრი აქ „ახალი ქალაქის“ დაარსების შესახებ. პლატოს ტერიტორია დაეცეს კიდევ ნაკვეთებად და დაიწყო მიწით სპეკულაცია. „ახალი ქალაქის“ მშენებლობის იდეა არ განხორციელებულა, თუმცა ფუნიაპულიორის

მშენებლობა ბოლომდე იქნა მიყვანილი. პლატოზე დიდხანს მხოლოდ ზედსადგურის შენობა და რამდენიმე დუქანი იდგა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 30-იან წლებში გადაწყდა პლატოზე პარკის მშენებლობა. იგი ოფიციალურად 1938 წელს გაიხსნა. ამავე წელს დამთავრდა ზედა სადგურის ახალი შენობის მშენებლობაც (არქიტექტორები ზ. ქურდიანი, ნ. ქურდიანი, ა. ვოლობუევის მონაწილეობით).

ტარიხაძე — იმ ტერიტორიის ძველი დასახლება, რომელიც მოიცავს სამგორის დასახლებას და მის მიმდებარე ადგილებს (ორხევი, ალექსეევკა, აეროპორტი). როგორც ტოპონიმური სახელწოდება მიუთითებს, აქ ხშირად იცის ქარი.

მ(ვ)აშვითი — ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესია დგას კომუნარების ბაღის ტერიტორიაზე, რუსთაველის პროსპექტის დონეზე დაბლა.

გადმოცემით, უძველეს ხანაში ამ ადგილზე კერპთაყვანისმცემელთა სალოცავი—საკერპე მდგარა. პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობის ცამეტ-თავან ერთ-ერთ სირიელ მისიონერს — მამა დავითის სახელს უკავშირებენ. მასვე უკავშირდება ლეგენდა ეკლესიის სახელწოდების წარმოშობის შესახებ. ერთ-ერთმა მონაზონმა, მიხედვით წაქეზებით ცილი დასწამა მამა დავითს, თითქოს მისგან დაორსულბუღიყოს. დავითს განუცხადებია — თუ მე ვარ დამნაშავე, ქალმა ბავშვი შვას თუ მართალი — ქეაო. ქალს ქვა უშვია. ლეგენდა ამით ხსნის სახელწოდებას — „ქვაშვეთი“.

დავით გარეჯელის სახელთან დაკავშირებული უძველესი ეკლესია მე-18 საუკუნეში შეიკვალა. 1742 წელს გივი ამილახვარი აშენებს აგურის ეკლესიას. იგი ტეტრაკონქს წარმოადგენდა, სადაც კვადრატული გეგმის მქონე ცენტრალურ სივრცეს ოთხი ნახევარწრიული აფსიდა საზღვრავდა. ტაძარი გარშემორტყმული იყო გალავნით. შემდგომში ეს ეკლესია დაზიანდა და საკითხი წამოიჭრა მისი შეცვლის აუცილებლობაზე.

ახალი ტაძრის მშენებლობა 1910 წელს დამთავრდა იმ დროის გამოჩენილი არქიტექტორის ლეოპოლდ ბილფელდის პროექტით (ბილფელდი ეროვნებით გერმანელი იყო, რომელმაც რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. იგი მრავალი წლის მანძილზე მოღვაწეობდა საქართველოში და ბევრი შენობა აქვს აშენებული თბილისში). ნიშანდობლივია, რომ ბილფელდს კონკრეტული დავალება ჰქონია. ახალი ეკლესიის ნიშნად მას სამთავისის ტაძრის შესანიშნავი არქიტექტურა უნდა გამოეყენებინა. ქაშვეთი აშენდა არისტოკრატიის და ბურჟუაზიის წარმომადგენელთა შეწირულობის ხარჯზე. ახალი ეკლესია აგურთხეს 1910 წლის 13 ოქტომბერს.

ბილფელდმა თითქმის სამთავისის ასლი შეასრულა, მხოლოდ ნაწილობრივ გარდაქმნა წყობა და ზოგიერთი დეტალი. ორიგინალისაგან განსხვავებით,

შენობა დასმულია მაღალი ცოკოლის სართულზე და შესასვლელი საქართველოს მხრიდან განიერი კიბით უკავშირდება ეზოს (ცოკოლის მოცულობაშიც კლასიკური სიაა მოთავსებული). განსხვავებულია სარკმელების რაოდენობა, ზოგჯერ ჩუქურთმების ხასიათი, პროფილები. მოჩუქურთმება მაღალ ტექნიკურ ფონზე შეასრულა ქართველმა ქვაზე ქრის ოსტატმა ნეოფიტ აგლაძემ, მიმდებარე ტორ ე. ანდრეოლეტის ნახაზებით.

ძვემო ტარი — „წყლის კარის“, „დაბლა კარის“ კიდევ ერთი სახელწოდება. ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის გეგმაზე მას აღნიშნავს როგორც „ქვემო კარს ხილით“. საქმე ისაა, რომ კარის პირდაპირ ავანანთხევეზე მცირე ხიდი იყო გადაებული. ქალაქის ამ მხარეზე მოქცეულ კარიბჭეთაგან იგი ყველაზე ქვემოთ იყო მოქცეული. კარიბჭე გაუქმდა მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში.

ძვემო მოედანი — თათრის მოედნის ერთ-ერთი სახელწოდება, მოედნის ქვემო უბანში მდებარეობიდან მოდის. ქვემო მოედნისაგან განსხვავებით ზედა უბანში განლაგებულ ბატონის მოედანს „ზემო მოედანსაც“ უწოდებდნენ.

ძვემო უბანი — ძველი თბილისის უმთავრესი ნაწილი — კალა ახლანდელი ლესელიძის ქუჩის სწორივად განლაგებული „შუა ბაზრით“ ორ დიდ ნაწილად — „ზემო“ და „ქვემო“ უბნებად იყოფოდა. „ქვემო“ უბანი „ზემოსთან“ შედარებით მდინარის დინების მიმართულებით ქვევით მდებარეობდა. ქვემო უბანი მოქცეული იყო აწინდელი ლესელიძის, დადიანის ქუჩებსა და სალალა-კის ქედს შორის. ამ უბანში ქართველების გარდა სახლობდნენ სომხები, მუსლიმანები, ებრაელები. აქ ქართული და სომხური ეკლესიების, მეჩეთების და სინაგოგის გარდა კათოლიკური ეკლესიაც, ე. წ. „ფრანგთა საყდარიც“ იდგა. ამ რაიონში კლდისუბანში მდებარეობდა ცეცხლთაყვანისმცემელთა საკერპოც — ათეშქა.

ძიბაბაზნან — სასადილო რიგი. ერთი ასეთი რიგი ძველ თბილისში თათრის (აწინდელ გორგასალის) მოედანთან იყო, გორგასალის ქუჩის გასწვრივ.

„ძიმერინი“ — რუსთაველის თეატრის (მაშინ — არტისტული საზოგადოების) შენობის ქვედა ფოიეს სართულზე კაფე „ქიმერიონი“ იყო განთავსებული, სადაც თავს იყრიდა ქალაქის მოწინავე ინტელიგენცია. 1915 წლიდან აქ იკრიბებოდნენ „ცისფერყანწელები“. ტიციან ტაბიძე წერდა: „აღბათ მთელს ქვეყანაზე არ არის კაფე, რომელიც იტევდეს იმდენ შთაგონებას და შემოქმედებას, როგორც „ქიმერიონი“. კაფეს კედლები მთლიანად მოხატული იყო. „ცისფერ-

ყანწელების“ ინიციატივით კედლები მოხატეს გამოჩენილმა მხატვრებმა ლადო გუდიაშვილმა, დავით კაკაბაძემ, მოსე თოიძემ, განთქმულმა რუსმა მხატვარმა სერგეი სუდეიკინმა. ასევე ცნობილმა პოლონელმა ხელოვანმა სიგიზმუნდ ვალიშევსკიმ. კაფე მოგვიანებით რუსთაველის თეატრის ფოიედ და გარდამავალ ბაღ იქცა. კედლები არაერთგზის გადაიღება და შესანიშნავი მხატვრობის დაქარაღვლი კარგა. სამოცდაათიანი წლების ბოლოს დაიწყო სამუშაოები მხატვრობის გამოსამკლავებლად. გაიხსნა კედლის მხატვრობის დიდი ნაწილი. სარესტავრაციო სამუშაოები გრძელდება.

ღვინის აღმართი — აღმართზე განლაგებული იყო ღვინით და არაერთ მოვაჭრეთა დუქნების რიგი. აღმართი იწყება მეტეხის ხილთან მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ადრე მას დიდი სირაჯხანა ერქვა (იხ. ს ი რ ა ჯ ხ ა ნ ა).

ღრმადელი — ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით განლაგებული უბნის დასახელება აქ მდებარე მშრალი ხევიდან მოდის, რომელიც მოძალებული წვიმების შედეგად ღრმად იქცეოდა.

ღვინის მომადანი — მოედანი მდებარეობდა იმ ადგილზე, სადაც ახლა საქართველოს სსრ მთავრობის სახლი დგას. სახელწოდება მოედანმა მიიღო რუსი ჯარის მიერ 1859 წლის 25 მარტს დალესტანში ღვინის ციხესიმაგრის დაშლის აღსანიშნავად. ციხე იმამი შამილის ბოლო თავშესაფარი იყო. მოედანმა არსებობა შეწყვიტა 1897 წელს, ამ ადგილზე ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის აშენებასთან დაკავშირებით.

ქაბაზი — „მიყვარს ყაბაზის არემარე, თვალად საიშო, მისის ღამე მიბუნდვილი, გრილი და ამო...“

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ყაბაზი ერქვა მაღალ სვეტს, რომელზედაც იდგმებოდა თასი ან სხვა საგანი, რომელიც ისრით უნდა ჩამოეგდოთ ცხენზე ამხედრებულ მოასპარეზეთ. ამ სახის შეჯიბრი ძველთაგანვე იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყაბაზი არსებობდა თბილისშიც, ტერიტორიაზე, რომელიც დღეს კომუნარების ბაღის ქვედა ნაწილს უკავია. მოედანზე სხვა შეჯიბრებებიც ეწყობოდა.

თბილისის ყაბაზის გრაფიკულ გამოსახულებას პირველად ქალაქის ტურ-ნეფორისეულ 1701 წლის ჩანახატზე ვხვდებით. ნახატის წინა პლანზე მდინა-

რის პირას, გამოსახულია ვრცელი მოედანი, რომლის ცენტრში საფეხურობის ძსგავსი განშტოებების მქონე სვეტი — ყაბახია აღმართული. თვით მოედანს, რომელზედაც ყაბახი იდგა, ვახუშტი ბატონიშვილი ასპარეზს უწოდებს. „მოედანი ანუ ასპარეზი“. ამასთან, გეგმაზე ყაბახი ირიბანებით გამაგრებული მაღალი სვეტის სახით არის გამოსახული. „ყაბახის მოედნის“ ადგილი თბილისის 1800 წლის გეგმაზეც გვხვდება. მე-19 საუკუნეში მოქალაქე ყაბახს უწოდებდნენ, სანამ აქ ჯერ სამხედრო პლაცს მოაწყობდნენ და შემდგომში ბაღს გააშენებდნენ. იხ. ასპარეზი.

ჟანიბუღას ბაღი — ამ ბაღს გარეთუნის განაპირას № 29-ით აჩვენებს ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის 1735 წლის გეგმაზე. იგი ასპარეზის გვერდით მის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. ამ ადგილზე ბაღი დატანილია ქალაქის 1800 წლის გეგმაზეც. იგი გაშენებული იყო დღევანდელი კომუნარების ბაღის ქვედა ბაჟნის პირდაპირ, ჯორჯიაშვილის ქუჩის გაღალმა, იქ, სადაც ახლა გამოთვლითი ცენტრის მაღლივი კორპუსები აღიმართა.

ჟასაბხანა — ყასაბხანა ხორცით მოვაჭრეთა რიგებს ეწოდებოდა. ერთი ასეთი რიგი უშუალოდ თათრის მოედანზე ალაფხანას გვერდით იყო. კიდევ ერთი ყასაბხანა იქვე, თათრის მოედანთან, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით მტკვრის პირზე გასულ ქუჩაზე მდებარეობდა. დღეს ეს ქუჩა ამ ადგილის რეკონსტრუქციის გამო აღარ არსებობს.

ჟორჩი-ჟალა — თაბორის თურქული სახელწოდებაა, რაც დამცველ ციხეს ნიშნავს. და მართლაც, თაბორის ციხე — ყორჩი-ყალა თბილისის იცავდა სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. კონტროლს უწევდა განჯის გზას. თბილისის 1800 წლის გეგმაზე პორუჩიკი ჩუიკო მას ასე აღნიშნავს: «Разоренное укрепление Корча-Кала». ციხესიმაგრის შესახებ იხ. თაბორის ციხე.

შაპტახტი — ქალაქის გაღავანი სამხრეთიდან სალაღაის ქედს მიუყვებოდა, აბლანდელი კომკავშირის ხეივანის ხაზზე, შემდეგ მკვეთრად უხვევდა და ქედის ფერდობზე ეშვებოდა, დღევანდელი დადიანის ქუჩის მიმართულებით. ამ კუთხეზე, სამხრეთის და დასავლეთის კედლების შესაყარზე მძლავრი პასტიონი იყო აღმართული, რომელსაც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს და „შაპის ტახტს“ უწოდებს. 30 მეტრი სიგრძის მართკუთხა ციხესიმაგრე კომკავშირით იყო გამაგრებული. თბილისის 1800 წლის გეგმაზე შაპტახტი ან შაიტახტი ექსპლიკაციაში აღნიშნულია ქალაქის 12 ძირითად ნაწილს შორის, რაც მის სიძლიერესა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. პლატონ იოსელიანის ცნობით, XIX საუკუნეში, 1837 წლამდე, შაპტახტი ობსერვატორიის დანიშნულებას ასრუ-

სპარსელები შემოესიენ და რაკი ქვეყნის იმდროინდელ დედაქალაქს — მცხეთას ვერაფერი დააკლეს, თბილისის ტერიტორიაზე გამაგრდნენ. აქვე ააგეს ციხესიმაგრე, რომელიც სიმძლავრით მცხეთას უნდა გაჯობებოდა. მაგრამ როგორც ირკვევა, სახელწოდების წარმოშობა ხელოვნურია და გაუგებრობით უნდა აიხსნას. ფაქტიურად, თბილისის ციხესიმაგრის ციტადელის შესახებ წოდება ვახუშტი ბაგრატიონმა შემოიღო იმის გამო, რომ მან ქუჩის სახელწოდების ცნობა — „ალაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისა“ — წაიკითხა „...შურის ციხედ მცხეთისა“. აქედან მის მიერ მოცემული სახელწოდება: „შურის ციხე“.

ჩითაზხანა — იგივეა, რაც წულახანა, ხარაზხანა. იხ. ხ ა რ ა ზ ხ ა ნ ა .

ჩორსუ — ასე ეწოდებოდა დახურულ სავაჭრო მოედანს, სადაც რასტაბაზრისგან განსხვავებით, სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსნები იყენებდნენ თავმოყრილნი. ჩორსუ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და ოთხკუთხედს ნიშნავს. სპარსეთში გზების გადაკვეთაზე ბაზარი იმართებოდა და იგი გუმბათით იხურებოდა. ამგვარი ორი ჩორსუ თბილისშიც იყო. ისინი ზომებით განსხვავდებოდნენ. მცირე ჩორსუ, ჯონხანის და ხარაზხანის გადაკვეთაზე (დღევანდელ ერეკლეს, სიონის და ლესელიძის ქუჩების შესაყარზე) მდებარეობდა. მეორე, დიდი ჩორსუ კი რასტაბაზრის დასასრულს იყო, მელიქის ქარვასლის უშუალო სიახლოვეს, დაახლოებით დღევანდელი სიონის ქუჩის ბოლოში. ორივე ჩორსუს კვალი ნათლად იკითხება თბილისის 1800 წლის გეგმაზე. ისევე როგორც საერთოდ ამ ხანის ბაზრებში, თბილისის ორივე ჩორსუშიც ერთიმეორის გვერდით სრულიად სხვადასხვა სახის ღუქან-სახელოსნოები იყო განლაგებული.

ჩულდრეთი — დასახელება თურქული სიტყვიდან — „ჩუქორ“, „ჩულური“ — უნდა იყოს ნაწარმოები, რაც ხევს, ფერდობს ნიშნავს (თ. ბერიძე — საგარეუბნო სოფლების ისტორია). ეს უბანი ნაჩვენებია აქვს ვახუშტი ბაგრატიონს თბილისის გეგმაზე. აქ დასახლება მტკვრის მარცხენა ტოტამდე აღწევს და მას შუაზე ჰყვითს ე. წ. ავჭალის გზა (ავჭალის გზა მაშინ ისინი კარიბჭესთან იწყებოდა და თავდაპირველად სანაპირო ზოლს მისდევდა). სოფელს ხევი სამი მხრიდან ერტყა, ხოლო მეოთხედან მტკვარი ჩაუდიოდა. გასული საუკუნის 20-იან წლებში სოფელი თბილისს შეუერთდა. ჩულდრეთში იყო განლაგებული თბილისის მექოთნეთა საწარმოების დიდი ნაწილი.

ციხის ბაღი — თბილისი ძველთაგანვე განთქმული იყო ბაღებით. თბილისის სტუმრები ქალაქის აღწერისას ალტაცებით მოიხსენიებენ მათ. ერთი ასეთი ბაღი არსებობდა ტერიტორიაზე, რომელიც დღეს ბოტანიკურ ბაღს უკავია.

ვახუშტი ბაგრატიონი თბილისის 1735 წლის გეგმაზე ამ ბალებს „ციხის ბაღის“ სახელწოდებით აღნიშნავს. ბაღი კედლით იყო გარშემოვლებული. იგივე ბაღი თბილისის შემდგომ გეგმებზეც არის აღნიშნული.

ქართული
საქართველო

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ბაღს „თბილისის ბაღი“ ბაღი“ ეწოდა. შემდგომში იგი ამიერკავკასიის სოფლისა და მანუფაქტურული მრეწველობის წახალისების საზოგადოებას გადაეცა, 1845 წელს კი, ე. წ. თბილისის საცდელ ფერმას. სწორედ ამ დროს ეწოდა მას პირველად „ბოტანიკური“. 1846 — 1857 წლებში ბაღი რამდენჯერმე დაფარა აღიდებულმა წაკვისწყალმა, ხოლო 1848 წელს ხარიყალაზე დენთის საწყობის აფეთქებამ დააზიანა. 1856 წლიდან ბაღი სასეირნო (Гульбищный) ბაღად აქციეს. იმდროინდელი მოწიბობით, აქ ეწყობოდა აღვირაბსნილი ქვიდები და ხარგავენის ძვირუაღი ჯიშები ნადგურდებოდა. შემდგომში მასში განლაგდა მებაღეობის სასწავლებელი, 1861 წელს კი კვლავ დაუბრუნდა „ბოტანიკური ბაღის“ სახელწოდება. 1864 წელს ბაღი საბოლოოდ გადავიდა სახელმწიფოს გამგებლობაში.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ინჟინერ-პოლკოვნიკმა ს. ვეისენგოფმა სოლოლაკის ქედში გვირაბის გაჭრის იდეა წამოაყენა. მას ენგელსის ქუჩა უმოკლესი გზით უნდა დაეკავშირებინა აბანოებამდე უბანთან. შემდგომში ეს იდეა პროექტად იქცა, რომელიც გულისხმობდა გვირაბის გაჭრას ენგელსის (მაშინდელი ბებუთოვის) ქუჩის ბოტანიკურ ბაღთან დასაკავშირებლად. დაიწყეს კიდევ გვირაბის გაჭრა. სამუშაოები საბჭოთა ხელისუფლების წლებში დასრულდა. ბაღში ჩანჩქერის თავზე აღმართულია ლამაზი მოხაზულობის ხიდი, რომელიც ერთ-ერთი პირველთაგანია ჩვენი საუკუნის დასაწყისში აგებული რკინა-ბეტონის ხიდთაგან.

საბჭოთა ხელისუფლების დროს ბოტანიკური ბაღის ტერიტორია ოთხჯერ გაიზარდა.

ციხისღიდი ეკლესია — იმ ქართულ ტაძართაგან, რომელთაც გვიან სომხური ეკლესია დაეპატრონა, აღსანიშნავია წმ. გიორგის სახელზე აგებული ციხისღიდი ეკლესია (ვახუშტის მიხედვით — „ციხის საყდარი“), რომელსაც სომხებმა „სურფ-გეგორჟი“ უწოდეს. ეკლესია დგას დღევანდელი გორგასალის მოედნის სამხრეთ-დასავლეთით და მას კიბეებით უკავშირდება. ძნელი დასადგენია, თუ როდის აშენდა ამ ადგილას პირველი ეკლესია. ზოგიერთი ცნობით, საყდარი XII საუკუნეში განახლებულა. ამის შემდეგ ტაძარი რამდენჯერმე დანგრეულა და კვლავ აშენებულა. იგი ციხის გალავნის შიგნით იმყოფებოდა. ციხის კალასგან გამყოფი კედელი ეკლესიის უშუალო სიახლოვეს, დღევანდელი გორგასალის პირველი შესახვევის ხაზზე გადიოდა. ციხეში იყო ე. წ. „პატარა საყდარიც“, რომელიც მთავარანგელოზის სახელზე აუგიათ. დიდი

ხნის განმავლობაში ციხეს სპარსელები ფლობდნენ. სპარსელების განდევნის შემდეგ, XVIII საუკუნის 70-იან წლებში შენობა კვლავ სომხურ ეკლესიას დაუბრუნეს. დღეს იგი სომეხ გრიგორიანების საეპისკოპოსო ეკლესიაა.

ბიზლიოთუქა

ციხის მოედანი — როგორც „ციხის მეიდანის“ ვახუშტი ბაგრატიონს თავის თბილისის გეგმაზე № 15-ით მოხსენიებული აქვს აწინდელი გორგასალის მოედანი (იხ. თათრის მოედანი).


ციხის უბანი — იგი მდებარეობდა თათრის მოედნის სამხრეთით და აღმოსავლეთიდან უშუალოდ ემიჯნებოდა კლდის უბანს. მისი სახელწოდება იმით აიხსნება, რომ იგი გალავნით იყო შემოზღუდული და ე. წ. დაბალი ციხის ტერიტორია ეკავა. მას საზღვრავდნენ ზედა ციხე ნარეკალითურთ, აღმოსავლეთით წაგვისწყლის პირას გამავალი კედელი, ხოლო დასავლეთიდან გალავანი გადიოდა აწინდელ გორგასალის პირველი შესახვევის ხაზზე იმგვარად, რომ გვერდზე იტოვებდა ციხის (თათრის) მოედანს. ვახუშტის მოწმობით, ეს უბანი მეფე როსტომს კალასგან გალავნით გამოუყვია და სპარსული გარნიზონისათვის დაუთმო. „მეფემან როსტომ ჩამოზღუდა კალა ციხიდან ხიდის ყურემდე და მისცა სპარსთა, მიერთგან უპყრათ მათ“. კალას და ციხის გამყოფი გალავანი XVIII საუკუნის 70-იან წლებში მოიშალა, სპარსელების განდევნის შემდეგ.

ცხენის ტირფი — დიდუბის აღრინდელი დასახელებაა. ცნობას ამის თაობაზე გვაწვდის ვახუშტი ბაგრატიონი: „ტფილისის ჩრდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის ტერფი“. „ცხენის ტერფი“ სხვა წყაროშიც გვხვდება. იგი მოხსენიებულია ქართველი მემატეანის ჭუანჭავაძის მიერ, როდესაც იგი სპარსელებთან ვახტანგ გორგასალის ერთ-ერთი შებრძოლების ამბავს მოგვითხრობს: „ხოლო ვახტანგ განაძლიერნა ციხე-ქალაქნი, და ურჩეულესი მებრძოლი ერისა მისისა ვითარ ასი ათასი მხედარი, და ასი ათასი ქუეითი იპყრა მის თანა, და დაუბანაჲ მათ დიდმით ეიღრე ქართლის კართამდე, და სპარსთა დაიბანაჲს ვიდრე ცხენის — ტერფით გან ჩალმართ“ (ქართლის ცხოვრება).

წულახანა — იხ. იგივე ხარახანა.

წაღისპარი — თბილისის გალავნის ერთ-ერთი კარიბჭე მდებარეობდა დღევანდელი შავთელისა და ბარათაშვილის ქუჩების გადაკვეთის ადგილზე. მან იარსება მე-18 საუკუნის შუა ხანამდე, როდესაც გალავანზე სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარებისას კარიბჭე გააუქმეს. კარს სხვა დასახელებებიც გა-

აჩნდა. ვახუშტი ბატონიშვილი მას აღნიშნავს როგორც „ქვემო კარს სიდიოთ“. წყლისკარის სახელწოდებას ზოგჯერ იმით ხსნიან, რომ მასში გზა აეხაწათ ხევზე გადებული ხილით შედიოდა. უფრო მართებულად ეძღვრს სახელწოდებას მის ახსნა კარიბჭის მტკვართან უშუალო სიახლოვით.



წყლისკარის ძეგლი — დღევანდელი შავთელის ქუჩის საწყისი ნაწილი ბარათაშვილის ქუჩიდან ანჩისხატამდე. დასახელება დაკავშირებულია დაახლოებით ბარათაშვილის და შავთელის ქუჩის შესაყარის ადგილზე არსებულ ქალაქის ერთ-ერთი კარიბჭის — წყლისკარის სახელთან.

მონხანა — ჭონხანა სპარსული წარმოშობის ორი სიტყვისაგან შედგება: „ჭონი“ — მექედე და „ხანა“ ადგილი. მექედეთა რიგები ძველ თბილისში ძირითადად ორ ადგილზე იყრიდნენ თავს. ერთ-ერთი ჭონხანა დღევანდელი სიონის ქუჩის დასაწყისის ორთავ მხარეზე იყო განლაგებული და ჩორუსს დახურულ ბაზარს ებჯინებოდა. ჩორუს აწინდელი სიონისა და ერეკლეს ქუჩების შესაყარზე მდებარეობდა. პატარა ჭონხანა (რამდენიმე დუქანი) თათრის (დღევანდელი გორგასალის) მოედნის სამხრეთ-დასავლეთ მხარეზე მდებარეობდა, მენაბღეთა დუქნების გაგრძელებაზე, ციხის დიდი ეკლესიის (სურფევეორქის) წინ.

ხალანხანა — 300 არაველეების ბაღთან შემორჩენილია ფრაგმენტები ძველი გალავნისა, რომელიც თბილისს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იცავდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა ცხადყვეს, რომ გალავნის მიმდებარე ტერიტორიაზე მე-12, მე-13 საუკუნეებში თბილისის ერთ-ერთი სახელოსნო უბანი იყო. უბნის უძველესი სახელწოდებაა „ხალანხანა“. იგი ორი ნაწილისაგან შედგება. „ხალანი“ პირფართო თიხის ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინია, ხოლო „ხანა“ სპარსულად ადვილს ან სახლს ნიშნავს. ამგვარად, ამ ტერიტორიაზე სხვადასხვა სახის კერამიკული ჭურჭლის მეტეხბეული ხელოსნები სახლობდნენ. გათხრებისას აქ თიხის გამოსაწვავი ჭურჭები და დიდი რაოდენობის თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა. მე-13 საუკუნის შემდეგ, მონგოლების არაერთი შემოსევის გამო, ადგილი გაუცარიელდა და მე-19 საუკუნის შუა ხანამდე არავინ სახლობდა. თუმცა სახელწოდება ხალანა საუკუნეების მანძილზე შემოინახა. ჩუიკოს მიერ შედგენილ თბილისის 1800 წლის გეგმაზე მოყვანილია უბნის ძველი დასახელება.

ხარაზხანა — ასე ეწოდებოდა სახელოსნოების რიგს ან ადგილს, სადაც ხარაზები საქმიანობდნენ და ვაჭრობდნენ („ხარაზხანა“) შუა საუკუნეების თბილისში ორი ხარაზხანა იყო. ერთ მათგანს „გრძელი ბაზრის“ (რასტაბაზრის) დიდი

1 დ. გვრიტიშვილი, შ. შვსხია. თბილისის ისტორია. თბილისი 1952, გვ. 143.



ქართული
ენობრივი



ქალაქის გრაფიკული აღწერა, XIX საუკუნის ბოლო წლები



ქართული
ბიბლიოთეკა



პრელი აბანო



საეზოვრებელი სახლი აბას-აბაღის მოედანზე





ქართული
ბიბლიოთეკა



ალექსანდრეს შაღის პროექტი. არქიტექტორი თ. ს. ლონსია.

მემორიალი ამუნარტვის ზღაპრით. მოქანდაკე გ. შვეცაბაძე, არქიტექტორები თ. თევზაძე,
დ. სიღითაძე, გ. ჩაფარიძე






ქართული
ბიბლიოთეკა

აღ-სატი

ანის ხატის მოპედილობა, ბეჟა ოპიზარი, XII ს.






ბაგეზის საცხოვრებელი რაიონის პროექტი

ბაშის რიგი (მარტხივი)





შხის მოედანი



გელანის საცხოვრებელი რაიონის პროექტი




ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



სასაღე გოლოვინ-ის პროსპექტზე (აწინდელი ჰიონერთა სსსსხლის ადგილზე), არ-
ქიტექტორი სემიონოვი, 1847 წ.

გოლოვინ-ის პროსპექტი, მარცხნივ — შეკეთებული აწინდელი კონოთეატრის „რეს-
თაველის“ ადგილზე



გოლოვინის პროსპექტი
 ალექსანდრე ნეველის სა-
 ზღოვე იგებელი სამხედრო
 ტაძარი. არქიტექტორები
 გრიმი და ველიძე. 1917 წ.
 იარსება 1930-იან წლებამ-
 დე



ერისთავი
 გიგლიძის

დილოში. სპორტსაზოგადოება «დინამოს» საწვრთმელი ბაზა






ერეკლევიანი მოედანი. ქარვასლა, არქიტექტორი ჟ. სკუდერი, 1851 წ.
 იარსება 1930-იან წლებამდე

განაშენიანება მცირე ეროვნულის (მიხეილის) ზღვან






ვერის ხიდი. არქიტექტორი უმანსკი, 1885 წ.

ერეკლეს მოედანი XIX საუკუნის შუა ხანაში





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



საქართველოში დღეს და მკორე ვორინკოვის ზიღებს შორის
თაბის მოღღანი ჯ. გვარინის ნახტი XIX საუკუნის 20-იანი წლები





მდათოვის კუნძული

ძველი ილია ჭავჭავაძის საულაზე მთაწმინდის
პანთეონზე. მოჭანდაკე ი. ნიკოლაძე






ქართული
ბიბლიოთეკა



მუდანი, ხალიჩების დუქანი



მეტეხი




ქართული
ბიბლიოთეკა

მუხრანის ხიდი (აწინდელი ბარათაშვილის ხიდის ადგილზე) ინგ. ე. პატონი, 1911 წ.


მუხრანის ხიდის ბორანი, ხედი ავლაბრიდან





მუხრანის ხიდის ბორანი. ავლაბრის ხედი


მშალი ხიდი. ჯ. სველიძე, 1951 წ.






ნარიკალა. ფრეგმენტი

ჩიყვ 1893 წლის წყალდიდობისას





ფეთხანის



ფეთხანის უბნის ერთი კუთხე

ფონიკალის განაშენიანების პროექტი





ქართული
ბიბლიოთეკა




ფენიკელიის ზედა სადგურის შენობა, ე. წ. „როტონდა“



ქაშვეთი, ბოლოსწინა შენობა, 1712 წ.
მეიკელა თანამედროვე შენობით 1910
წელს

ლენის აღმართი






ღენიბის შოღანი, მარცხნივ — მთავარმართებლის სასახლე, შუაში არსენალი, მარჯვნივ — გიმნაზია

კონხანა (მეღუმენების უბანი)



გასასვლელი მეტეხის ხიდიდან შუითაიბაზარზე.
წინა პლანზე შაჰ-აბასის მეჩეთი





ვახაბი (პლევოი, მარჯენი) ე. ტურნეფორისეულ ზედის ჩანახატზე, 1701 წ.

ციხისებნის ერთი კუთხე გასული საუკუნის მეორე ნახევარში



ბოჯაპანძი — ამ სახელწოდებით მოაღწია ავლაბარში ბოლო დრომდე არსებულმა მე-17 საუკუნის სომხურმა ეკლესიამ. სახელწოდება თბილისელებმა ეკლესიის მიმდებარე ძველ სომხურ სასაფლაოზეც გაავრცელეს. ეს სასაფლაო იხსენიება მე-17 საუკუნის წყალობის წიგნში. მეფე როსტომმა 1654 წელს ზარაბთუხუცესს ხოჯა ბექმუდას უწყალობა მიწა სასაფლაოს გვერდით (ხოჯა ბექმუდა, ბებუთაშვილების საგვარეულოს დამაარსებელი, თავის დროის გამოჩენილი და მდიდარი ვაჭარი ყოფილა. ისტორიული წყაროები მას მიაწერენ მდინარე ვერეზე ხიდის მშენებლობასაც). ამასთან ირკვევა, რომ ეს სასაფლაო ხოჯა ბექმუდას წინაპრებისა ყოფილა. ახლად მიღებულ მიწაზე, მახათას მთის ძირას, მეფის დასტურით ხოჯა ბექმუდა ღვთისმშობლის სახელზე ეკლესიას აშენებს, რომელსაც თბილისელებმა ხოჯაევანჭი შეარქვეს და შემდგომში სახელწოდებამ სასაფლაოც მოიცვა. ეს ეკლესია აღნიშნული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს თბილისის გეგმაზე, „მელიქის საყდრის“ სახელით. ხოჯა ბექმუდამ აქვე ბაღიც გააშენა, რომლის სარწყავად წყალი მთის ძირიდან გამოუყვანია. ამ ბაღს ვახუშტი, „ბებუთას ბაღს“ უწოდებს. ხოჯაევანჭის ასტეაწაწინის (ღვთისმშობლის) ეკლესია თბილისის ამ უბნის რეკონსტრუქციისას აიღეს.

ბოჯას აბანო — თბილისის ციხის ფარგლებში განლაგებულ „ციხის აბანოს“ ქალაქელები „ხოჯას აბანოსაც“ ეძახდნენ. ი. გრიშაშვილი ამის თაობაზე, თეიმურაზ ბატონიშვილზე დაყრდნობით, წერდა: „ამ ციხის აბანოს უწოდებდნენ აგრეთვე საჭურისს ხოჯა ალამაჰმადის აბანოს. ტფილისის აღების დროს (1795 წლის ენკენისთვის II-ს) ეს ხოჯა შევიდა ამ აბანოში „გუჯეკირდა სიკეთე ტფილისისა, მოეწონა წყალნი წმინდანი ყოველთაჲთ, აღმღვრეველნი და მარგებელნი“, მაგრამ სენისგან რომ ვერ განიკურნა, გობრაზლა და ბრძანება გასცა, აბანოებიც ძირიანად დაეგრა“.

ი. გრიშაშვილის მოწმობით, ქალების საერთო აბანოდ მხოლოდ ციხის ანუ „ხოჯას“ აბანო იყო და გამოირჩეოდა უწყობით, სიუფროვით. „დღესაც თუ სადმე ჩხუბი და ყაყანი ატყდება, იტყვიან „ხოჯას აბანოა?“

ხუდადღვის ტყე — ამ სახელწოდებით მოაღწია დღემდე მტკვრის მარცხენა ნაპირას ფერდობზე გაშენებულმა შწვანე მისოზემა 1893 წელს ქალაქის საათობიროს წვერის, ექიმ ნიკო ხუდადღვის ინიციატივით, სახაზინო მიწაზე, ნაძალადევის საზღვარზე, ტყის გაშენება დაიწყო. თბილისელებმა ტყეს იმთავითვე ხუდადღვის სახელი შეარქვეს.

ჯვარის მამა — გუმბათიანი ეკლესია დგას რიჟინაშვილისა და ლესელიძის ქუჩების გადაკვეთასთან. ეკლესია იერუსალიმის მონასტრების მონაზონთათვის აშენდა V საუკუნეში, რომელთა რიცხვში წმინდა ჯვარის მონასტერიც იყო

(აქედან უნდა მოდიოდეს სახელწოდება). ეს ეკლესია დანგრეულ იქნა მიწათმოქმედების მიერ და მის ადგილზე XVI საუკუნეში ახალი ტაძარი ააგეს. ეკლესიის კვლავ დაინგრა სპარსელების შემოსევისას 1795 წელს და მხოლოდ 1825 წელს იქნა აღდგენილი. ფასადების მოკრძალებულ სამკაულს აგურში გათხრობის ჯგერის გამოსახულებები შეადგენს.


ჯგერის სახელობის ტაძარი — ძველად ასე უწოდებდნენ თბილისელები მეტეხის კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულს. პლატონ იოსელიანის ცნობით, გამოქვაბული VI საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის საქადაგოდ მოსული 13 სირიელ მამათაგან ერთ-ერთის — ეკლესიის მიერ წმინდანად აღიარებული — დავითის ღრობებით ადგილსამყოფელი ყოფილა. აქედან გადასახლებულა იგი გარეჯის უბანში, სადაც მონასტერი დააარსა. მამაო დავითის გარდაცვალების შემდეგ მის მოწაფეს დოდოს გამოქვაბულში სამლოცველო — საუამნო მოუწყვია. შემდგომში თითქოს „დოდოს საყდარი“ დამახინჩებულა და „ჯგერის საყდარად“ ქცეულა. პლ. იოსელიანისვე მოწმობით, მისი ახალგაზრდობის ხანაში აღდგომა დღეს აქ ჯერ კიდევ დადიოდნენ მლოცველები.

ლიტერატურა

- ბერიძე ვ. თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წლებში, თბილისი, ტ. 1, 1960, ტ. II, 1963.
- ბერიძე თ. ... და აღმოცენდა თბილისი, თბილისი, 1974.
- ბერძენიშვილი მ., თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში, თბილისი, 1965.
- გვრიტიშვილი დ., მესხია შ. თბილისის ისტორია, თბილისი, 1952.
- გრიშაშვილი ი., ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბილისი, 1927.
- ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
- ზარდალიშვილი გ., თბილისის და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბილისი, 1978.
- კვეზერელი-კობაძე ნ.; თბილისის ხიდები, თბილისი, 1961.
- კვიციანი თ. თბილისის ისტორიული ბირთვი, თბილისი, 1960.
- მესხია შ.; გვრიტიშვილი დ.; დუმბაძე მ.; სურგულაძე ა.; თბილისის ისტორია, თბილისი, 1958.
- პოლიქტოვი მ.; ნათაძე გ.; ძველი ტფილისი, თბილისი, 1930.
- ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბილისი 1975.
- ქართლის ცხოვრება; თბილისი, 1942.
- ქობაძე დ.; თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, 1955
- Джанберидзе Н., Мачабели К., Тбилиси — Мцхета, Москва, 1981.
- Иоселиани Пл., Описание древностей города Тифлиса., Тифлиси, 1886.
- Квирквелия Т., Архитектура Тбилиси, Тбилиси, 1982.
- Кинцурашвили С., Маршруты старого Тбилиси, Тбилиси, 1966.
- Шмерлинг Р., Долидзе В., Барнавели С., Окрестности Тбилиси, Тбилиси, 1960.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3	გოლოვინის პროსპექტი	26
ამანოების უბანი	4	გრიშუას ბაღი	29
აბანოს კარი	6	გრძელი ბაზარი	29
აბას-აბაღის მოედანი	6	დაბახანა	29
ავარანი	6	დაბლაკარი	29
იგურხანა	6	დამპალი	30
ივანთხევი	7	დებერტირის ბაზარი	30
ივლაბარი	7	დელისი	30
ივლაბრის კარი	10	დიღუბე	30
ივლაბრის ხიდი	10	ღირსიკალა	31
ივწინანი	11	ღიღმის გზა	32
ივჭალა	11	ღიღმის კარი	32
ივჭალის გზა	13	ღიღოში	32
იათუჭა	13	ელეის უბანი	34
ილაფხანა	14	ერევანსკის მოედანი	34
ილექსანდერლოფი	14	ვაკე	36
ილექსანდრეს ბაღი	14	ვანქის მონასტერი	37
ამართი	16	ვანქის სისაფლაო	37
ანჩისხატი	16	ვანქის უბანი	37
ანჩისხატის ქუჩა	17	ვარაზისხევი	37
არამიანცის საავადმყოფო	17	ვარდიგორა	37
არსენალი	17	ვარდისუბანი	37
არწრუნის ქარვასლა	17	ვაშიფვარი	38
ასპარეზი	18	ვერე (ვერა)	38
ახალი ჰოლანდია	19	ვერეს ბაღი	38
აშმაშხანა	19	ვერის ხიდი	39
ბაგეზი	19	ვერცხლის ქუჩა	40
ბახაზხანა	19	ვეძისი	40
ბაშმის რიგი	20	ვეჭინი	40
ბატონის მოედანი	20	ვირის ხიდი	40
ბაყალხანა	20	ვორონცოვის ხიდი	41
ბეთლემი	20	ზარგარხანა	42
ბერძენხანა	21	ზარის ეკლესია	42
ბეჭუღას ბაღი	21	ზაქესი	42
ბეჭუღას ხიდი	21	ზემელი	42
ბზის მოედანი	22	ზემო უბანი	42
ბნელი რიგი	22	ზღვის უბანი	43
ბოშის უბანი	22	თაბორის ციხე	44
ვახაანთ ხევი	23	თავისუფლების მოედანი	44
ვანქის კარი	23	თათრის მოედანი	45
ვარეთავლაბარი	23	თბილელის ბაღი	46
ვარეთუბანი	24	თბილელის ქარვასლა	46
გლდანი	25	თბილისის ზღვა	46



თეატრალური მოედანი	46	ორბელიანის კენძულა	72
თეკემისის ეკლესია	47	ორბელიანის უბანი	72
თეკლეს ქარვასლა	47	ორთაქალა	73
თეშქა	47	ოქოანი ხიდი	74
თოფხანა	47	ოქროშველელთა ბაზარი	74
ისანი	47	ოქროშველელის რიგი	74
კალა	48	ოზერბალი	75
კალთუბანი	50	„პასაფ-კროშქა“	75
კალთუბნის სამება	50	პასკევიჩ-ურევანსკის მოედანი	75
კვირაცხოველი	50	პესკი	75
კვირაცხოვლის უბანი	50	რასტაბაზარი	75
„კირონიანი“	51	რიყე	75
კლდისუბანი	51	რუსის ბაზარი	76
კლდისუბნის წმ. გიორგი	51	საბურთალო	76
კომკავშირის ბეივანი	51	საზამთროს მოედანი	76
კოჭრის გზა	51	სალაღაკი	76
კოჭრის კარი	51	სალაუბო	77
კრწანისი	51	სამგორი	77
კუკია	52	სამხედრო მოედანი	78
ლილახანა	53	საღლითის ბაზარი	78
ლილო	53	სარაჯხანა	78
ლისის ტბა	54	სატიო (სატივო)	78
ლოქინი	54	საჩინო	78
ლურჯი მონასტერი	55	საჭეირნო	78
მადათოკის კენძულა	55	საპაკაშენი	79
მაღაქნების უბანი	56	სეიდაბადი	79
მაღაქნების ბაზარი	56	სემიონოვკა	80
მამადავითი	56	სვიმონის სასახლე	80
მამასახლისის ბაღი	57	„ნიშპატია“	80
მაღლაკარი	57	სიონი	81
მახათა	57	სირაჩხანა	82
მეიღანი	58	სკვირეთი	82
მეიღნის კარი	59	სომხის ბაზარი	83
მელიქის უბანი	59	სოღანლული	83
მელიქის ქარვასლა	59	სოღდებილი	83
მეტეხი	60	სტამბულის კოშკი	84
მეტეხის ხიდი	61	სტელა	84
მეფის ბაღი	63	სურფგევორქი	84
მეფის მოედანი	63	სურფნიშანი	84
მეფის ფუნდუკი	63	სურფსტეფანოზი	85
მეჭეპეების რიგი	63	ურდვარხანა	85
მთაწმინდა	63	ურიათუბანი	85
მიხეილის პროსპექტი	65	„ფანტაზია“	85
მიხეილის საავადმყოფო	65	ფაშაენქი	85
მნაცავანოვის ხიდი	65	ფეოხაინი	85
მოღინი	65	ფეოხაინის კიბე	85
მუშტაილი	66	ფეოხაინის უბანი	86
მუხრანთუბანი	66	ფონიჭალა	86
მუხრანის კარი	67	ფრანგთა უბანი	86
მუხრანის ხიდი	67	ფუნდუკილიორი	86
მუხრანის ხიდის ზორანი	67	ქარსებრი	87
მშრალი ხიდი	68	ქაშვეთი	87
ნავთიჭალა	68	ქვემო კარი	88
ნავთლული	68	ქვემო მოედანი	88
ნარიყალა	70	ქვემო უბანი	88
ნალარხანა	71	ქიბაბხანა	88
ნაძალდევი	71	„ქიშერიონი“	88
ნემცეების სოფელი	71	ღვინის აღმართი	89
ნოვოტროიციის დასახლება	71	ღრმა ღელე	89
ნორაშენი	71	ღუნების მოედანი	89

ყაბახი	89
ყაბულას ბალი	90
ყასაბხანა	90
ყორჩი-ყალა	90
შაპტახტი	90
შეითანბაზარი	91
შეაბაზარი	91
შეა კარი	91
შურისციხე	91
ჩითაზხანა	92
ჩორსუ	92
ჩულტურეთი	92
ციხის ბალი	92
ციხისდიდი ეკლესია	93
ციხის მოედანი	94

ციხისუბანი	94
ცხენის ტერფი	94
წულახანა	94
წყლის კარი	94
წყლისკარის ქუჩა	95
ჭონხანა	95
ხალახანა	95
ხარაზხანა	95
ხარფეხი	96
ხოჯაევანქი	97
ხოჯას აბანო	97
ხილიანი	96
ხუდადოვის ტყე	97
ჭვარის შამა	97
ჯოჯოს საყდარი	98
ლიტერატურა	99



რედაქტორი მზია ერისთავი
მხატვარი ლერი ღვინჯილია
მხატვრული რედაქტორი თამაზ შარიფაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნანა აფხაზავა
კორექტორი ვლადიკო მალანია
გამომშვეები ნელი მანაგაძე

ს. ბ. № 4196.

გადაეცა წარმოებას 03.03.84. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.12.84.
ფე 13189. საბეჭდი ქაღალდი № 2. 70×90¹/₁₆. გარნიტური ვენა.
ბეჭდვის ხერხი მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7,6+ჩაკვრა 1,75.
პირ. სალ.-გატ. 8,12. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 8,22. ტირაჟი
20 000. შეკვ. № 701.

ფახი 45 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და
წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის № 1 სტამბა,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50

Типография № 1, Государственного комитета Грузинской
ССР по делам издательств, полиграфии и книжной
торговли, Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

Тенгиз Рафаэлович Квирквелия
СТАРОТБИЛИССКИЕ НАЗВАНИЯ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5

1985



364933400
3084000000